338+3
ე-41

შორენა მაღლაკელიძე

სკოლის დაფინანსებისა და მართვის ზოგიერთი საკითხი

338+37
ქ-40

შორენა მაღლაკელიძე

სკოლის დაფინანსებისა და მართვის ზოგიერთი საკითხი

საქართველოს ეროვნული სასწავლო რესურსცენტრის
ბიბლიოთეკა
№ 06358

თბილისი
„ლეთა“
2010

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი
რუსთაველის ფონდი

Rustaveli Foundation
for Georgian Studies, Humanities and
Social Sciences

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის (№020–08) მეშვეობით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant N 08). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

სამეცნიერო რედაქტორი: ევგენი ბარათაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი: ლანა ყურაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნიკა შაიშმელაშვილი

ISBN 978-9941-9147-1-3
საავტორო უფლება © შორენა მაღლაკელიძე

შინაარსი

თავი I. განათლების ეკონომიკის როგორც მეცნიერების განვითარება.

1. ცოდნა და ინფორმაცია-„ახალი ეკონომიკის“ საფუძველი
2. „ადმიანისეული კაპიტალის” თეორიის წარმოშობა და განვითარება
3. ინვესტიციები ადამიანისულ კაპიტალში
4. განათლების სარგებლიანობა

თავი II. განათლების განვითარება საქართველოში

1. განათლების როლი ქვეყნის სოციალ- ეკონომიკურ განვითარებაში
2. განათლების განვითარება საქართველოში

თავი III. სკოლის დაფინანსება

1. ფინანსების არსი
2. სკოლის დაფინანსების ვაუჩერული ფორმა
3. სკოლის ვაუჩერული დაფინანსების შედეგები საქართველოში

თავი IV. მასწავლებელთა ხელფასები

1. მასწავლებელთა ხელფასი–შრომის ანაზღაურების ძირითად ფორმა
2. განათლების რეფორმა და მასწავლებელთა ხელფასები

თავი V. სკოლის დირექტორი და მისი თანამედროვე როლი

1. სკოლის დირექტორი – ლიდერი განათლებაში
2. დირექტორის, როგორც ლიდერის საქმიანობის ძირითადი პრინციპები
3. სკოლის დირექტორის როლი ბიუჯეტირების პროცესში. ბიუჯეტის სახეები

შესავალი

ყოველი ადამიანის განათლება – ეს არის ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალში, რაც საშუალებას აძლევს მას უზრუნველყოს საზოგადოება მწარმოებლური უნარით. განათლება ახდენს ამ გადამწყვეტი დეტერმინანტის ფორმირებას იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მიღწეულ იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა შრომის მაღალი ანაზღაურებით, დაბალი უმუშევრობით, და ძლიერი სოციალური ერთობით. ამდენად, ნებისმიერი განვითარების მოსურნე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უზრუნველყოს მაღალხარისხიანი განათლება მთელი მოსახლეობისათვის, შესაბამისი საგანმანათლებლო ინვესტიციებით და არსებული საგანმანათლებლო რესურსების ეფექტურად გამოყენებით. კონკურენტუნარიან და დინამიურ გარემოში, ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემაში, განათლების პოლიტიკა ცენტრალურ ადგილს იკავებს და თუ სწორად იქნება წარმართული, შეიძლება თავისთავზე აიღოს პოლიტიკით განსაზღვრული სოციალური დაცვისა და ინვესტირების როლიც.

ეკონომიკური და სოციალური დეტერმინანტებისა და განათლების შედეგების ანალიზი – ეს განათლების ეკონომიკის სამფლობელოა. განათლების ეკონომისტები აანალიზებენ განათლების ეფექტებს ხელფასზე, დასაქმებაზე, ეკონომოკურ ზრდასა და სოციალურ თანასწორობაზე. ისინი დეტალურად იკვლევენ განათლების როლს საზოგადოების შესაძლებლობებში–განავითაროს ცოდნა კვლევების, მეწარმეობის განვითარებისა და სიახლეების დანერგვის დახმარებით. ისინი აფასებენ თუ ოჯახები, სკოლების რესურსებით უზრუნველყოფა და განათლების სისტემის თავისებურებები როგორ განსაზღვრავენ განათლების ხარისხს, იყენებენ დაკვირვებითა და ექსპერიმენტის მიღებულ მონაცემებს, რათა განსაზღვრონ განათლებაში პოლიტიკის ჩარევის ხარისხი. მათ საქმე აქვთ განათლების სხვადასხვა დონეების – დაწყებული სკოლამდელი აღზრდიდან დამთავრებული უმაღლესისშემდგომი და სამუშაო ადგილზე სწავლების სახელმწიფო და კერძო დაფინანსებასთან და ადარებენ ერთმანეთს ყველა სახის განათლების შეღავათებსა და დანახარჯებს. ისინი ასევე იკვლევენ იმ შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასა და ბაზრის სტიმულებთან.

ამჯერად, ჩვენ პატარა გამოკვლევაში შევეხეთ მხოლოდ სასკოლო განათლებას, მისი დაფინანსებისა და მართვის ზოგიერთ საკითხს. კვლევის დაწყებისას მიზნად დავისახეთ გაგვერკვია განხორციელდა თუ არა რეფორმის მთავარი მიზნის – ცოდნაზე დაფუძნებული საზოგა-

დოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

რადგანაც ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი განათლების ეკონომიკაა, რომლის წარმოშობასა და განვითარებას ცოდნისა და ინფორმაციის განვითარების ახალ საფეხურზე აყვანამ და მათი მიმღებისა და გადამცემის – ადამიანისეული კაპიტალის კვლევამ შეუწყო ხელი, ამდენად მონოგრაფიის პირველი თავი სწორედ ამ საკითხებს დავუთმეთ. შემდეგ კი მოკლედ მიმოვიხილეთ განათლების განვითარების პროცესი საქართველოში და რეფორმების წვლილი მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებაში.

მოვახდინეთ საჯარო სკოლების დაფინანსებასთან და ამ ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებული ციფრობრივი მასალების მოძიება და ანალიზი, რომელსაც მიეძღვნა მესამე და მეოთხე თავები.

შემდეგ კი ყურადღება გავამახვილეთ თანამედროვე სკოლის დირექტორის როლსა და ფუნქციებზე ფინანსების, და არა მარტო ფინანსების მართვის საკითხებზე, რამდენადაც ფინანსური უზრუნველყოფისა და ფინანსების მართვაში სწორი პოლიტიკის გატარების გარეშე, სკოლის ხედვისა და მისიის შესრულება ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

კვლევის პროცესში გაჩნდა პასუხგაუცემელი კითხვები, რომელიც კვლევის შედეგებმა გამოავლინა. ასე მაგალითად: რატომ იმატებს დეფიციტური სკოლების რაოდენობა? როგორია სასკოლო საგანმანათლებლო სფეროს ძირითადი რესურსის–მასწავლებლის ხელფასი, და მიუხედავად მნიშვნელოვანი ზრდისა, რატომ არის იგი არამატერიალური წარმოების სფეროს მუშაკების ხელფასებზე მნიშვნელოვნად დაბალი? ხომ არ დადგა დღის წესრიგში ვაუჩერით დაფინანსების ცვლილების აუცილებლობა? ამ კითხვებზე პასუხი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანი გახდა.

რუსთაველის ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული კვლევა განხორციელდა, კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას, და იმედს ვიტოვებთ, რომ პროექტის წევრებთან ერთად შევძლებთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას.

ვფიქრობთ ნაშრომი გარკვეულწილად გააცნობს და წარმოდგენას შეუქმნის დაინტერესებულ მკითხველს ამ სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

შორენა მაღლაკელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
პროექტის „სკოლის მართვა: პრობლემების ანალიზი და
მათი გადაჭრის გზები" ხელმძღვანელი

თავი I. განათლების ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი

ცოდნა და ინფორმაცია - „ახალი ეკონომიკის“ საფუძველი

ახალი საუკუნის დაწყება აღინიშნება საერთაშორისო მასშტაბების ახალი პროცესებისა და მოვლენების და მასთან ერთად ეკონომიკური განვითარების პარადიგმების ცვლილებით. ეს პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს ახალი, ინფორმაციული ეკონომიკის დამკვიდრებაში; ე.ი. ისეთი ეკონომიკისა, რომელიც ემყარება ცოდნასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ასევე, სამეურნეო თუ სხვა პროცესების გლობალიზაციას. „ახალი ეკონომიკა“ და გლობალიზაცია შლის რა კონკურენციის ეროვნულ საზღვრებს, ობიექტურად წინ სწევს ეკონომიკური ზრდისა და ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლების უმთავრეს რესურსს – ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო პოტენციალს. ამასთან დაკავშირებით, კადრების მომზადების სისტემა იძენს სტრატეგიულ მნიშვნელობას, ხდება მაღალი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტი. „იუნესკო“-მ XXI საუკუნე გამოაცხადა „განათლების ერად“. განათლება, მეცნიერება და კულტურა სულ უფრო და უფრო ერთვება საერთაშორისო კონკურენციასა და თანამშრომლობაში.

სულ უფრო ფართო საზოგადოებრივ აღიარებას ღებულობს თეზისი იმის შესახებ, რომ ქვეყნის აღორძინება შეუძლებელია განათლების ახლებურად განვითარების გარეშე. უნდა მოხდეს მისი გარდაქმნა, მოდერნიზება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, რა თქმა უნდა, ძველი დადებითის გათვალისწინებით.

სწავლების სტანდარტების ამაღლებისა და ამასთანავე ქართული განათლების საერთაშორისო „კონვენტირების“ მიღწევის გზების ძიებასთან ერთად აუცილებელი ხდება საერთაშორისო

ეკონომიკასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება.

მსოფლიო საზოგადოების გადასვლა ხარისხობრივად ახალ ტექნოლოგიურ წყობაზე, რომელიც ემყარება წარმოებისა და მართვის ქსელურ განვითარებას, საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაზღვრავს თანამედროვე ცივილიზაციის ახალ საფეხურს. მისი დამახასიათებელი მთავარი ნიშანია - მუშაკის კვალიფიკაციის, მისი პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების, როგორც მისი შრომისა და ადამიანისეული პოტენციალის როლის გაძლიერება.

თანამედროვე პირობებში, მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესების, რომელიც დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიური, საინფორმაციო-ქსელური ეკონომიკის ფორმირებასთან, მთავარ აქტივს წარმოადგენს არა მატერიალური რესურსები, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ცოდნა, ინტელექტი, ინოვაცია, რომლებიც გარდაისახებიან რეალურ ფაქტორებსა და წარმოების დამოუკიდებელ პროდუქტებში.

გასული საუკუნის 50-იან წლებში კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის განვითარებასთან ერთად, დაიწყო ამ სფეროს სწრაფი ტემპებით აღმავლობა. ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები-მეტად მყარად დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში. ისინი წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაცემის, მეცნიერული დამუშავების ერთიან სისტემას. თვით ცნება „ინფორმაცია“ წარმოადგენს ფილოსოფიური კატეგორიების–მატერიისა და შემეცნების დონის ცნებას. მცდელობა იმისა, რომ მივცეთ მას ზუსტი განსაზღვრება და რაოდენობრივი საზომები, გარდაუვლად შეამცირებს ამ ცნების მნიშვნელობას. ალბათ, საკმარისი იქნება შევინარჩუნოთ ამ ცნების ინტუიციური გაგება საღი აზრის დონეზე.

შეიძლება გამოვყოთ ინფორმაციის გამოყენების რამდენიმე სფერო: საინფორმაციო-საწარმოო, საინფორმაციო-გადამცემი და საინფორმაციო საგანმანათლებლო. ინფორმაციის გამოყენების

საინფორმაციო-საწარმოო სფერო გულისხმობს საწარმოო პროცესში სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის გამოყენებას. ამ შემთხვევაში ინფორმაცია გვევლინება როგორც წარმოების რესურსი. წარმოების ინტელექტუალიზაციის დონის ამაღლებასთან ერთად უფრო და უფრო იზრდება ინფორმაციის როგორც საწარმოო რესურსის მნიშვნელობა. ინფორმაციისათვის, ისევე როგორც სხვა საწარმოო რესურსებისათვის დამახასიათებელია იშვიათობა, თუმცა ნებისმიერი ცოდნა რომელიც არის ერთის საკუთრება, რაღაც დროის შემდეგ წარმოადგენს მრავალის მიღწევას. ამასთანავე ცოდნა, ისევე როგორც ინფორმაცია ის რესურსია, რომლის ფლობა ნიშნავს მის განუსაზღვრელ გამოყენებას. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც ინფორმაცია ასევე ცოდნა საჭიროებს გარკვეულ დანახარჯებს (ამასთანავე საკმაოდ მაღალს) მათი მიღებისათვის. ინფორმაციასა და ცოდნას გააჩნიათ ხარისხობრივი მახასიათებლები, რაც ართულებს მათ გამოყენებას წარმოების პროცესში. ასევე თანამედროვე საზოგადოებაში ადგილი აქვს ინფორმაციისა და ცოდნის (პატენტები, ლიცენზიები და სხვა) იურიდიული მექანიზმის გამოყენებას.

საინფორმაციო გადამცემი სფერო წარმოადგენს მონაცემების გადაცემის სისტემას. ეს სფერო მეტად სწრაფად და მუდმივად ფართოვდება და ამასთანავე თანდათანობით გამოიყოფა, როგორც დამოუკიდებელი დარგი. ინფორმაციის გამოყენების ეს სფერო თავისი არსით წარმოადგენს შუამავალს. იგი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: 1. საზოგადოებრივი ცოდნის დაგროვება, 2. იმ ცოდნის გამრავლება და გავრცელება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში დაგროვილი ინტელექტუალური პოტენციალის ხელმისაწვდომობას.

საინფორმაციო საგანმანათლებო სფეროს გაჩენა დაკავშირებულია საწარმოო პროცესში საზოგადოების ცოდნისა და ინფორმაციის როლის ამაღლებასთან. ასევე იმასთანაც, რომ თანამედროვე პირობებში განათლება ღებულობს უწყვეტ ხასიათს.

ამ სფეროს ძირითადი ფუნქცია და ძირითადი მიღწევა არის ის, რომ მისი დახმარებით შემოქმედებითი აზროვნების უნიკალური მიღწევები, დაგროვილი ინტელექტუალური, კულტურული და სულიერი პოტენციალი ხდება საზოგადოებისა და მისი ყველა წევრის მიღწევა. ამრიგად ინფორმაცია და ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა ასპექტით შეიძლება გამოვლინდნენ, წარმოადგენს წარმოების უმნიშვნელოვანეს რესურსს. სხვა რესურსებისაგან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მათი გამოყენებისა და კვლავწარმოების პროცესში ეს ცნებები ერთიდაიგივე მნიშვნელობის ხდება. რამდენადაც ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს უნივერსალურ რესურსებს რომელთაც არამატერიალური ხასიათი აქვთ, ისინი კვლავწარმოების პროცესში არ შეიძლება მთლიანად იყვნენ გამოყენებული ან განადგურებული ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რესურსი. ცოდნისა და ინფორმაციის მოძრაობა დაკავშირებულია უშუალოდ მათ მოხმარებასა და გამოყენებასთან, წარმოების პროცესში. ცოდნის ნებისმიერი გამოყენება აუმჯობესებს მის მოცულობას. იგივე ხდება ინფორმაციასთან მიმართებაში-ნებისმიერი მისი გამოყენება ერთი მხრივ ამოწმებს მის ხარისხს, და მეორე მხრივ ადიდებს მის მოცულობას. ამრიგად, წარმოების პროცესში ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენების დროს ხდება მათი ზრდა. ეს პროცესი დამახასიათებელია ამ რესურსების არა საწარმოო გამოყენებისათვისაც. განსაკუთრებით ნათლად ეს ვლინდება ცოდნის მაგალითზე-ადამიანის მიერ საკუთარი ცოდნის ნებისმიერი გამოყენება ადიდებს მის მოცულობას, მიუხედავად იმისა ეს პროცესი დაკავშირებულია წარმოებასთან თუ არა.

ინფორმაცია და ცოდნა, როგორც რესურსი, განსხვავდება ფულადი, ბუნებრივი და შრომითი რესურსებისაგან. ეკონომისტები მათ „საზოგადოებრივ დოვლათს" უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდნა მისი გამოყენებისას არ ქრება. მათი გასხვისება არ შეიძლება. ერთის მიერ ცოდნის მიღება არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს მეორისათვის მისი მიღების შესაძლებლობას. ასევე

არ მცირდება იგი იმის მიუხედავად, თუ რამდენი ადამიანი იღებს ან იყენებს მას. დანახარჯები იმ ცოდნის შექმნაზე, რომელიც საჭიროა წიგნის დასაწერად იქნება ერთიდაიგივე იმის მიუხედავად, მას ხუთი ადამიანი წაიკითხავს თუ ხუთიათასი. ცოდნა არსებობს სივრცისაგან დამოუკიდებლად. როდესაც ვყიდულობთ ნამცხვარს იგი გამყიდველიდან გადადის მყიდველის ხელში. მაგრამ როცა ვიწერთ ამ ნამცხვრის რეცეპტს, იგი ორივეს გვრჩება. გამყიდველმა შეიძლება უკან დაიბრუნოს გაყიდული ნივთი, მაგრამ ვერ დაიბრუნებს იმ ინფორმაციას, რომელიც მან მიაწოდა მყიდველს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცოდნა არ არის შეზღუდული სივრცეში, მაგრამ მისი ზოგიერთი ფორმა ზედმიწევნით მგრძნობიარეა დროის ფაქტორის მიმართ; ზოგჯერ უფრო მეტადაც კი, ვიდრე მატერიალური აქტივები. თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება კატასტროფულად გაუფასურდეს, ეს პროცესი შეიძლება თანდათანობით და ნელ-ნელა მიმდინარეობდეს, მაშინ როცა ზოგიერთმა რჩევამ ან წინადადებამ ძალიან სწრაფად შეიძლება დაკარგოს თავისი მნიშვნელობა. დროის ფაქტორისადმი მგრძნობელობამ გამოიწვია მთელი რიგი დარგების შექმნა, რომელიც დაფუძნებულია სურვილზე გაუმჯობესოს მომავლის ცოდნის ფორმები: ამინდის სამსახური, პოლიტიკურ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები და სხვა.

მეორე განსხვავება ცოდნისა სხვა რესურსებისადმი მდგომარეობს ცოდნის სიუხვეში. ღირებულების კატეგორია ეკონომიკურ თეორიაში გამომდინარეობს იშვიათობის კანონიდან. ამ კანონის თანახმად, ნებისმიერი სასარგებლო დოვლათი შედის ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მათზე მოთხოვნასთან შედარებით, იშვიათობისა და შეზღუდულობის გამო. მთელ რიგ მკვლევართა აზრით ეს დებულება არ ვრცელდება ცოდნაზე, როგორც ეკონომიკურ რესურსზე. მაგალითად, ტომას სტიუარტი თვლის, რომ პრინციპული განსხვავება ცოდნასა და სხვა რესურსებს შორის მდგომარეობს ცოდნის სიუხვეში. დ. სკირმე

ამტკიცებს, რომ მრავალი სხვა რესურსისაგან განსხვავებით, რომლებიც ამოწურვადია გამოყენების პროცესში, ცოდნა და ინფორმაცია ფაქტიურად იზრდება. ცოდნის როგორც რესურსის ღირებულება განისაზღვრება შესაძლებლობით მისი დახმარებით გადაწყვეტილ იქნას ესა თუ ის, არა მხოლოდ ინტელექტუალური არამედ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცოდნის ამოუწურვადობა შეფარდებითი ცნებაა. სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების მნიშვნელოვან მოცულობას შეიძლება დაუპირისპირდეს ასევე მრავალი პრობლემა, რომელიც დღეისათვის არ არის დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ ზოგიერთი დაავადების მკურნალობა, მრავალი ეკოლოგიური პრობლემა და ა.შ. ამ მიზეზების გამო ცოდნისა და ინფორმაციის სიუხვე და მრავალსახეობა არ გამორიცხავს მის დეფიციტს. გარდა ამისა, დაგროვილი ცოდნას მივყავართ უფრო და უფრო მეტი სპეციალიზაციისაკენ, რომელიც იწვევს ზოგიერთი ცოდნის ან მისი მატარებლის დეფიციტის ალბათობას.

ცოდნის, როგორც ეკონომიკური დოვლათის კიდევ ერთი მხარე იმაში გამოიხატება, რომ იგი ფლობს სხვადასხვა ხარისხობრივ მახასიათებლებს, მისი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ასეთი შესაძლებლობა წარმოადგენს ცოდნის, როგორც ეკონომიკური რესურსის აუცილებელ თვისებას რასაც პრაქტიკაში ყოველთვის არ აქვს ადგილი. ამრიგად ცოდნის, როგორც ეკონომიკური დოვლათის სიუხვე და ამოუწურვადობა შერწყმულია მის შეზღუდულობასთან მოცემულ ადგილსა და მოცემულ დროში.

ადამიანები ყოველდღიურად მეტ და მეტ ცოდნას ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იმ ცოდნის მარაგის გაზომვის საშუალება, რომელიც დაგროვილია მსოფლიოში, სხვადასხვა მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მისი მოცულობა იზრდება. აღნიშნულის მაგალითად, აშშ-ში განაცხადების რაოდენობა

პატენტების მისაღებად 1953 წელს მიღებულ იქნა 72 ათასი განაცხადი, ხოლო 1993 წელს-189 ათასი. თუმცა ცოდნა განსაკუთრებით კი მეცნიერული ხშირად იზღუდება უფრო ახალით, მაგრამ იგი მთლიანად და უკვალოდ თითქმის არასოდეს ქრება.

ცოდნა და ინფორმაცია ეს არის ყველაზე მთავარი საწყისი მასალა თანამედროვე პირობებში მთელი რიგი ამოცანების გადასაჭრელად. უფრო და უფრო მეტი მუშაკების სამუშაო ადგილები იდეებისა და ინფორმაციის სამყაროშია. სტივენ ბარლის გაანგარიშებით მე-20 საუკუნის ბოლოსათვის იმ ამერიკელთა წილი, რომელთა შრომაც დაკავშირებულია მატერიალურ საქმიანობასთან და არაპროფესიონალური მომსახურების გაწევასთან შემცირდება ორჯერ და მეტად, ხოლო იმათი წილი ვისაც საქმიანობა უხდება ინფორმაციასთან გაიზრდება 17%-დან 1900 წლისათვის 59%-მდე ახალი საუკუნის დასაწყისისათვის. ამ ტენდენციის სისწორეში არ შეიძლება შევცდეთ რამდენადაც განუხრელად იზრდება იმ ადამიანთა წილი რომლებიც ხდებიან „ჟონებრივი შრომის მუშაკები". ინფორმაცია და ცოდნა ხდება ერთდროულად მათი შრომის როგორც საწყისი მასალა, ასევე საბოლოო პროდუქტი.

„ადმიანისეული კაპიტალის" თეორიის წარმოშობა და განვითარება

გასული საუკუნის 50-იანი წლები იყო პერიოდი, როცა თეოდორ შულცმა დაიწყო ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის მიმღებისა და გადამცემის კვლევა. შულცის მიხედვით, მოსახლეობის განათლების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის უნარს ინფორმაცია და ტექნოლოგიები გამოიყენოს როგორც განვითარების, ისე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის. მისი აზრით, მაშინ, როცა სხვადასხვა მოწყობილობათა ღირებულება გამოითვლებოდა უდიდესი სიზუსტით, ძალზე მცირე იყო ცნობილი ადამიანისეუ-

ლი კაპიტალის ღირებულების შესახებ. სტატიაში „კაპიტალის შექმნა ადამიანის წყალობით", რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა, შულცმა წარმოადგინა სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრის საკუთარი შეფასებები. მასში შედიოდა ყველა ის დანახარჯი, რომელსაც ადამიანი ეწევა სწავლის პერიოდში.

შულცმა გამოიკვლია იმის მიზეზი, თუ როგორ შეძლეს გერმანიამ და იაპონიამ ფერფლიდან და ნანგრევებიდან უსწრაფად აღდგენა. ინგლისში კი ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით ომის შემდგომ საკმაოდ ხანგრძლივად იყენებდნენ სასურსათო ბარათებს. შულცის აზრით – აღდგენის სისწრაფე დაკავშირებულია მოსახლეობის განათლებასა და ჯანმრთელობასთან. განათლება ადამიანებს ხდის უფრო მწარმოებლურს, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე საშუალებას აძლევს მათ მეტი ინვესტირება მოახდინონ განათლებაში, რითაც ქმნის წარმოების აღმავლობის შესაძლებლობებს.

მის მიერ აღნიშნული თეორიის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულ იქნა სტატიაში „განათლების მიერ კაპიტალის ფორმირება", რომელიც 1960 წელს გამოქვეყნდა. მისი მეორე სტატია „ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, დაიბეჭდა 1961 წელს, რომელშიც ავტორი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ადარებს ადამიანისეულ და წარმოებაში გამოყენებულ ნივთობრივ კაპიტალს და განათლებას განიხილავს, როგორც ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირების ფორმას. ამ კონცეფციის წარმატება განისაზღვრება იმით, რომ ადამიანისეულ კაპიტალზე ვრცელდება ის დებულებები, რომლებიც ეხება ნივთობრივი ფორმით არსებულ კაპიტალს.(1)

ამავე პერიოდში ადამიანისეულ კაპიტალის თეორიაზე მუშაობდა მეორე ამერიკელი მეცნიერი, ასევე ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი გ. ბეკერი. მან 1962 წელს გამოაქვეყნა სტატია, მიძღვნილი ინვესტიციებისადმი – ადამიანისეულ კაპიტალში –„ადამიანისეული კაპიტალი: თეორიული ანალიზი". ხოლო 1964 წელს გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „ადა-

მიანისეული კაპიტალი: თეორიული და ემპირული ანალიზი", რომელმაც მრავალმხრივ განსაზღვრა მომავალში ამ დარგში კვლევის მიმართულება.

ამ ორი მეცნიერის წვლილი ეკონომიკური აზრის განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა კი ადამიანისეული კაპიტალის თეორიის განვითარებაში, აღნიშნულ იქნა მათთვის ნობელის პრემიის მინიჭებით. თეოდორ შულცს იგი მიენიჭა 1979 წელს, ხოლო გარი ბეკერს – 1992 წელს.

ეს აღმოჩენები იყო მოგვიანებით. მანამდე კი იყვნენ უილიამ პეტი, ადამ სმიტი, ჯონ მილი, კარლ მარქსი, ალფრედ მარშალი, ნასაუ სენიორი და სხვები, რომლებიც ადამიანის სასარგებლო უნარს ძირითადი კაპიტალის ცნებაში განიხილავდნენ. ადამიანისეული კაპიტალის სიდიდის შეფასებისათვის აუცილებელი გახდა მისი რაოდენობრივი შეფასების მეთოდების შემუშავება. სწორედ სმიტიდან მოდის „წარმოების ღირებულების" მეთოდის საწყისები რაც მდგომარეობს „ადამიანის წარმოებაზე" გაწეული რეალური ხარჯების (საარსებო საშუალებების წმინდა ხარჯების) შეფასებაში. „გამომუშავების კაპიტალიზაციის" მეთოდის ფუძემდებელიც უილიამ პეტია, რომლის არსიც პიროვნების მომავალში მისაღები შემოსავლის ნამდვილი ღირებულების (გაწეული დროის მოცემულ მომენტისათვის) შეფასებაში მდგომარეობს.

უილიამ პეტი ადამიანისეული კაპიტალის მარაგის სიდიდეს აფასებდა გამომუშავების კაპიტალიზაციით, როგორც რენტას სიცოცხლის მანძილზე, სარგებლის საბაზრო განაკვეთით. გამომუშავების სიდიდეს კი ანგარიშობდა ეროვნული შემოსავალიდან პირადი შემოსავლის გამოყოფით და აღნიშნავდა, რომ ადამიანის ფასი მრავალჯერ აღემატება სამუშაო ძალის მიერ გამომუშავებულ ღირებულებებს.

ადამ სმიტს თუმცა არ განუსაზღვრია „კაპიტალის" ზუსტი ცნება, მაგრამ ადამიანის დახელოვნებასა და სარგებლიანობას რთავდა ფიქსირებული კაპიტალის კატეგორიაში.

იგი წერდა, რომ „სასარგებლო შრომის მწარმოებლურობის ზრდა დამოკიდებულია უპირველესად მუშაკის ცოდნისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებაზე, რომელთა დახმარებითაც იგი მუშაობს" (2) სმიტი თვლიდა, რომ ძირითადი კაპიტალი შედგება მანქანებისა და შრომის სხვა იარაღებისაგან, შენობებისაგან, მიწისაგან და „ყველა მოსახლეობისა და საზოგადოების წევრთა სასარგებლო უნარისაგან." იგი ასევე მიიჩნევდა, რომ ასეთი უნარის შეძენა მისი მფლობელის აღზრდის, სწავლებისა და მოსწავლეობის პერიოდში, ყოველთვის მოითხოვს ნამდვილ ხარჯებს, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად კაპიტალს, რომლებიც თითქოსდა რეალიზდება მის პიროვნებაში. ეს უნარი წარმოადგენს განსაზღვრული პირის მდგომარეობის შემადგენელ ნაწილს და ამასთანავე ხდება იმ საზოგადოების სიმდიდრის ნაწილი, რომელსაც ეს პირი მიეკუთვნება.

მუშაკის დიდი მოხერხება ან ცოდნა შეიძლება განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, როგორც ვიხილავთ მანქანებს ან მოწყობილობებს, რომლებიც ამცირებენ ან აადვილებენ შრომას და რომლებიც, თუმცა საჭიროებენ განსაზრვრულ ხარჯებს, მაგრამ ანაზღაურებენ ამ დანახარჯებს მოგებასთან ერთად.

ჟან ბატისტ სეი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც დახელოვნება და უნარი შეიძინება განსაზღვრულ ფასად და ადიდებს მუშაკის მწარმოებლობას, ისინი განხილულ უნდა იქნას როგორც კაპიტალი.

კარლ მარქსი განიხილავდა ადამიანის წარმოებას, როგორც სამომხმარებლო წარმოებას და როგორც საზოგადოებრივი წარმოების მეორე სახეობას. სამომხმარებლო წარმოების ამ პროცესში ხდება სამუშაო ძალის არამარტო კვლავწარმოება, არამედ სრულყოფა, განვითარება, მიმდინარეობა შრომის მწარმოებლური ძალის ადამიანის შემოქმედებითი უნარის თავისებური „დაგროვება", ამასთანავე უმთავრესად გონებრივი შესაძლებლობებისა.

თუმცა ალფრედ მარშალი აკეთებდა იმის დაშვებას, რომ ადამიანის კაპიტალიზირებული ღირებულება შეიძლება იყოს

სასარგებლო და იხილავდა მათ აშკარა სახით, წმინდა გამომუშავების კაპიტალიზაციის მეთოდით (მოხმარება გამოირიცხებოდა გამომუშავებიდან კაპიტალიზაციამდე) მან უარყო ეს მოსაზრება, როგორც "არარეალისტური", რამდენადაც ადამიანი არ იყიდება ბაზარზე.

ირვინგ ფიშერი ადამიანს განიხილავდა როგორც კაპიტალს. იგი მიიჩნევდა, რომ კაპიტალი წარმოადგენს "სასარგებლო დანიშნულების მატერიალურ ობიექტს", და შესაბამისად, რამდენადაც ადამიანი ფლობს ამ მახასიათებლებს ამდენად იგი უნდა შევიდეს კაპიტალის ცნებაში. უფრო მეტიც, ინდივიდის დახელოვნება ცალკე აღებული არ წარმოადგენს კაპიტალს. მაგრამ ნასწავლი, განათლებული, დახელოვნებული ინდივიდი აუცილებლად უნდა შევიდეს კაპიტალის შემადგენლობაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს საინტერესო კითხვა: წარმოადგენს თუ არა ერთი და იგივეს დახელოვნებისა და სასარგებლო უნარის ღირებულება და თვით ინდივიდის ღირებულება? ედუარდ დენისონი ამასთან დაკავშირებით თვლის, რომ საუბარი ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომელიც უნივერსალურია ფიზიკური კაპიტალისათვის, ნიშნავს, უბრალოდ ყურადღება გამახვილდეს ძირითადი კაპიტალის ხარისხობრივ ცვლილებებზე. ანალოგია შეიძლება გაკეთდეს ადამიანის მიმართ. დახელოვნება და შეძენილი უნარი განივთებულია ადამიანში, და ადიდებს მის, როგორც საწარმოო ერთეულის ხარისხს. მაშასადამე – დახელოვნება და უნარი წარმოადგენს განუყოფელს ინდივიდისგან. და ამდენად, ალბათ, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მათზე, როგორც კაპიტალზე ადამიანის გარეშე. თუ მივიღებთ ამ თვალსაზრისს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს განათლებული ადამიანი, რომელიც კაპიტალს წარმოადგენს.

უილიამ ფარიმ ადამიანისეული კაპიტალის შესაფასებლად მოახდინა პეტის მეთოდიკის სრულყოფა. მისი მეთოდი მდგომარეობდა ინდივიდის მიერ მომავალში წმინდა გამომუშავების დღევანდელი ღირებულების გამოთვლაში. (მომავალ ღირებულე-

ბიბლიოთეკა
№ 17

ბას მინუს პირადი დანახარჯები). ამასთანავე ფარი იღებდა შესწორებებს, რომელიც ითვალისწინებდა გარდაცვალების შესაძლებლობას, სიკვდილიანობის კოეფიციენტის შესაბამისად.

მიუხედავად განსხვავებული შეხედულებისა, ეკონომისტთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ადამიანი შეიძლება იყოს კაპიტალი სამი მიზეზის გამო:

1. ადამიანის აღზრდასა და განათლებაზე გაწეული ხარჯები რეალური ხარჯებია.
2. მათი შრომის პროდუქტი ზრდის ეროვნულ სიმდიდრეს.
3. იმ ადამიანზე გაწეული ხარჯები, რომელიც ზრდის ამ პროდუქტს ასევე გაზრდის ეროვნულ სიმდიდრეს.

ამრიგად, ადამიანისეული კაპიტალის კლასიკოსთა კონცეფციის ცენტრალური ფიგურაა რაციონალური ადამიანი, რომელიც მოწოდებულია გაადიდოს თავისი წმინდა შემოსავალი მისი სიცოცხლის მთელი ციკლის მანძილზე, ხოლო ცენტრალურ ცნებებს შესაბამისად წარმოადგენს „ღირებულება" და „დრო".

უფრო ფართოდ ამ მიმართულებით კვლევის განხორციელებისათვის პირობები შეიქმნა მას შემდეგ, რაც მსოფლიოში მე–19 საუკუნის 90–იანი წლებიდან გავრცელდა ახალი ინოვაციური ტალღა, რაც დაკავშირებულ იყო ელექტროენერგიისა და ავტომობილების გამოგონება-გავრცელებასთან. აღნიშნულმა პროცესებმა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ახალი მოთხოვნები წაუყენა თვით მუშაკს. ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიცვალა საწარმოო პროცესებში ადამიანის ფუნქციონირების შინაარსი.

ერთ-ერთი პირველი მე-20 საუკუნის ეკონომისტთაგან, ვინც დაამუშავა ადამიანისეული კაპიტალის თეორია იყო ჯ. უოლში. მან 1935 წელს განახორციელა კონკრეტული გაანგარიშებები პროფესიულ განათლების ზეგავლენის შესახებ აშშ-ს ეროვნული შემოსავლის დონეზე. მის მიერ პირველად იქნა გამოყენებული მრავალი ცნება, რომლებიც დღესაც წარმოადგენს დასაყრდენს ადამიანისეული კაპიტალის კვლევაში. იხილავდა

რა განათლების პრობლემას - ჯ. უოლში აღნიშნავდა: „სერ უილიამ პეტის დროიდან მრავალი ეკონომისტი განიხილავს ადამიანს ფიქსირებული კაპიტალის კატეგორიაში, რამდენადაც კაპიტალის მსგავსად ადამიანი მოითხოვს დანახარჯებს ცოდნაზე, და მუშაობს, რათა დაიბრუნოს ეს დანახარჯები მოგებით. ეს დასკვნა ასე თუ ისე გამომდინარეობს საერთო ცნებებში, ურთიერთობა მყარდება ყველა ადამიანისათვის როგორც კაპიტალთან და ყველა ხარჯთან რომელიც გაწეულია აღზრდაზე და სწავლაზე, როგორც მის ღირებულებასთან."

უოლში განსაკუთრებით ინტერესდებოდა უმაღლესი განათლების ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხებით, რომელსაც შემდგომში ყურადღება მიაქცია ტ. შულცმა, ჰ. ბეკერმა და სხვა ეკონომისტებმა.

უოლში ამოწმებდა, იყო თუ არა მისი კარიერისათვის აუცილებელი განათლებისათვის გაწეული დანახარჯები — ინვენსტიციები კაპიტალში, რომლის მიზანი იყო მოგების მიღება და საბაზრო წონასწორობის დადგენა, წარმოადგენდნენ თუ არა ისინი იმ მოტივის გამოძახილს, რასაც მივყავართ ჩვეულებრივ კაპიტალში ინვესტიციებისაკენ. იგი ამტკიცებდა რომ ისინი ასეთს ნამდვილად წარმოადგენენ. თავისი შეხედულების შესამოწმებლად მან აიღო მონაცემები სხვადასხვა განათლების ადამიანთა შემოსავლების შესახებ. მათი კაპიტალური შეფასება მიღებულ იქნა გამომუშავების კაპიტალიზაციის მეთოდის დახმარებით ასაკის ყოველი დონისათვის, რომლის დროსაც მთავრდება განათლება.

განათლების სხვადასხვა დონის ღირებულება უოლშმა გამოითვალა წარმოების ღირებულების მეთოდით და შემდეგ შეადარა რა ეს ღირებულება და კაპიტალური ფასეულობა, ვარაუდობდა, რომ ისინი მიისწრაფიან ერთმანეთისაკენ.

უოლშმა აღმოაჩინა, რომ კოლეჯში მიღებული განათლების ფასეულობა აღემატება მისი მიღების ღირებულებას. მან გამოთვალა ასევე პროფესიული განათლების კაპიტალური ფასეულო-

ბა და ღირებულება და ნახა რომ ღირებულება აღემატება ფასეულობას იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც აქვთ მაგისტრისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. აღნიშნულის მიზეზებს უოლში ხედავდა იმაში, რომ გარეგნულად ჩანს მხოლოდ ფულის მიმოქცევა; მაგრამ მეცნიერები თავისი სამეცნიერო ხარისხით ღებულობენ განსაკუთრებულ დაკმაყოფილებას და სამომხმარებლო ფასეულობას. მაგალითად, მოგზაურობის შესაძლებლობას, ხანგრძლივ შვებულებებსა და არდადეგებს, სხვადასხვა სახეობის მომსახურეობას. ამ ფაქტორთა გათვალისწინება აუცილებლად გაადიდებს კაპიტალურ ფასეულობას და დაუახლოვებს ერთმანეთს ფასეულობასა და ღირებულებას. ფასეულობა მეტია ღირებულებაზე ინჟინრებისათვის, იმ პირთათვის ვისაც აქვთ ბაკალავრის ხარისხი. იურისტებისათვის, რამდენადაც ადგილი აქვს ამ პროფესიებზე მოთხოვნის მოკლევადიან გადაჭარბებებს მიწოდებასთან შედარებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ პროფესიების სპეციალისტთა მომზადება გაიზრდება და მათი ფასეულობა გაუტოლდება ღირებულებას.(3) მიუხედავად ცალკეული ეკონომისტთა შეხედულებებისა და გამოკვლევებისა ადამიანისეული კაპიტალის ერთიანი თეორია მე-20-ე საუკუნის 50-იანი წლებისათვის მაინც არ იყო ჩამოყალიბებული. მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებიც განპირობებული იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, როცა ადამიანი და მისი საწარმოო პოტენციალი გახდა ეკ. ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი, წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის თეორიის დამუშავების პრაქტიკულ წანამძღვრებს.

როგორც აღნიშნული იყო, ადამიანისეული კაპიტალის თეორიას და მასთან ერთად განათლების ეკონომიკას სწორედ ამ ობიექტურმა პროცესებმა ჩაუყარა საფუძველი.

ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირება უფრო და უფრო მეტად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ჰარმონიულია შრომითი ურთიერთობები, რამდენად არიან, მუშაკები მატერიალურად და მორალურად დაინტერესებულნი მაღალი საბოლოო

შედეგების მიღებაში. მუშაკის განათლების საერთო დონე, მისი პროფესიული საკვალიფიკაციო მომზადება ხდება ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი. მაღალკვალიფიციური კადრების უკმარისობა უშუალოდ ახდენს ზემოქმედებას ეროვნული შემოსავლის ზრდასა და დაგროვების დონეზე.

. . . . . .

განათლების ახალი პარადიგმა იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდას არა მარტო გადაეცეს კონკრეტული ცოდნა, არამედ შეისწავლონ მეურნეობრიობისა და სიცოცხლისუნარიანობის ხარისხობრივად ახალი პირობებისადმი ადაპტირება, ჩაერთონ მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა გარემოში.

ინვესტიციები ადამიანისულ კაპიტალში

ადმისეული კაპიტალის თეორიის ჩიკაგოს სკოლის მიერ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიური ასპექტები – ახსნას ეკონომიკური პროცესები ინდივიდის ქცევის მაქსიმიზაციის პრინციპის საფუძველზე, მოიცავს ადამიანი არასაბაზრო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებს. ჩიკაგოს სკოლის კონცეფციის მიხედვით, სახსრების დაბანდება განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, მიგრაციასა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ხდება რაციონალურ საფუძველზე-მომავალში მეტი შემოსავლის მიღების მიზნით.

ეს ხარჯები ანუ ინვენსტიციები დაბანდებული ადამიანისეულ კაპიტალში წარმოადგენს უმთავრესს, როგორც ოჯახისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვენსტიციების შედეგია გამოშუშავების უფრო მაღალი დონე, სიცოცხლის მანძილზე არჩეული სამუშაოთი მეტი დაკმაყოფილება, ასევა საქმიანობის არასაბაზრო სახეობების უფრო მაღალი შეფასება.

ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეულ ხარჯებს (ინვენსტიციებს) მიეკუთვნება:

1. პირდაპირი ხარჯები, მათ შორის სწავლის გადასახადი და განათლების მიღებასა და საცხოვრებელი ადგილის და სამუშაოს გამოცვლასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები.
2. ხელიდან გაშვებული გამომუშავება, რომელიც წარმოადგენს ალტერნატიულ დანახარჯებს, რამდენადაც განათლების მიღება, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაოს შეცვლა დამოკიდებულია შემოსავლების შემცირებასთან
3. მორალური ზარალი, რამდენადაც სამუშაოს ძებნა წარმოადგენს მძიმე და ზოგჯერ არასასიამოვნო საქმიანობას, რომელიც ღლის და ფიტავს ნერვიულ სისტემას; ხოლო მიგრაციას მოჰყვება ახლობლებთან და მეგობრებთან დაშორება.

ადამიანში დაბანდების უმთავრესი ფორმები, ნეოკლასიკოსთა აზრით, არის განათლება, წარმოებისათვის მომზადება, სამედიცინო მომსახურება, მიგრაცია, ფასებზე და შემოსავლებზე ინფორმაციის ძიება, ბავშვების დაბადება და მათი მოვლა. განათლება და წარმოებისათვის მომზადება ამაღლებს ადამიანის ცოდნას, ე.ი. ზრდის ადამიანისეული კაპიტალის მოცულობას. ჯანმრთელობის დაცვა ამცირებს დაავადებებს და სიკვდილიანობას, ახანგრძლივებს ადამიანის სამუშაო პერიოდს, ასევე ზრდის მისი გამოყენების ინტენსიურობას. მიგრაცია და ინფორმაციის ძიება უზრუნველყოფს სამუშაო ძალის გადაადგილებას იმ რაიონებსა და დარგებში. სადაც შრომა უკეთესად ანაზღაურებადია, ანუ იქ სადაც ადამიანისეული კაპიტალის გამოყენების ფასი მაღალია. ბავშვების დაბადება და მათი მოვლა წარმოადგენს მომავალი თაობის ადამიანისეული კაპიტალის კვლავწარმოებას.

ამ კლასიფიკაციაში სხვადასხვა ხანგრძლივობისა და სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე სხვადასხვაგვარად მოქმედი ფაქტორები გამოთანაბრებულია.

განათლება და ჯანმრთელობის დაცვა ყველაზე ხანგრძლივმოქმედი ფაქტორებია. განათლების პროცესის პროდუქტს წარმოადგენს ხარისხობრივად ახალი სამუშაო ძალა, კვალიფი-

კაციის მაღალი დონით, რომელსაც უფრო რთული შრომის განხორციელების უნარი შესწევს. ჯანმრთელობის დაცვა ადამიანს უფრო ხანგრძლივი და ინტენსიური შრომის საშუალებას აძლევს. მათგან განსხვავებით მიგრაცია და ინფორმაციის ძიება წარმოადგენს მოკლევადიანი მოქმედების ფაქტორებს. თუ განათლება და ჯანმრთელობის დაცვა დაკავშირებულია სამუშაო ძალის ღირებულების ზრდასთან, მიგრაცია და ინფორმაციის ძიება ასახავს სამუშაო ძალის ფასის ცვალებადობას მისი ღირებულების გარშემო. მიგრაცია და ინფორმაციის ძიება ეს განაწილებითი ხასიათის პროცესებია, მაშინ როცა განათლება და ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენენ სამუშაო ძალის წარმოების ცალკეულ მომენტებს.

ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციებიდან უმნიშვნელოვანესია ინვესტიციები განათლებაში.

არსებობს განათლებაში ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების ორი კრიტერიუმი: 1. მომავალი შემოსავლების ნაკადის ახლანდელი ფასეულობის გაანგარიშებისა და მასთან განათლებაში ინვესტიციების შედარების მეთოდი და 2. უკუგების შინაგანი ნორმის მეთოდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ სარგებლის რა განაკვეთის დროს იქნება ერთმანეთის ტოლი მომავალი შემოსავლების მიმდინარე ფასეულობა და ინვესტიციები განათლებაში.

რეალურ ცხოვრებაში, უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას იშვიათად თუ ღებულობენ გადაწყვეტილებებს მასში ინვესტიციების ეფექტურობის გაანგარიშების საფუძველზე. მიუხედავად ამისა აბიტურიენტები იყენებენ სხვადასხვაგვარ შეფასებებს (თავიანთი მშობლების, ნათესავების) და მხედველობაში იღებენ განათლების მიღების შემდეგ დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას და მასზე დანახარჯების განხორციელების აუცილებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი მონაცემები: 1969 წელს აშშ-ში საშუალოდ სიცოცხლის მანძილზე უმაღლესი განათლების

მქონე მამაკაცის შემოსავალი აჭარბებდა საშუალო სკოლადამთავრებული მამაკაცის შემოსავალს დაახლოებით 210 ათასი დოლარით. ამათგან 1969 წელს კოლეჯში ოთხი წლის სწავლა ჯდებოდა 5,2 ათასი დოლარი. მაშასადამე, სხვაობა შემოსავლებში 40-ჯერ ანუ 205 ათასით აჭარბებს უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ განათლების პირდაპირ დანახარჯებს.

თუ მეტი განათლების მიღება დაკავშირებულია დამატებითი გამომუშავების მიღებასთან, რომელიც აჭარბებს მომზადების ღირებულებას და ეს ნამდვილად ასეა, მაშინ განათლების მიღებისათვის საჭირო დანახარჯები შეიძლება დავახასიათოთ როგორც მზარდი ღირებულება. მაგრამ რომ ვთქვათ, რომ ეს კაპიტალია, ანუ თვითმზარდი ღირებულება, არ იქნებოდა მართებული. კვალიფიკაციის ფასეულობა იზრდება არა თავისთავად. აუცილებელ პირობას აქ წარმოადგენს მისი მფლობელის შრომა. რამდენადაც ადამიანისეული კაპიტალის შექმნა მოითხოვს შრომით საქმიანობას "ინვენსტორისაგან". სტუდენტები შრომობენ სწავლის პროცესში და ამდენად, ვერ სარგებლობენ დასვენებითა და გართობით ამ დროს, მაგრამ ისინი სიამოვნებით იღებენ ამ „მსხვერპლს", მომავალში მეტი სარგებლობის მიღების მიზნით.

განათლებიდან მიღებული სარგებელი შეიძლება იყოს 1. მომავალში უფრო მაღალი გამომუშავების, 2. უფრო საინტერესო, სასიამოვნო და პერსპექტიული სამუშაოს უფრო თავისუფლად მიღების, ან 3. მაღალპრესტიჟული პროფესიის ან მომავალში არასაბაზრო საქმიანობიდან მიღებული მაღალი დაკმაყოფილების სახით.

ზოგიერთი ადამიანი განათლებას განიხილავს, როგორც საომხმარებლო კეთილდეობას. მათ მოსწონთ ლექციებზე დასწრება და სტუდენტური ცხოვრება. ერთნი აკმაყოფილებენ თავიანთ ცნობისმოყვარეობას, იღებენ რა კმაყოფილებას თვით სწავლების პროცესიდან, მეორენი მიისწრაფიან განათლების მიღებისაკენ ხანგრძლივი სარგებლობის თვალსაზრისით. ასე თუ ისე, განათლებიდან შეიძლება მიღებულ იქნას სარგებელი

ხანგრძლივი დროის განმავლობაში, პრაქტიკულად მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ტექნიკისა ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში ადამიანისეული კაპიტალის თეორიაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუშაკის ახალ პირობებთან შეგუებას-ანუ მათ მობილურობას. მობილურობა მრავალმხრივი ცნებაა და გულისხმობს როგორც გადამზადებას, ასევე ადამიანისეული კაპიტალის მიგრაციას.

ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანები საკმაოდ ხშირად ნებაყოფლობით იცვლიან საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს. ადგილი აქვს როგორც ქვეყნის შიგნით გადაადგილებას, ასევე საერთაშორისო მიგრაციას. სამუშაო ადგილის შეცვლა დაკავშირებულია, როგორც მატერიალურ ასევე მორალურ ხარჯებთან (შემოსავლების დროებითი დაკარგვა, ახალი სამუშაოს ძებნა, ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლა და ა.შ.). ამდენად, სამუშაო ადგილის შეცვლა დაკავშირებულია ადამიანისეულ კაპიტალში მნიშვნელოვან მოკლევადიან ინვენსტიციებთან. თუმცა ამ ინვენსტიციებიდან სარგებელი შეიძლება იყოს გრძელვადიანი, თუ პიროვნება მიიღებს ახალ მაღალ ანაზღაურებად სამუშაოს.

ადამიანისეული კაპიტალის თეორია ნებაყოფლობით მობილურობას განიხილავს, როგორც ინვენსტიციებს, როცა მოკლევადიანი ხარჯები განხორციელდება გრძელვადიანი სარგებლობის მისაღებად. რაც უფრო ნაკლებია დანახარჯები სამუშაოს შეცვლასა და გადაადგილებაზე და მეტია განსხვავება ძველ და ახალ სამუშაოდან მიღებულ შემოსავალს შორის, მით მეტია მობილურობიდან მიღებული სარგებელი და უფრო მეტი ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების შეცვლასთან დაკავშირებით.

ადამიანთა ნაწილი საცხოვრებელ ადგილს იცვლის ეკონომიკური მიზეზების გამო. მაღალი ანაზღაურება ხდება მიგრაციის საფუძველი, და ამდენად, გადაადგილება ხდება იმ რაიონებიდან და ქვეყნებიდან, სადაც შრომის ანაზღაურების დაბალი დონეა,

იმ რაიონებში და ქვეყნებში, სადაც შესაბამისი ანაზღაურება მაღალია.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის მიხედვით, შედარებით მაღალი მობილურობით ხასიათდება ახალგაზრდები და განათლებული ადამიანები.

მიგრაცია საჭიროებს დანახარჯებს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინფორმაციის მოძიება იმ ქალაქებზე ან ქვეყნებზე, სადაც უკეთესი შესაძლებლობებია მუშაობისათვის (სამუშაოზე ადვილად მოწყობა, შრომის მაღალი ანაზღაურება). ასევე გარკვეული ხარჯებია საჭირო მგზავრობისათვის და მით მეტია ეს ხარჯები რაც უფრო შორს ხდება გადაადგილება.

ადამიანისეული კაპიტალის მობილურობასთან დაკავშირებულ ამ პრობლემებსაც მეცნიერთა მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა. განსაკუთრებით იზრდება მათი აქტუალობა თანამედროვე პირობებში, ცოდნა და ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად ძველდება, სწავლის პროცესი ღებულობს პერმანენტულ ხასიათს, ამასთანავე სწავლებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისად იზრდება.

ამრიგად, განათლების მიღება ადამიანებს საშუალებას აძლევს მიიღოს სარგებელი, ამასთანავე მისი მიღება დაკავშირებულია განსაზღვრულ დანახარჯებთან. სარგებლიანობა გამოიხატება ხელფასის გადიდებაში, სამომხმარებლო ხარჯების ეფექტურობაში, სამუშაოსა და დასვენებისაგან მიღებულ მაღალ დაკმაყოფილებაში, შეძენილი ცოდნის ახალ თაობაზე გადაცემაში და ა.შ.

ცალკეული ადამიანების სურვილი და მიდრეკილება განათლების მიღებისადმი, მათი ძალისხმევა და დანახარჯები დამოკიდებულია მათ პირად თვისებებზე ემპირული გამოკვლევები და სტატისტიკური მონაცემები ადასტურებენ ადამიანისეულ კაპიტალის თეორიის დებულებებისა და დასკვნების დასაბუთების მაღალ ალბათობას.

განათლებით სარგებლიანობა

განათლების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გაზარდოს განათლების მიმღების შესაძლებლობები, რომ შეძლოს მომგებიან საქმიანობაში ჩართვა და აწარმოოს სხვა საქონელი და მომსახურება. ეს ეკონომიკური პროცესია, რადგან ის უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ისევე როგორც აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას სხვა მომხმარებლებისათვის. განათლება ამდიდრებს თავისი მომხმარებლის ცხოვრებას, აფართოებს მათ შესაძლებლობებს ისეთი სამომხმარებლო საქონლის არჩევანში, როგორიცაა წიგნები, ჟურნალები, ხელოვნების ნიმუშები, მუსიკალური კომპოზიციები. ასე რომ, განათლება არის მომხმარებლის სარგებელი, ისევე როგორც მწარმოებლის სარგებელი.

სარგებელი, რომელიც განათლებას მოაქვს ადამიანისათვის, აისახება მოხმარების ხასიათში და ინვესტიციების რაოდენობაში. მოხმარების კატეგორიას მიეკუთვნება პროდუქცია და მომსახურეობა, რომლებიც ადამიანის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით და არის ინვესტიციების განხორციელების შედეგი. ინვესტიციების განხორციელებასა და მოხმარებას შორის შუალედური რგოლია საგანმანათლებლო მომსახურება. იგი უზრუნველყოფს სტუდენტის სურვილის დაკმაყოფილებას განათლების მიღებაში და ზრდის მისი შრომის ნაყოფიერებასა და მოხმარების კულტურას.

სარგებლობას განათლებიდან ღებულობენ პატარა ბავშვებიც, რომლებიც დადიან სკოლაში. მათ შეიძლება აღიარონ, რომ არ უყვართ სკოლა, ეზარებათ დილით ადგომა, გაკვეთილების მომზადება, მაგრამ როცა მას ადარებენ სხვა ალტერნატივებს, მაინც სკოლა ურჩევნიათ. სკოლაში სიარული მათი მოხმარების ელემენტია და საკმაოდ დადებითი მნიშვნელობისაა. მისი მნიშვნელობა, სავარაუდოა, რომ უფრო გაიზრდება განათლების შემდეგ ეტაპზე გადასვლასთან ერთად. ჩვენ ამ მომენტზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ განათლების სარგებლიანობის განსაზღვრისას მოხმარების ეს ეფექტიც უნდა გვქონდეს მხედ-

ველობაში.

განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ მეცნიერთა გამოკვლევებში ყურადღება ინვესტიციებზე მახვილდება. რეალურად შემოსავლის მიღების მოლოდინი წარმოადგენს განათლების რეალური სარგებლიანობის განსაზღვრის საფუძველს. განათლება ზრდის ადამიანის შრომის მწარმოებლურობას და უფრო მაღალი ხელფასის მიღების შანსებს აძლევს მათ. იგი ზრდის მის წვლილს საზოგადოებრივ პროდუქტში. ინდივიდს, რომელსაც სერიოზული ფუნდამენტური განათლება აქვს მიღებული, უფრო პერსპექტიულია ახალი სამსახურის მიღებაში და მეტად არის დაცული უმუშევრობისაგან.

განათლებაში ინვესტირების ერთ-ერთი შედეგია „მოხმარების" კულტურის ზრდა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის განათლების მიღების შემდეგ. განათლება აფართოებს სტუდენტების ჰორიზონტს და გააცნობს მათთვის აქამდე უცნობი ლიტერატურის, მუსიკის, ხელოვნების ნაწარმოებებს, რითაც მათ საშუალება ეძლევა თავისუფალ დროს მიიღონ სიამოვნება კაცობრიობის მიერ შექმნილი შემოქმედებისაგან. თავისუფალ დროს მიღებული სარგებელი არის კომპენსაცია იმ ენერგიისა, რომელიც იხარჯება ფორმალური დასაქმებისას სამუშაო ადგილზე. როგორც ჯ. მორგანი და მ. დევიდი ამტკიცებენ, მეტი განათლების მქონე ხალხს აქვთ ტენდენცია მიიღონ მეტი სიამოვნება თავისუფალი დროის გამოყენებით.(4) მთლიანობაში სარგებელი, რომელიც იქმნება თავისუფალი დროის გამოყენებით ან ფორმალური დასაქმების ადგილზე (სამსახურში), სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებისაა. მათ განსხვავებას ქცევის სხვადასხვა მოტივაცია და განათლების დონე უდევს საფუძვლად.

განათლებიდან სარგებელს ღებულობს როგორც ინდივიდი, ასევე საზოგადოება. რადგან ყოველი ადამიანი, რომელიც იღებს განათლებას, არის საზოგადოების წევრი, მის მიერ მიღებული კერძო სარგებელი არის საზოგადოებრივი სარგებელის ნაწილი. ამიტომ საზოგადოებრივი სარგებელი წარმოადგენს კერძო სარგებელისა და იმ სხვა სარგებელის ჯამს, რომელსაც ინდი-

ვიდი ვერ მიითვისებს.

შესაბამისად, არსებობს სარგებლიანობის ორი ტიპი: ერთი მიეკუთვნება საზოგადოებრივს და გულისხმობს განათლებასთან დაკავშირებული იმ ხარჯებიდან მიღებულ უკუგებას, რომელსაც ინდივიდი იხდის თავისი შემოსავლიდან. მეორე კი შეადგენს "გარე" სარგებელს, რომელიც იქმნება განათლებაში გაწეული სახელმწიფო ინვესტიციებით და მას ინდივიდები უშუალოდ ვერ ითვისებენ.

განათლების "გარე" სარგებლიანობის მაგალითია, სახელმწიფოს ინტერესი შემოსავლების დაბეგვრიდან მიღებული იქნეს ისეთი უკუგება, რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა მოსახლეობისათვის გარკვეული განათლების მიღების გარეშე. წიგნებისა და ჟურნალების გამოშვება, ინფორმაციის მასიური გავრცელება, რეალური ღირებულების პროპაგანდა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და სხვ. არაქმედითი და აზრს მოკლებულია თუ მოსახლეობა შესაბამისად არ არის მომზადებული. მოსახლეობისათვის ასეთი სახით განათლების მიცემის შედეგად იზრდება მათი ინფორმირების ხარისხი და იქმნება მნიშვნელოვანი „გარე" სარგებელი, რომლის გარეშე დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ იარსებებდნენ.

შედარებით უფრო რთულია მსჯელობა დაწყებით და საშუალო განათლებასთან დაკავშირებული "გარე" სარგებლიანობის შესახებ. განათლების ამ საფეხურზე მიღებული სარგებელი ინდივიდისათვის და საზოგადოებისათვის მცირედით თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან ორივე შემთხვევაში განათლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ უმაღლესი განათლებით მიღებული „გარე" სარგებელი უფრო მეტია იმ სარგებელთან შედარებით, რომელიც არ არის დაკავშირებული განათლებასთან. ემპირიული თვალსაზრისით ამის მაგალითია ის, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში დანაშაული უფრო ნაკლებია იმ ადამიანებში, რომელთაც მეტი განათლება აქვთ მიღებული.

შესაძლებელია ინდივიდის მიერ განათლების მიღება ყოვ-

ელთვის არ გულისხმობდეს საზოგადოების სხვა წევრისათვის სარგებლობის მოტანას. ამიტომ პრაქტიკაში საზოგადოებრივ და კერძო სარგებელს შორის განსხვავება არის იმ დანახარჯების ტოლი, რომელსაც გაიღებენ ინდივიდები, ხოლო საზოგადოება კი უბრუნებს მას ისეთი განათლების სახით, რომელიც უშუალოდ არ პასუხობს ინდივიდის კერძო მოთხოვნებს, მაგრამ არის სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების აუცილებელი პირობა

განათლების ერთ-ერთი სარგებელი დაკავშირებულია ყოველ მომდევნო თაობაში განათლების ზრდასთან. რაც უფრო განათლებულია მშობლები, მით უფრო მეტ განათლებას ღებულობენ მომდევნო თაობები. როგორც ჯეიმს კოლემანი და ასოციაციები აღნიშნავენ, მაღალი საგანმანათლებლო მიღწევები აქვთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან არიან, რომელთა მშობლებს მეტი წელი აქვთ გატარებული სკოლაში, რომლებსაც ცოტა დედმამიშვილები ჰყავთ და ისინი, რომელთა მშობლებს მათ სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები აქვთ.(5) განათლების ზრდის შედეგად იზრდება პოტენციური შემოსავლებიც. ამიტომ უფრო მაღალი შემოსავლის მიღების საფუძვლად შეიძლება ვაღიაროთ მშობლების მიერ განათლებაში გაღებული ინვესტიციები. შესაბამისად, დაწყებით და საშუალო განათლებიდან უკუგება საგრძნობლად გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ თაობათაშორის გადაცემულ სარგებელსაც. ამასთან, სარგებლიანობის სხვა ფორმას შეადგენს ის კმაყოფილება, რომელსაც პირველი თაობა ღებულობს იმის რწმენისაგან, რომ მეორე თაობა მიიღებს მასზე უფრო უკეთეს განათლებას.

განათლების სარგებლიანობა ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული დასაქმებასთან. შესაბამის განათლებამიღებულ ადამიანთათვის სამუშაოს პოვნა უფრო ადვილია, რამდენადაც კვალიფიკაციასთან ერთად მას სწრაფად შეუძლია მოთხოვნების შესაბამისად ახალი ცოდნის მიღება ვიდრე ნაკლებგანათლებულს.

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ უმუშევრობა მჭიდროდაა დაკავშირებული დაბალ განათლებასთან.

საჯარო სკოლების მხარდაჭერის ეროვნული კომიტეტის

(აშშ) მიხედვით, უმუშევრობით გამოწვეული დიდი ფინანსური და სოციალური დანაკარგები ვერასდროს ანაზღაურდება და არც არასოდეს აღდგება. უმუშევრობით გამოწვეული სოციალური დანახარჯები უფრო მეტია ვიდრე ეკონომიკური დანაკარგები. როცა შრომის უნარიანი ადამიანი ვერ პოულობს სამუშაოს, მისი იმედგაცრუება არანაირ ფულად ერთეულში არ შეიძლება გაიზომოს. დიდი ხნით უმუშევრობას თავისი წვლილი შეაქვს საერთოდ უმუშევრობის პრობლემაში, ვინაიდან ხდება ადამიანისეული კაპიტალის მოდუნება. უმუშევრობა ზემოქმედებას ახდენს იმ უნარებზე, რომლებიც მუშებს შეძენილი აქვთ. მას ასევე თავისი წვლილი შეაქვს ოჯახების ნგრევაში, კრიმინალსა და სხვა სოციალურ ბოროტებებში. (6)

განათლების დონე, მიხი ხარისხი, სხვა სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად თავისებურად უკავშირდება ციხის პრობლემას.

მსჯავრდებულთა შემადგენლობა (კაცი)

ცხრილი№ 1

	2004	2005	2006	2007	2008	2009
მსჯავრდებულია, სულ	9071	9168	16911	21170	20804	18354
მათ შორის ასაკში:						
14-17	598	475	1002	1060	1166	803
18-24	2581	2416	4561	5055	4638	4027
25-29	1490	1621	3007	3758	3817	3301
30-49	3456	3718	6737	9259	9483	8565
50 და მეტის	946	938	1604	2038	1700	1658

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო,
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=33&lang
საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2009
http://www.statistics.ge

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ საკმაოდ მაღალია მსჯავრდებულთა რიცხვი; იგი 2008 წელს შეადგენდა საქართველოს მოსახლეობის 0,47%-ს და 2009 წელს–0,42 %-ს. განსაკუთრებით საგანგაშოა 14-24 წლის სამართალდამრღვევთა რაოდენობა. 2008 წელს ეს მაჩვენებელი 5804 კაცი იყო, რაც მსჯავრდებულთა თითქმის 28%-ს შეადგენს; ხოლო 2009 წელს მსჯავრდებული იყო 4830 ახალგაზრდა, ანუ 26,3 %. უნდა აღინიშნოს, რომ 14-17 წლის მსჯავრდებულთა შორის მაღალი პროცენტით არის წარმოდგენილი ბავშვები, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ და არც მუშაობენ. მათი რიცხვი 2005-2009 წლებში 14-17 წლის მსჯავრდებულთა შორის 55-60%-ს შეადგენს.. აღნიშნულ საკითხში ჩვენ ქვეყანას აშშ-ს ანალოგიური მდგომარეობა აქვს. მსჯავრდებულთა რიცხვი აშშ-ში შეადგენს მისი მოსახლეობის 0,5%-ს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აშშ-ს იუსტიციის სტატისტიკის ბიუროს უფრო სრულყოფილი მონაცემები გააჩნია, რაც დეტალური ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა. აღნიშნული უწყების მონაცემებით, ამერიკის სახელმწიფო და ფედერალურ ციხეებში მილიონ ნახევარი პატიმარია. 1990-იან წლებში ციხეში პატიმრების საშუალო ყოველწლიური ზრდა იყო თითქმის 7%. პატიმრების უმეტესობას მიღებული აქვთ ძალიან დაბალი ფორმალური განათლება; მათგან 41,2%-ს საშუალო სკოლა დამთავრებული არა აქვთ. კოლუმბიას ყველაზე მეტი სკოლა დაუმთავრებელი ადამიანები ჰყავს მთელს ამერიკაში 10,6%, ასევე ყველაზე დიდი რაოდენობის პატიმარი ჰყავს – 1,913 პატიმარი 100,000 კაცზე. მინესოტაში პატიმრების რაოდენობა ძალიან ცოტაა 117 პატიმარი 100,000 კაცზე, მას მთელ ამერიკაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს საშუალო სკოლადამთავრებულთა მიღწევებში: 25 წლის ასაკის მოსახლეობის 87,9%-ს აქვს საშუალო ან უფრო მაღალი ხარისხის დიპლომი, 18-დან 24-წლამდე მოსახლეობის 93,3% ამთავრებს საშუალო სკოლას. ამერიკა პირველია მსოფლიოში თავისი მოქალაქეების დაპატიმრების მაჩვენებლით, მიუთითებენ ვერნ ბრიმლეი და რულონ გარფილდი.(7)

ადამიანთა უმეტესობა თვლის, რომ განათლებაზე საკმაოდ

დიდი თანხები იხარჯება; თუმცა ძალიან ცოტა თუ უკვირდება, რომ გაუნათლებელ ადამიანებზე უფრო მეტი დანახარჯები მიდის. კრიმინალის სიხშირე და დანახარჯები, რომელიც მოიცავს საზოგადოების ქონებას თუ კერძო შემოწირულობებს, რომლებიც გაილება გაუნათლებელ ადამიანთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის უფრო მეტია, ვიდრე დანახარჯები შესაბამისი განათლების მქონე ადამიანებზე. ციხეში ადამიანის შენახვა უფრო მეტი ჯდება, ვიდრე მოსწავლის სწავლა-განათლება, რაზეც მოწმობს შემდეგი მონაცემები.

ხარჯები ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის საკმაოდ მაღალია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იგი 3-ჯერ გაიზარდა. უფრი სწრაფი ტემპით იზრდება ხარჯები სასჯელაღსრულების დაწესებულებებისათვის. მისმა ზრდის ტემპმა 2009 წელს 2005 წელთან შედარებით 487% შეადგინა(4,9-ჯერ გაიზარდა). 1 პატიმარზე მოდის 2008 და 2009 წლებში, შესაბამისად 4621 და 6216 ლარი, მაშინ, როცა 1 საჯარო სკოლის მოსწავლისათვის წლის განმავლობაში დაიხარჯა 545 და 601 ლარი.

ხარჯები ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის

ცხრილი№ 2

დასახელება / წლები	2005	2006	2007	2008	2009
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	278 005,1	420,037.9	684,367.6	972,701.9	821,956.2
მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებები	23 409,2	31,744.7	82,388.8	96, 142.8	114,093.1
სულ განათლებაზე გაწეული ხარჯები	89 352,6	332,099.5	379,251.5	425,248.1	502,895.4

წყარო: ფინანსთა სამინისტრო, შესაბამისი წლების ბიუჯეტი, http://mof.ge

დამატებითი ხარჯები გაიღება მსხვერპლის და ხშირ შემთხვევაში დაკავებულის ოჯახების მიერ. თუ ამ ტემპებით გაიზარდა, მომავალში დანახარჯები გაუნათლებელ ადამიანებზე მნიშვნელოვნად მეტი იქნება, ვიდრე ადამიანების ხარისხიანი განათლებისთვის.

ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით კიდევ ერთი შედარება შეიძლება მოვახდინოთ: როგორც აღნიშნული იყო პატიმრები საზოგადოების 0,42%-ს შეადგენს, მაშინ, როცა მხოლოდ მოსწავლე, რომ არაფერი ვთქვათ სტუდენტს, მაგისტრანტსა და დოქტორანტზე ქვეყნის მოსახლეობის 2%-ამდე. აღნიშნული შედარება ალბათ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მიუხედავად განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციების ზრდისა, მას კიდევ უფრო მეტი ყურადღება სჭირდება, მითუმეტეს რომ სხვადასხვა, გარედან თავსმოხვეული პრობლემების გამო ქვეყანაში მრავლად გვყავს იძულებით გადაადგილებულები, სოციალურად დაუცველები და ა.შ.

რამდენადაც ძვირადღირებულიც უნდა იყოს იყოს განათლება, საზოგადოებისთვის გაუნათლებელი ადამიანებით გამოწვეული ხარჯები მასზე ყოველთვის უფრო მეტია, რაც ჩვენი ქვეყნის მაგალითზედაც დასტურდება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დიდი ინვესტიციები და შესაბამისად, საუკეთესო განათლების მიცემა საკუთარი ახალგაზრდებისთვის, განურჩევლად მათი საცხოვრებელი ადგილისა, მშობლების სიმდიდრისა თუ მათი სკოლების შემოსავლებისა, რათა ხელი შეუწყოს მწარმოებლურობის ზრდას და შესაბამისად, მეტ უკუგებას, რამდენადაც, როგორც არაერთხელ აღინიშნა მაღალ ინვესტიციას, მაღალი განათლება მოჰყვება რაც, როგორც ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის მაღალი სარგებლის მიღების აუცილებელი პირობაა.

თავი II. განათლების განვითარება საქართველოში

განათლების როლი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში

განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის და სხვა თვისებების სწავლებისა და განვითარების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო აქტივობა გულისხმობს ცოდნის წარმოებასა და განაწილებას, რომელიც ტარდება რეგულარულად ამ სასწავლო ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში.(8)

ყოველი საზოგადოებისა და ინდივიდის წინაშე დგება სწორი არჩევანის გაკეთების აუცილებლობა შეზღუდული საწარმოო და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და სხვადასხვა ტიპის სწავლების უზრუნველყოფისათვის. განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის ცოდნა ხელს უწყობს შემოქმედებითი ხასიათის სოციალური ქმედებების განვითარებას. ეს პროცესი ემყარება შეზღუდული რესურსების გამოყენებით განათლების ეკონომიკური ღირებულების, მისი ეკონომიკური შეფასების, დაგეგმვისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას.

მთელ მსოფლიოში საგანმანთლებლო მიღწევები და ეკონომიკური წარმატება ერთმანეთთანაა დაკავშირებული. საზოგადოების წევრთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის ბრძოლა საკლასო ოთახიდან იწყება. წარმოების თუ მომსახურების სფერო, ქვეყნის უსაფრთხოება თუ სხვა აუცილებელი კავშირ-ურთიერთობების განვითარება მოითხოვს განათლებულ მოქალაქეებს.

როგორც ალან გრიინსპანი აღნიშნავს, ხალხმა უნდა ჩადოს ინვესტიცია ადამიანისეულ კაპიტალში, რათა „დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლების ხარისხის კრიტიკული

მდგომარეობა გაუმჯობესდეს... თვით ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი ინფორმაციასა და ტექნოლოგიებში არ აწარმოებს დამატებით ეკონომიკურ ფასეულობას ადამიანთა შემოქმედებითობისა და ინტელექტის გარეშე... განათლებამ ეკონომიკას გრძელვადიანი სარგებელი უნდა მოუტანოს."(9)

ჩვეულებრივი და რა თქმა უნდა, სამართლიანი იქნებოდა განათლების განმარტება, რომ ეს არის საწარმო, რომელიც ახდენს ფულის და სხვა რესურსების გამოყენებას, რომ განავითაროს თავისი პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ქვეყნის ყველაზე დიდი საწარმო, განათლება აწარმოებს მხოლოდ უხილავ არამატერიალურ საქონელს და მომსახურებას, რომელიც ღირებულია, თუმცა ძნელად გასაზომი. ეს არის საწარმო, სადაც ობიექტური მონაცემები არსებობს მასში ჩადებული ფინანსების შესახებ, მაგრამ არ არსებობს კვლევა თუ ემპირიული სწავლება, რომელიც მოახდენდა მისი საერთო უკუგების გაზომვას. ის ჩვეულებრივ მართულია მთავრობის მხრიდან, თუმცა დამოკიდებულია კერძო საწარმოების ფინანსურ დახმარებაზე. აშშ არის მსოფლიო ლიდერი განათლებაში, რომლის მოსახლეობის 25% ამა თუ იმ გზით ჩართულია საგანმანათლებლო საქმიანობაში. (10) საქართველოში ეს მაჩვენებელი 23 %-ს შეადგენს.

ქვეყნები, რომლებიც ძალიან მცირე ძალისხმევას გაიღებენ განათლებისთვის, ჩვეულებრივ აწარმოებენ მატერიალურ საქონელს, რომელიც მხოლოდ არსებობისთვისაა აუცილებელი. ასე რომ, საგანმანათლებლო სისტემა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან შედეგს და ამავდროულად ერის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დეტერმინანტს.

რაც უფრო განვითარებულია ქვეყნები, მით უფრო მაღალია მთლიან შიდა პროდუქტში დანახარჯები განათლების სფეროში. მაგალითად, გერმანიაში, იაპონიაში და აშშ-ში განათლების სფეროში დანახარჯები შეადგენენ მათი მთლიანი შიდა პროდუქტის 4-5 პროცენტს, შვედეთში - 7-8 პროცენტს, ინდონეზიაში კი 1-2 პროცენტია.(11)

2005-2009-წლებში საქართველოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 2,9–3 პროცენტის ფარგლებშია (2000-2003 წლებში იგი საშუალოდ 2 პროცენტს შეადგენდა).

განათლების განვითარება საქართველოში

საქართველო ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც აღზრდისა და განათლების მიღების ტრადიციები უხსოვარი დროიდან იღებს სათავეებს; საქართველოში ძირითადად განვითარებული იყო საოჯახო სწავლება, თუმცა ბერძნული წყაროების მიხედვით სასკოლო სწავლებაც უნდა ყოფილიყო განვითარებული, რასაც ადასტურებს კოლხეთში არსებული გიმნაზიონები და დისკოები. ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან კოლხეთში უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური განათლების კერებიც არსებობდა. (12)

განათლებას ქართველები საზღვარგარეთ - პალესტინის, ბიზანტიისა და სხვა საგანმანათლებლო კერებშიც ღებულობდნენ. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში სირიაში არსებობდა ქართველთა განათლების ცენტრი, რომლის დამაარსებელი იყო პეტრე იბერი. განათლების კერები საქართველოს კულტურის განვითარებას ემსახურებოდა. ცოდნის მიღების შემდეგ ახალგაზრდები საქართველოში ბრუნდებოდნენ სამოღვაწეოდ.

მე-6 საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდნენ სირიის ქართული ფილოსოფიური სკოლის აღზრდილები ე.წ. "სირიელი მამები" და ხელი მიჰყვეს სამონასტრო მშენებლობას. მათ მშენებლობის იდეებთან ერთად ცოდნა-გამოცდილებაც ჩამოჰყვათ. სირიელი მამების მიერ დაარსებული სამონასტრო ცენტრები ქართული განათლების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცა.

საეკლესიო-სამონასტრო სკოლების მთავარი ღირსება ის იყო, რომ ისინი ემსახურებოდნენ ქართული წერა-კითხვის გავრცელებას, ამზადებდნენ არა მარტო ღვთისმსახურებს, არამედ

წიგნის შემქმნელებს. გარდა ღვითსმსახურებისა, ასწავლიდნენ ენებს, გრამატიკას, რაც აუცილებელი იყო მართლწერისა და საღვთო წიგნების ტექსტის უკეთ გაგებისათვის.

მე-12 საუკუნეში საქართველოში გაჩნდა აკადემიებიც (გელათის და იყალთოს), სადაც მსმენელები, თეორიული ცოდნის გარდა, ღებულობდნენ პრაქტიკულ ცოდნას და სწავლობდნენ ისეთ საგნებს, როგორიცაა ფილოსოფია, გრამატიკა, ასტრონომია, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, მედიცინა, სამართალმცოდნეობა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა...

მე-13, მე-14 საუკუნეებში სასკოლო განათლება შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. სკოლები კვლავინდებურად არსებობდნენ ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპო კათედრებთან, სამეფო-სამთავროთა რეზიდენციებსა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში.

სწავლა-განათლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კერები საქართველოში მე-13, მე-15 საუკუნეებში იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში. მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც კი თბილისი რჩებოდა მძლავრ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად და იგი კვლავინდებურად იზიდავდა უცხოელ სწავლულებს.

მე-16 საუკუნიდან იწყება ქართული განათლების ისტორიის ახალი პერიოდი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში "აღორძინების" სახელითაა ცნობილი. ამ პეროდში მოქმედების მთავარი მოტივი ეროვნულ-პატრიოტული იყო. მართალია, მონღოლთა ბატონობის დროს სწავლა-განათლების საქმე დაქვეითების გზას დაადგა, რადგან მტრების განუწყვეტელი შემოსევებისას სწავლა-განათლებისათვის პირობები არ არსებობდა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი იყო, წიგნები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა სიძვირის გამო, მაგრამ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები სწავლა-აღზრდის საქმეს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასული-

ერო სწავლა-აღზრდას.

მე-17 საუკუნიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერებიც აარსებდნენ სკოლებს. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდისტთა აღზრდა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება.

მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველო ირანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა. ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწენი (ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ.) კარგად ხედავდნენ ამ საშიშროებას. ქართველების ეროვნული სახის შესანარჩუნებლად, გარდა ფიზიკურ არსებობაზე ზრუნვისა, საჭირო იყო მის კულტურასა და იდეოლოგიაზე ზრუნვაც. ვახტანგ VI-ის გარშემო შემოკრებილმა საზოგადოებამ დაიწყო ბრძოლა ქართული კულტურის, მეცნიერების, ენისა და ლიტერატურის ასაღორძინებლად.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები დაარსდა და სწავლას ორგანიზებული, გეგმიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამავე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო კერათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. შესაფერისი განათლების მიღებას მხოლოდ სამეფო ოჯახისა და დიდ ფეოდალთა შვილები ახერხებდნენ. ვახტანგ მეექვსემ გაატარა სათანადო ღონისძიებები განათლებისა და ცოდნის გასავრცელებლად. აღმოსავლეთ საქართველოში გაიზარდა განათლების კერათა რაოდენობა. ამ საქმეს ემსახურებოდა ქართულ სტამბებში სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც ისტორიულ სიახლეს წარმოადგენდა. პირველი ქართული მეთოდური სახელმძღვანელო იყო "სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა," რომელიც 1711 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. (13)

1755 წელს ქ. თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, სადაც უმთავრესად მაღალი წოდების წარმომადგენელთა შვილებს იღებდნენ და ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, ქართულ

ენას, გრამატიკას, ფილოსოფიას, გალობას, ლოგიკას, ფიზიკასა და მათემატიკას. 1758 წელს სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა თელავშიც და მოგვიანებით იგი გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად. თელავის სემინარია სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა. შემწეობას კერძო პირებიც უწევდნენ და ეკლესიის შემოსავლიდანაც ღებულობდნენ. ამ სემინარიაში, დავით ბატონიშვილის ცნობით, ყველა წოდების წარმომადგენელი სწავლობდა. სწავლებას ლექციური ხასიათისა იყო. მოსწავლეები ჯერ ისმენდნენ ლექციებს, ხოლო შემდეგ პედაგოგები მათ ცოდნას ამოწმებდნენ გამოცდების გზით. სტიმულის მიზნით წარჩინებულ მოსწავლეებს ავჯილდოებდნენ.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა ქართლ-კახეთში კერძო სასწავლებლებიც არსებობდა. თბილისის კერძო სკოლებში განათლებას იღებდნენ არა მარტო ქართველები, არამედ სომხები და მაჰმადიანებიც.(14)

1860 წელს ყველა ტიპის 145 დაწყებითი და საშუალო სასწაჯლებელი არსებობდა, რომელიც 7850 მოსწავლეს აერთიანებდა, ე.ი. ყოველი ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 9-10 კაცი სწავლობდა. (15)

სასწავლო პროცესი არადამაკმაყოფილებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო, საეკლესიო თუ კერძო სკოლებს არ ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები, რადგან მათი მოსამზადებელი სპეციალური სასწავლებელი ჯერჯერობით არ არსებობდა. (16)

ეროვნული საგანმანთლებლო სისტემის დამკვირებისათვის ბრძოლაში უდიდეს გამარჯვებას მოასწავებდა 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, სადაც თავდაპირველად მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო, შემდეგ საბუნებისმეტყველო, აგრონომიული და მათემატიკური ფაკულტეტებიც დაემატა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სასწავლებლების უმრავლესობაში სწავლება ძირითადად რუსულად მიმდინარეობდა. ქართული ენა საეკლესიო, სამრევლო სკოლებს აფარებდა თავს,

ამიტომ მოსახლეობაც მას აძლევდა უპირატესობას.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საქრთველოში იწყება განათლების განვითარების მესამე ეტაპი. მას პოლიტიკურ მოტივებთან ერთად ეკონომიკური განვითარების მიზანშეწონილობა დაედო საფუძვლად.

ამ ეტაპის დამახასიათებელი ნიშანი გახდა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების ჩამოყალიბება. ამ სკოლებმა მოიცვა 14-50 წლის ასაკის ყველა ის მცხოვრები, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა. კულტურული რევოლუციის შედეგად მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა მასობრივ განათლებას საქართველოში, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ სწრაფი ტემპით გაიზარდა სკოლების რაოდენობა. იზრდებოდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობაც. 1914/15 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა სულ იყო 156,7 ათასი, 1921/22 - 212,7 ათასი, 1932/33 - 561,9 ათასი, 1939-40 წლებში - 800,5 ათასი, ანუ იგი გაიზარდა 5,1-ჯერ, მათ შორის სოფლად - 5,5-ჯერ. ამავე წლებში მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით სკოლებში გაიზარდა 1,1-ჯერ, აქედან სოფლად - 22,1-ჯერ. საშუალო სკოლაში - 17,6-ჯერ.(17)

საქართველოში მე-20 საუკუნის განმავლობაში საგანმანათლებლო და კულტურული ღირებულებები სულ ცოტა ორჯერ რადიკალურად შეიცვლა. პირველად იგი განხორციელდა 20-იან წლებში ბოლშევიკების გაბატონებასთან დაკავშირებით. მეორედ კი 90-იან წლებში - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ამ პერიოდში ურთიერთსაპირისპიროდ იცვლებოდა დამოკიდებულება კერძო და საზოგადოებრივი განათლებისა და კულტურისადმი, რაც შესაბამისად აისახა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდაში.

სასკოლო განათლების მაჩვენებლები
ცხრილი №3

№	მაჩვენებლები / წლები	2004-2005	2005/06	2006/07	2007/08	2008/09
1.	სკოლების რაოდენობა მათ შორის	3343	2731	2539	2462	2448
1.1.	საჯარო სკოლები	3167	2470	2282	2215	2178
1.2.	კერძო სკოლები	176	261	257	247	270
2	მოსწავლეთა რაოდენობა სულ	646397	634758	635978	615073	643116
	მათ შორის:					
2.1.	საჯარო სკოლებში	625394	601448	599677	576624	597820
2.2.	კერძო სკოლებში	21003	33310	36301	38449	46096
	ქალაქის			316403	305891	321824
	სოფლის			213648	204138	211010
	მთის			69626	66595	64986
3.	მასწავლებლების რაოდენობა სულ მათ შორის	75816	75704	76341	75492	76842
3.1.	საჯარო სკოლებში	71824	69009	69718	68779	69444
3.2.	კერძო სკოლებში	3992	6695	6623	6713	7398
	ქალაქის			34194	33457	34422
	სოფლის			29271	29284	29601
	მთის			12876	12751	12819
4.	საჯარო სკოლებში	1:8,7	1:8,7	1:8,6	1:8,4	1:8,6
	კერძო სკოლებში	1:5	1:5	1:5,5	1:5,7	1:6
	მასწავლებელი-მოსწავლის შეფარდება (საჯარო+კერძო სკოლები)			1:7,9	1:7,6	1:7,8
	ქალაქის			1:9,3	1:9,1	1:9,4
	სოფლის			1:7,3	1:7,0	1:7,1
	მთის			1:5,4	1:5,2	1:5,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, სკოლების რაოდენობა 2004-2005 წლებთან შედარებით 2008-2009 სასწავლო წელს 37%-ით შემცირდა მასწავლებელთა რაოდენობა კი არა თუ შემცირდა, არამედ უმნიშვნელოდ (1,4%-ით) გაიზარდა. უმნიშვნელო ცვლილებები შეინიშნება ასევე მოსწავლეთა რაოდენობაში. მასწავლებელი/მოსწავლის შეფარდების საშუალო მაჩვენებელი არც თუ მაღალია. საჯარო სკოლების მიხედვით საშუალოდ 1:7,8 – ს შეადგენს, კერძო სკოლებში კი 1:5,5. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალაქის საჯარო სკოლებში ეს შეფარდება გაცილებით მაღალია და იგი დაახლოებით 1:14-თანაა. (ცხრილში ქალაქს, სოფლისა და მთის სკოლებად დაყოფილია სკოლების მთლიანი რაოდენობა).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლებიდან დაწყებულ ეკონომიკური სისტემის შეცვლას რეფორმების დაწყება მოჰყვა. მთელი ათი წლის განმავლობაში, თითქმის არც ერთ სფეროში, მას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. რადიკალური რეფორმების ეპოქა საქართველოში 2004-2005 წლიდან დაიწყო. ჩვენი სახელმწიფოს რეფორმირების პროცესში განათლებისა და მეცნიერების რეფორმა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რეფორმის მთავარ მიზანს კი - ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სწორედ საზოგადოების მონაწილეობით თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს ჩამოყალიბება, გარემოსი, რომელიც დაეფუძნება არჩევანის თავისუფლებასა, თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და რომელიც დაეხმარება ადამიანებს შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისთვის და თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და უნარები – წარმოადგენს ქვეყნის მთავარ ამოცანას.

რეფორმის კონკრეტული ამოცანა კი განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, გამჭვირვალეობისა და ობიექტურობის მიღწევა, ასევე ბაზარზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, საზოგადოების ჩართულობის ზრდა, განათლების საფეხურებს შორის შესაბამისობის მიღწევა და მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ხელშეწყობაა.

საქართველოს პარლამენტმა 2004-2005 წლებში მიიღო ორი

ძირითადი კანონი- "საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" და "საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ", და ამით უზრუნველყო ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც სკოლებში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყოველგვარ დისკრიმინაციას გამორიცხავს.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა"(18)

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით (2004 წლის 21 დეკემბერი) დაიწყო ეტაპობრივი და სისტემური გარდაქმნები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კანონი მიზნად ისახავს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე უმაღლესი განათლების ორიენტაციის ხელშეწყობას, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებას მალევე მოჰყვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც არეგულირებს საქართველოს აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და აბიტურიენტების მიერ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების პირობებს, აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზაციის საკითხებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ (2005) ფაქტიურად გამორიცხა კორუფციის, როგორც შემაფერხებელი ფაქტორის გავლენა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე. 2005 წელსვე გაუქმდა ფორმალურად უფასო უმაღლესი განათლება და ამავე წლიდან ამუშავდა მერიტოკრატიული და სოციალური გრანტების პროგრამა. ორივე მათგანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებში სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებს. საგულისხმოა ის, რომ გრანტები გაიცება კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სწავლის გაგრძელების მსურველებზეც. საქართველოს განათლების სისტემაში დანერგილი ვაუჩერული დაფინანსების სისტემა უმაღლეს განათლებაზეც იქნა მორგებული.

„საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" ის საკანონმდებლო ბაზა, რომლის საფუძველზეც საქართველოში დაიწყო სასკოლო განათლების ძირეული სისტემური რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვისა და სწავლების და სწავლის ეფექტური სისტემის შექმნას. შემუშავდა ზოგადი განათლების შემდგომი განვითარების კონკრეტული მიმართულებები და პრინციპები.

რა შეცვალა რეფორმამ ზოგად განათლებაში?

50 პროცენტით გაიზარდა სკოლების სახელმწიფო დაფინანსება და ამოქმედდა დაფინანსების სამართლიანი და გამჭვირვალე - ვაუჩერული სისტემა: „ერთ მოსწავლეზე გათვლილი ბიუჯეტი". რამაც სკოლებს მასწავლებელთა ხელფასების ზრდის საშუალება მისცა. პირველად სკოლების მართვაში ჩაერთნენ პედაგოგები და მშობლები: არჩევითი სასკოლო სამეურვეო საბჭოები - 50/50 არჩეული მშობლები და პედაგოგები + 1 არჩეული უფროსკლასელი.

2006 წლიდან ხორციელდება და გაგრძელდება 2011 წლის ჩათვლით პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია". პროგრამის მიზანია: საქართველოს ყველა საჯარო სკოლის შენობების რეაბილიტაცია, აღჭურვა სასკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინოებით 2011 წლამდე და საანგარიშო პერიოდში საქართველოს საჯარო სკოლების ყველა მოსწავლისათვის სწავლების უკეთესი პირობების შექმნა.

2005-2008 წლებში მოქმედება დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება სკოლების კომპიუტერიზაციისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი პროექტი „ირმის ნახტომი".

2006 წლის სექტემბერში მოსწავლეები სწავლას შეუდგნენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმითა და ახალი სახელმძღვანელოებით.

მცირეკონტიგენტიანი სკოლების ოპტიმიზაციის მიზნით გატარდა მათი რესტრუქტურიზაცია და 2/3-ზე მეტ სკოლაში დაინიშნა ახალი დირექტორი.

რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში სასკოლო განათლებაზე გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს ცხრილი №1.

კანონის მიღებიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ ბრიტანელი განათლების ექსპერტები სერ მაიკლ ბარბერი და დევიდ ჰოპკინსი იტყვიან:

დავრწმუნდით, რომ რეფორმის პროგრამა ამბიციური, სტრატეგიული, ყოვლისმომცველი და სწრაფია. ჩვენი აზრით, იმ ბაზის გათვალისწინებით, საიდანაც რეფორმა დაიწყო – მწირი რესურსების მქონე სკოლები, სხვა ეპოქასა და ყავლგასულ იდეოლოგიაზე მორგებული სამართლებრივი სისტემა – მისასალმებელია მთავრობისმიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესისადმი თანდათანობითი, ეტაპობრივი მიდგომის ნაცვლად, რადიკალური სისტემური რეფორმის მაქსიმალურად სწრაფად განხორციელებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ არაერთი ქვეყნის განათლების რეფორმა, მაგრამ იშვიათად, თუკი საერთოდ გვინახავს ამდენად მწყობრი და კარგად დასაბუთებული რეფორმის პროგრამა... განათლების რეფორმა თანმიმდევრული და დასაბუთებულია." (19)

სკოლის ლიდერები დგანან გამოწვევის წინაშე – გააუმჯობესონ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები არსებული რესურსების და სხვა ისეთი გამოწვევების პირობებში, როგორიცაა:

- საჯარო სკოლებში ჩართულობა – მათში ჩართულია ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი და ის გააგრძელებს ზრდას შობადობის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად;
- არსებობს მასწავლებლეთა პრობლემა. სულ უფრო ნაკლებ ახალგაზრდას მიუწევს გული სკოლაში მასწავლებლობისაკენ;
- არც თუ ბევრ მასწავლებელს აქვს უნარი ფეხი აუწყოს ცვლილებების განხორციელებას სკოლაში;
- კიდევ მრავალი სკოლა საჭიროებს მატერიალ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კომპიუტერებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და ინტერნეტით აღჭურვას;
- და რაც მთავარია მრავლადაა დეფიციტი სკოლები, რომლებსც არ ჰყოფნის ფული არა თუ ახალი სასწავლო პროგრამებისა თუ სხვა სიახლეების დასანერგად, ხელფასის გასაცემადაც კი.

თავი III. სკოლის დაფინანსება

ფინანსების არსი

ტერმინი „ფინანსები“ (იტალიურად ფინანსია) წარმოიშვა XIII-XV საუკუნეებში იტალიის სავაჭრო ქალაქებში და ნიშნავდა ნებისმიერ ფულის გადახდას. შესაბამისად, ეს ტერმინი ნიშნავდა რაღაც პროცესს, ურთიერთობას სუბიექტებს შორის და კონკრეტულად ფულად ურთიერთობებს. შემდგომში ტერმინმა მიიღო საერთაშორისო მნიშვნელობა. თანამედროვე პირობებში მას ნებისმიერი, ფულთან დაკავშირებული ურთიერთობის მნიშვნელობით იყენებდნენ. ფინანსური ურთიერთობა არსებობს იქ, სადაც არსებობს ფულადი ურთიერთობა. ამდენად, ფინანსების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ფული წარმოადგენს მისი არსებობისა და ფუნქციონირების მატერიალურ საფუძველს, ხოლო თვით ფინანსები ეს არის ფულად ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლის პროცესში ხორციელდება ფულადი ფონდების შექმნა სახელმწიფოს, ორგანიზაციის, ფირმის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით.

ფინანსები ობიექტურად არსებული ეკონომიკური ურთიერთობაა და გააჩნია მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური საზოგადოებრივი დანიშნულება.

ფინანსები ეკონომიკაში სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს: 1. ფულადი საშუალებების ფონდების წარმოქმნის, 2. შემოსავლების განაწილების და 3. მაკონტროლებელ ფუნქციას.

თუ ჩვენ ფინანსების ფუნქციებს ქვეყნის მასშტაბით განვიხილავთ, მაშინ ნებისმიერ ქვეყანაში ფულადი შემოსავლებისა და ფულადი ფონდების ფორმირების მთავარ მატერიალურ წყაროს მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. სწორედ ფინანსების საშუალებით ხდება მისი განაწილება - გადანაწილება და სხვადასხვა ფულადი ფონდების ფორმირება და გამოყენება.

რაც შეეხება ფინანსების მაკონტროლებელ ფუნქციას, იგი ამ „სამუშაოს" მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის, განაწილებისა და გადანაწილების ყველა სტადიაზე ასრულებს. კონტროლის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს საფინანსო ურთიერთობის პროცესში შექმნილი ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი ფონდების მიზნობრივი გამოყენება.

ეკონომიკის ცალკეულ დარგებში ან სფეროებში და მათ შორის განათლებაში სახელმწიფოს მსგავსად სდება ფულადი ფონდების ფორმირება, განაწილება, გამოყენება და შესაბამისად მისი კონტროლი.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების ეკონომიკისადმი ინტერესი პლატონის დროიდან მოდის, მისი მჭიდრო კავშირი განათლების დაფინანსებასთან შეუმჩნეველი დარჩა თითქმის XX ს-ის შუა პერიოდამდე. იმ დროიდან მოყოლებული უამრავმა ეკონომისტმა და მკვლევარმა შეისწავლა ეს კავშირი. მათ აღმოაჩინეს და დოკუმენტურად დაადასტურეს, რომ განათლებაში ზრდა იწვევს ზრდას წარმოებაში და სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი თვლიან, რომ დანახარჯები განათლებაში აუცილებელია და რომ ის წარმოადგენს რეალურ ინვესტიციას ადამიანისეულ კაპიტალში.

ვინაიდან საგანმანათლებლო ინსტიტუტები არიან ქვეყნის საზოგადოებრივი ფულადი ფონდების ერთ ერთი ყველაზე დიდი მომხმარებლები, და ასევე მრავალი მნიშვნელოვანი მომსახურების მწარმოებელი და მომხმარებელი, პოზიტიური ურთიერთობა განათლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის რეალურია. ასეთი მჭიდრო და ურთიერთდამოკიდებული ურთიერთობა ეკონომისტებისა და განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის შესწავლის საგანი იყო და კვლავაც რჩება თანამედროვე პირობებში.

განათლების ეკონომიკის ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი ჩარლზ ბენსონი აღნიშნავდა: „მთელი მსოფლიოს მასშტაბით როგორც ფილოსოფოსები, ასევე საქმოსანი ადამიანები მი-

ვიდნენ კონსენსუსამდე: განათლება არის კაცობრიობის უკეთესი ცხოვრების უმთავრესი ძალა. განათლების ხარისხი მჭიდროდაა დაკავშირებული მის დაფინანსებასთან. რა რაოდენობის რესურსია ხელმისაწვდომი და რამდენად ეფექტურად ხდება მისი გამოყენება, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებიც განსაზღრავენ იმ ხარისხს რასაც განათლებისგან მოითხოვს საზოგადოება." (20)

საკამათო არ არის ის საკითხი, რომ განათლების შესაბამისი დაფინანსება საზოგადოებას ეკონომიკურ დივიდენდებს მოუტანს. ხარისხიანი განათლება ძვირია, მაგრამ მას მოაქვს შესაბამისი სარგებელი ინდივიდების, ოჯახების, ბიზნესის, პროფესიონალების, სოციალური სამსახურებისა და ინსტიტუტებისათვის. როგორც ბენსონი აღნიშნავს, რესურსების სწორი მართვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რესურსების ხელმისაწვდომობა. ეკონომისტები თანხმდებიან, რომ შესაფერისი დანახარჯები განათლებაზე ზრდის ბაზარზე საქონლისა და მომსახურების, ბიზნესის, როგორც ინდივიდების. ასევე საოჯახო მეურნეობების მსყიდველობით უნარს. ასეთი დანახარჯები საშუალებას იძლევა ასევე შემცირებულ იქნას წარმოებული პროდუქციის და საქონლის ფასები, გაიზარდოს ტექნოლოგიურ ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სამუშაო ძალის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის ზრდა.

საქართველოში განათლებისა და კონკრეტულად სასკოლო განათლების დაფინანსებაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი №4

სასკოლო განათლების დაფინანსება საქართველოში 2004-2010 წლები

ცხრილი №4

№	წლები / მაჩვენებლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010 გეგმით
1.	სახ. ბიუჯეტში	1511555.5	2.842073.0	2.809.427.5	3.866.236.1	5,554,684.9	5,554,684.9	5.554,684.9
2.	სკოლა განათლებაზე	64 839,4	89 352.6	332.099.5	379.251.5	425,248.1	502.895.4	523,980.3
3.	სას.კოლო განათლებას	9 979,3	37 012.8	259.567.5	289.098.2	314,622.4	359,671.3	389.554.6

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, , http://mof.ge

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეფორმის შემდგომ პერიოდი აღინიშნება სახელმწიფო ბიუჯეტისა და შესაბამისად განათლებაზე გაწეული ხარჯების ზრდით. 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის 3,7-ჯერ გაზრდას მოჰყვა განათლებაზე გაწეული ხარჯები 7,75-ჯერ გაიზარდა და სასკოლო განათლებაზე გაწეული ხარჯების 36-ჯერ ზრდა. თუ 2004 წელს განათლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში 4,3% იყო, ხოლო სასკოლო განათლების წილი 0,66% , 2009 წლისთვის იგი შეადგენდა განათლებაში 9%-ს, ხოლო სასკოლო განათლებაში 6,5 % -ს.

სკოლების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. ამდენად, ინსტიტუციური გარდაქმნების დასრულების პარალელურად აუცილებელია განათლების მატერიალური ბაზის განახლება. კერძოდ, არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ახლების მშენებლობა, ბიბლიოთეკების, ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების მოწყობა და აღჭურვა.

საქართველოს საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეაბილიტაცია პრაქტიკულად არ განხორციელებულა რეფორმამდე უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში (თუ არ ჩავთვლით საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ განხორციელებულ რამდენიმე პროექტს), რის გამოც სკოლებში შეიქმნა უმძიმესი ვითარება. შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირემ, სასკოლო გარემოს გაპარტახებამ ხელი შეუწყო სწავლების ხარისხის მკვეთრ დაცემას

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნაციონალური პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" შემუშავება დაიწყო 2005 წელს.

აღნიშნულმა მეგაპროგრამამ განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო და გრძელდება 2011 წლის ჩათვლით. პროგრამის მიზანი გახდა: საქართველოს ყველა საჯარო სკოლის შენობების რეაბილიტაცია, აღჭურვა სასკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინოებით და საანგარიშო პერიოდში საქართველოს საჯარო

სკოლების ყველა მოსწავლისათვის სწავლების უკეთესი პირობების შექმნა.

ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“
ცხრილი №5

პროგრამის დასახელება	2005	2006	2007	2008	2009
ნაციონალური პროგრამა „იაკობ გოგებაშვილი“	731 000	73 472 000	78 831 000	24 139 400	35 500 000

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http:/mes.gov.ge

2005-2008 წლებში ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში საექსპერტო და საკონსულტაციო დახმარების მიზნით ახორციელებდა თანამშრომლობით პროექტს ფონდ „ირმის ნახტომთან“.

„ირმის ნახტომი“ მხოლოდ სასკოლო რეფორმის ნაწილი როდია. ამ პროგრამის შედეგად საქართველოს თითოეული ქალაქი თუ სოფელი ჩაერთვება საკომუნიკაციო ქსელში, სკოლა იტვირთებს სათემო ცენტრის მნიშვნელოვან ფუნქციებს. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის ახალი კავშირების გაბმას ათასობით სკოლას შორის, საქართველოს სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებს შორის.

„ირმის ნახტომის“ თავდაპირველი გეგმა ქართველი ექსპერტების მონაწილეობით იმ გამოცდილმა ესტონელმა ექსპერტებმა შექმნეს, ვინც რამდენიმე წელიწადში წარმატებით შეასრულეს ესტონეთის სკოლების კომპიუტერიზაციის პროექტი „ვეფხვის ნახტომი“. ესტონელ ექსპერტებთან თანამშრომლობა კვლავაც გრძელდება, მათ შორის პროგრამის მომდევნო

ფაზის გეგმის შემუშავებაში.

„ირმის ნახტომის“ დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საგულისხმო და მისასალმებელია მეცენატების მხარდაჭერა, ისევე, როგორც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების თანადგომა.

ამჟამად თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ყველა საჯარო სკოლა, ინტერნეტიზებულია ქალაქებისა და დაბების სკოლები, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ნახევარი სწავლობს.

სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრაცია „ირმის ნახტომის“ სულ უფრო მნიშვნელოვანი მიმართულება ხდება. წარმატებული და პოპულარული სასკოლო კონკურსების გარდა იქმნება თანამედროვე მეთოდოლოგიური ბაზა და ელექტრონული რესურსები ტექნოლოგიების სხვადასხვა საგნის საგაკვეთილო პროცესში აქტიური გამოყენების მიზნით; ფუნქციონირებს მასწავლებელთა საგნობრივი ქსელები. შეიქმნება მასწავლებელთა პორტალი, სადაც მასწავლებლებს ქვეყნის ყველა კუთხიდან ექნებათ პროფესიული გამოცდილების გაზიარების საშუალება.

2008 წლის ბოლოს ტალინის უნივერსიტეტის ექსპერტებმა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ირმის ნახტომის თანამშრომლებთან ერთად განახორციელეს კვლევა საქართველოს სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. სკოლების შერჩევასა და ანალიზს ახორციელებდნენ ესტონელი ექსპერტები მარტ ლაანპერეს ხელმძღვანელობით, რომელმაც მოგვიანებით უზრუნველყო მონიტორინგის დასკვნისა და რეკომენდაციების ელექტრონული ფორმების გადმოგზავნა სააგენტოში.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას, საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. ესთეტიკური

და მიმზიდველი გარემოს შექმნა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს კიდევ უფრო დააახლოებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

ფონდ „ირმის ნახტომის" დაფინანსება

ცხრილი №6

	2005	2005	2005	2005	2005
სამინისტროს ბიუჯეტი (ათ. ლარი)	80,941.10	358,165.10	410,828.80	458,177.4	489,782.3
პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა „ირმის ნახტომი" (ათ. ლარი)	2,822.60	5,830.00	(12,931.80 ფონდის „ირმის ნახტომის" ხარჯების ჩათვლით) 12,710.6	(12,253.90 ფონდის ხარჯების ჩათვლით) 11,789.9	2,623.40 (ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ხარჯების გარეშე)

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http:/mes.gov.ge

სკოლის დაფინანსების ვაუჩერული ფორმა

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიღების ერთ ერთი პრიორიტეტი სკოლების პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსების შეცვლა და მოსწავლეზე გათვლილ ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა იყო. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსება დაწესდა სკოლებისათვის თანხების გამოყოფის პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების, ასევე თანხების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით. ვაუჩერულ დაფინანსებას უნდა მოეხდინა სკოლების ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა, მათი მოცულობისა და ტიპის გათვალისწინებით. „სახელმწიფო სწავლისათვის გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებს იმ სკოლაში, რომელიც ახორციელებს დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. კერძო და საჯარო სკოლებში სწავლებას ერთ მო-

სწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით სახელმწიფო დააფინანსებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია... ან წარმოადგენს ახლად დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას."(21)

სასკოლო ვაუჩერი წარმოადგენს მთავრობის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდს, რომლითაც მშობლებს შეუძლიათ გადაიხადონ თავიანთი ბავშვების სწავლისათვის, მათ მიერ შერჩეულ სკოლაში.

ვაუჩერული დაფინანსების პრაქტიკა ახალი არ არის. აშშ-ში იგი 50 წელზე მეტია ფუნქციონირებს, და ჰყავს თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგები. 1962 წელს მილტონ ფრიდმანმა მხარი დაუჭირა მის გამოყენებას თავის „კაპიტალიზმისა და თავისუფლებაში." მისი პროგრამა გულისხმობდა: (1) ყოველ შტატში განათლების მინიმუმ დონის განსაზღვრა, (2) ვაუჩერების გაცემა, რომელთა გამოყენება მშობლებს შეუძლიათ სკოლებში იმ განათლების შესაძენად, რომელიც არის იმ სკოლაში, (3) მშობლების მიერ იმ დამატებითი თანხის გადახდა, რომელიც საჭიროა ვაუჩერის თანხის ზევით.

ეს ამტკიცებდა, რომ ასეთი მოწყობა საშუალებას მისცემს მშობლებს გააკეთონ არჩევანი საგანმანათლებლო პროგრამებს შორის, იმ დამატებითი თანხის გადახდით, რომელიც საჭიროა ვაუჩერზე დამატებით. სკოლები შესაძლოა იყოს ნებისმიერი სახის – კერძო, საეკლესიო თუ საჯარო – ისინი დადგენილ შტატის (სახელმწიფოს) სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ. მაკკარტმა დაახასიათა ვაუჩერული სისტემა, როგორც დაფინანსების ფორმა, „რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს სახელმწიფოს დაფინანსებული ვაუჩერი გამოიყენონ მათი არჩევანის მიხედვით თავიანთი შვილების საჯარო თუ კერძო სკოლებში სწავლისთვის. პროგრამები იცვლება ხელისუფლების მიერ დადგენილი თანხის და კერძო სკოლების მიერ სწავლისთვის საბაზო ვაუჩერის თანხაზე დამატებითი ოდენობის განსაზღვრის მიხედვით."(22)

უპირატესობები და ნაკლოვანებები. შედარებით ადვილია

ამ ორგანიზაციულ სისტემაში შეზღუდვების და შესაძლო დეფექტების აღმოჩენა. აშკარაა, რომ მდიდარ ადამიანს შეეძლება განათლების შეძენა უფრო ძვირადღირებულ და პრესტიჟულ სკოლაში, მაშინ, როცა ნაკლებად შეძლებული ადამიანები იძულებულნი იქნებიან თავიანთი შვილებისთვის შეიძინონ განათლება ნაკლებად ძვირ ან სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ეჭვგარეშეა, რომ ეს გამოააშკარავებს არასასურველ სოციალურ-კლასობრივ განსხვავებებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სკოლების და კურიკულუმის არჩევანი მოსწავლეებისათვის ცენტრალურ ქალაქში ან მჭიდროდ დასახლებულ უბნებში არის შესაძლებელი, სოფლებში კონკურენტული სკოლების იდეა არ არის განხორციელებადი მოსწავლეთა შეზღუდული რაოდენობის გამო.

ვაუჩერული დაფინანსების მომხრეების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს სკოლების დიდ დეცენტრალიზაციას გამოიწვევს. ეს კი ძალიან კარგია, ვინაიდან სკოლებს უფრო დააახლოვებს იმ ადამიანებთან, რომელთა შვილებიც იქ სწავლობენ. ქაოსის საფრთხე რეალურია, თუ ყოველ სკოლას შეეძლება საკუთარი სტანდარტების და ღირებულებების, სასწავლო საგნების და სწავლის საფასურის დადგენა.

მომხრეები ასევე თვლიან, რომ ასეთი პროგრამა მშობლებს ფართო არჩევანს შესთავაზებს თავიანთი შვილებისათვის და სკოლებიც უკეთესი იქნება ბუნებრივი კონკურენციის არსებობის პირობებში. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ საჯარო სკოლები მონოპოლიას ფლობენ და ძალიან ნელა რეაგირებენ საზოგადოების ზეწოლას და კრიტიკაზე, როცა კერძო სკოლები, რომლებიც საზოგადოების შეხედულებაზე არიან დამოკიდებულნი სწრაფად რეაგირებენ თავიანთი მოსწავლეების სურვილებსა და საჭიროებებზე.

ვაუჩერული დაფინანსების ასეთ სისტემა მისაღებია, თუნდაც იმის გამო, რომ:

1. იგი საშუალებას აძლევს მშობლებს თავიანთი შვილებისთვის განათლების თავისუფალი არჩევანი ჰქონდეთ.

2. არ არის არანაირი საფუძველი იმისა, რომ არასახელმწიფო სკოლების არსებობით მოხდება დანაწევრება განათლებაში.

3. იმ მოსწავლეთა დაფინანსება, რომელიც კერძო სკოლას აირჩევს, დიდ გავლენას ვერ მოახდენს საჯარო განათლების დაფინანსებაზე.

ხშირად განიხილება საკითხი თუ ვინ უზრუნველყოფს უფრო მეტად განათლების მიღებას–საჯარო თუ კერძო სკოლები. „სკოლის არჩევითობის ინიციატივა, რომელიც უფლებას აძლევს მშობელს, აირჩიოს რომელ სკოლაში ასწავლოს შვილს, არ არის ერთადერთი სარგებელი, ის ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა საჯარო განათლების გაუმჯობესების საკითხში. ნაცვლად ერთი ყველასათვის, არჩევითი პროგრამები სთავაზობს მშობლებს სხვადასხვა ალტერნატივებს, რომელსაც ისინი მიიჩნევენ, რომ ყველაზე მეტად გამოადგება და შეესაბამება თავის შვილს".

აშშ-ში საზოგადოების დამოკიდებულება ვაუჩერთან დაკავშირებით მერყეევი იყო. 1993 წელს ფი დელტას გამოკითხვის მიხედვით რესპოდენტების 24% მომხრე იყო სახელმწიფოს ხარჯებზე კერძო სკოლაში სწავლის. მას შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მომხრეების დაფიქსირდა 2002 წელს 46%. 2003 წელს არის ვარდნა 38%-მდე; და 60% წინააღმდეგია.(23)

სკოლის ვაუჩერული დაფინანსების შედეგები საქართველოში

იმ ქვეყნებში სადაც ვაუჩერულ დაფინანსებას იყენებენ, იგი საკმაოდ მოქნილ პროცედურად არის მიჩნეული შედარებით დიდ სკოლებში, სადაც გარდა ვაუჩერული დაფინანსებისა, მეტია დამატებითი სახსრების მიღების საშუალებები. მაგრამ, რადგანაც პატარა სკოლებს შეიძლება პრობლემები შეექმნას მოსწავლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო შედარებით მწირი ფინანსური

რესურსების გამო ამდენად, ასეთი სკოლები, მიღებულ თანხებს მოქნილად ვერ გამოიყენებენ, რადგან აქ თითქმის მთელი ბიუჯეტი მხოლოდ ხელფასებზე დაიხარჯება.

პატარა სკოლების დამატებითი ფინანსებით უზრუნველყოფა საყოველთაოდ მიღებულია. ბასი აღნიშნავს: პატარა სოფლის სკოლები მრავალი სახის პრობლემას აწყდებიან, იქნება ეს კვალიფიციური მასწავლებლების მიღების, მათ გადამზადების თუ სხვა პრობლემები, თუმცა ყველაზე კრიტიკული და ყოვლისმომცველი პრობლემები დაკავშირებულია ხარჯებთან და შემოსავლებთან. პატარა სკოლებს, თუკი ისინი იგივე ხარისხის პროგრამით უზრუნველყოფას მოახდენენ, მოუწევთ ერთ-მოსწავლეზე მაღალი დანახარჯების არსებობის პრობლემის წინაშე გამკლავება: შეზღუდული ჩართულობა, მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდების დაბალი მაჩვენებელი, ერთ მოსწავლეზე მაღალი ელექტროენერგიის და საწვავის და სხვა ხარჯების არსებობა, და სხვა მრავალი გაუთვალისწინებელი ფაქტორი.(24)

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში სკოლები დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე 2005 წლიდან გადავიდნენ. „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №182 დადგენილებით განისაზღვრა ვაუჩერის დიფერენცირებული ღირებულება ქალაქის, სოფლის, დაბის და მაღალმთიანი დასახლებული პუნქტების სკოლებისათვის. იგი შესაბამისად შეადგენდა 220, 330 და 396 ლარს ერთ მოსწავლეზე.

მიუხედავად წინასწარი გათვლებისა, ვაუჩერული დაფინანსების პირველივე წელს აღმოჩნდა, რომ ყველა სკოლისათვის საკმარისი არ იყო ვაუჩერიდან მიღებული თანხა. როგორც სოფლისა და მთის ასევე ქალაქის დაბალკონტიგენტიანი სკოლები დეფიციტური გახდა. ეს არც იყო მოულოდნელი, რადგანაც საქართველოში, მისი რელიეფის გათვალისწინებით მრავლად არსებობს საკმაოდ მცირეკონტიგენტიანი სკოლები (სკოლების რაოდენობა, რომლებშიც 50 მოსწავლემდე–336-ია, ხოლო 100

მოსწავლემდე–391). აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ" სადაც მითითებულია, რომ „მცირეკონტიგენტიანი საშუალო სკოლა, რომელშიც ეროვნული სასწავლო გეგმის ხარჯები აღემატება ერთ მოსწავლეზე გათვლილ ფინანსური ნორმატივით დაფინანსების მოცულობას უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღოს დამატებითი დაფინანსება გაზრდილი ვაუჩერის სახით ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში".(25)

ვაუჩერის ღირებულების ზრდის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში № 7-ში

ვაუჩერის ზრდის მაჩვენებელი საქართველოში 2005-2009 წლებში

(ლარებში) ცხრილი№ 7

	2005	2006	2007	2007	2008	2009
ქალაქი	220	235	250	300	345/325	415/380
სოფელი	330	350	350	420	475/450	545/505
მთა	396	425	425	510	565	635

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http:/mes.gov.ge

როგორც ცხრილიდან ჩანს ვაუჩერის ღირებულების ზრდა 2005-2009 წლებში ქალაქის მოსწავლეებისათვის 5–ჯერ, ხოლო სოფლისა და მთის მოსწავლეებისათვის 4-ჯერ მოხდა. 2007 წელს იგი 2–ჯერ გაიზრდა. ამასთანავე, დაბალკონტიგენტიანი სკოლების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით 2008 წლიდან ქალაქისა და სოფლის მოსწავლეებისათვის მოხდა ორი დონის ვაუჩერის გაცემა: იმ შემთხვევაში თუ იგი ქალაქის

სკოლაში ისწავლიდა სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 400-ზე ნაკლებია, მისი ვაუჩერის ღირებულება იქნებოდა 345 ლარი, ხოლო თუ 400-ზე მეტი-325 ლარი. შესაბამისად სოფელში - სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 200-ზე ნაკლებია მოსწავლეები ღებულობდნენ 475 ლარიან ვაუჩერს, ხოლო 200-ზე მეტის შემთხვევაში – 450 ლარიან ვაუჩერს. 2009 წლისთვის ასეთი დაყოფა ძალაში დარჩა, და კვლავ გაიზარდა ორივე დონის ვაუჩერის ღირებულება როგორც ქალაქის ასევე სოფლისათვის.

უფრო ზუსტ სურათს ვაუჩერის ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით გვაძლევს სამივე დონის მიხედვით მისი ზრდის პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა:

ვაუჩერის ზრდის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში 2005-2009 წლებში

(% 2005 წელთან შედარებით) ცხრილი №8

წლები / მაჩვენებლები	2005	2006	2007	2007	2008	2009
ქალაქი	100	6,8	13,6	36,4	56,8/47,7 (საშ.52,3)	88,6/72,7 (საშ.80,6)
სოფელი	100	6,1	-	27,3	44/36,4 (საშ.40,2)	65,2/53,0 (საშ.59,1)
მთა	100	7,3	-	28,8	42,7	57,8

როგორც ცხრილიდან ჩანს და ზემოთაც აღვნიშნეთ, ვაუჩერის ღირებულება მისი შემოღების დღიდან 2009 წლის ბო-

ლომდე 4 და 5-ჯერ გაიზარდა. მატებამ შეადგინა (2009წელს 2005 წელთან შედარებით) ქალაქისათვის საშუალოდ 80,6%, სოფლისთვის 59,1% და მთის სკოლებისთვის 57,8%. მხოლოდ 2009 წელს 2008 წელთან შედარებით დაბალკონტიგენტიანი ქალაქის სკოლებისათვის ვაუჩერის ღირებულება გაიზარდა 20,2%-ით, მაღალკონტიგენტიანი სკოლებისათვის კი თითქმის 17 %-ით. მაშინ, როცა სოფლის მაღალკონტიგენტიანი სკოლებისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა შესაბამისად 14,7 და 11,2 %-ით, ხოლო მთის სკოლებისათვის 11,2%-ით. ვაუჩერის ამ სახით ზრდა ბადებს კითხვას: რატომ გაიზარდა ქალაქისათვის ვაუჩერის ღირებულება უფრო მეტად, ვიდრე სოფლისა და მთისათვის? თუ თავდაპირველად ვაუჩერის ღირებულების განსაზღვრისას მასში ჩადებულ იყო განსხვავება, რომლის მიხედვით ქალაქთან შედარებით სოფლის მოსწავლისთვის ვაუჩერის ღირებულება 50%ით მეტი იყო, ხოლო მთისა 80%-ით და ეს ამ ფორმით გაკეთებული იყო იმიტომ, რომ არსებობდა და კვლავ არსებობს დიდი განსხვავება ქალაქის, სოფლისა და მთის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობებში, რომ სოფლის სკოლებს შორის ერთეულებია სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 200-ს და მთის სკოლებში-100-120-ს აჭარბებს, მაშინ როცა ქალაქებში ერთეულებია სკოლები სადაც 300 მოსწავლეზე ნაკლები სწავლობს (სულ საქართველოს ქალაქებში ასეთი 52 სკოლაა, ამათგან უმრავლესობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებითაა დაკომპლექტებული,რომლებიც დამატებით დაფინანსებას იღებენ), რა შეიცვალა ამ მიმართებით მომდევნო წლებში? რითი გაუმჯობესდა მდგომარეობა სოფლისა და მთის სკოლებისათვის? მოსწავლეების საერთო რაოდენობის შემცირების ფონზე, რასაც მომდევნო წლებში ჰქონდა ადგილი და რაც ყველაზე მეტად სოფლისა და მთის სკოლების მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებით გამოიხატა (რაზედაც ცოტა ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ), მათი მდგომარეობა ხომ უფრო მეტად გაუარესდა? ვფიქრობთ, რომ არ არსებობდა

რაიმე საფუძველი ვაუჩერის ღირებულების ასეთი არაპროპორციული ზრდისა, რამაც უფრო და უფრო მეტად დააზარალა ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი სოფლისა და მთის სკოლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვაუჩერის ასეთი ფორმით ზრდამ შეუწყო ხელი ერთი მხრივ, დეფიციტური სკოლების რაოდენობის გაზრდას და მეორე მხრივ სტიმული დაუკარგა ზოგიერთი სკოლის ადმინისტრაციას ეფექტიანად გამოეყენებია შეზღუდული (ზოგჯერ კი არც თუ შეზღუდული) ფინანსური რესურსები. სკოლებს ამ ფორმით მოქმედებისაკენ ბიძგი მისცა იმ ფაქტმა, რომ გასულ წლებში სკოლის ხარჯები (ხელფასების ჩათვლით) უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე შემოსავლები. ამდენად, სკოლების ნაწილი მართლაც აღმოჩნდა პრობლემების წინაშე. მათი ნაწილი ვაუჩერული დაფინანსების პირველი წლიდანვე ითხოვდნენ დამატებით დაფინანსებას, მეორე ნაწილი კი ხელფასებისა და გათბობის ხარჯების ზრდის შემდეგ დაემატა მათ; მაგრამ ამ გაზრდილი ხარჯების პირობებშიდაც კი ქალაქის სკოლას 450-500 მოსწავლით, სწორი მენეჯმენტით, თავისუფლად შეუძლია იყოს უდეფიციტო, არა თუ სკოლები 600-700 და ზოგიერთ შემთხვევაში 800 მოსწავლით, რომლებიც ზამთრის სეზონის დადგომისთანავე გათბობის ხარჯების დასაფარად დამატებით ითხოვენ თანხებს.

ამრიგად, სკოლის ხელმძღვანელები განაგრძობენ საჭირო ფინანსების მოთხოვნას სამინისტროდან არა თავიანთი საგანმანათლებლო პროგრამების შესასრულებლად, არამედ ხელფასების გასაცემად, გათბობის უზრუნველსაყოფად, კომუნალური მომსახურებისათვის და სხვადასხვა აუცილებელი საჭიროებებისათვის. შეძლებს კი ასეთი სკოლა და მისი ხედვისა და მისიის განმახორციელებელი დირექტორი იფიქროს დანარჩენი, მეტად საჭირო და აუცილებელი მიზნების განხორციელებაზე? თუ მიყვება დინებას და იმუშავებს წლების მანძილზე იგივე პროგრამებით, იგივე კვალიფიკაციის მასწავლებლებით და იგივე სხვა დანარჩენი პრობლემებით? საკმაოდ მრავალრიცხოვანი სკოლები

ხომ ამ ფორმატში მუშაობენ და უმეტესი მათგანი თავსაც არ იწუხებს იმაზე ფიქრით, თუ საიდან შეიძლება მოიზიდოს დამატებითი თანხები სკოლის განვითარებისათვის..

თუ როგორ ფინანსდება სკოლები მოსწავლეებზე გაცემული ვაუჩერებიდან და რა თანხებს ითხოვენ ისინი დამატებით გვიჩვენებს ცხრილი...

სკოლების დაფინანსება საქართველოში
(2006-2009წლები) ცხრილი 9

№	წლები / მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009
1.	სულ სკოლების დაფინანსება	187 396 528	201 295 254	268 615 342	300 257 501
1.1	მათ შორის: ვაუჩერული დაფინანსება	177 221 416	189 546 842	224 221 738	268 348 068
1.2	დამატებითი დაფინანსება	10 175 112	11 748 411	44 393 693	31 909 433

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http:/mes.gov.ge

თუ 2006 წელს დამატებითი დაფინანსება ვაუჩერული დაფინანსების 5,75%-ს შეადგენდა. 2008 წელს მან 19,8% ,ხოლო 2009 წელს 12%შეადგინა. მიუხედავად 2008-2009 წლებში ვაუჩერის ღირებულების ზრდისა, დამატებით მოთხოვნილი თანხის მოცულობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუ 2006 წელს იგი 10 175 112 ლარს შეადგენდა, 2008 წელს აღნიშნულ 2006 წელთან შედარებით 4,4-ჯერ, ხოლო 2009 წელს 3,1-ჯერ გაიზარდა.

განსაკუთრებით მაღალი დამატებითი დანახარჯები 2008 წელს დაკავშირებული იყო საქართველოში რუსეთის ინტერვენციასთან დაკავშირებულ აგვისტოს ომთან, როცა იძულებით

გადაადგილებული მოსახლეობა დროებით შესახლებულ იქნა სკოლებში. მაშინ, როცა სკოლებში არდადეგები იყო და არ უნდა ჰქონოდათ თითქმის არავითარი ელექტროენერგიის, წყლის და სხვა დანახარჯები, მათ მოუხდათ საკმაოდ დიდი თანხების გადახდა, რაც მათ ბიუჯეტში ნამდვილად არ იყო გათვალისწინებული. მაგრამ მხოლოდ აგვისტოს ომი და რუსეთის ინტერვენცია ნამდვილად არ წარმოადგენს სკოლების დეფიციტურობის ასეთი ტემპებით ზრდის საფუძველს. მიუხედავად ამისა, სკოლების მიერ მოთხოვნილი თანხები მაინც იზრდება, რაც დაკავშირებულია დეფიციტური სკოლების რაოდენობის ზრდასთან.

აღნიშნულის თქმის საშუალებას შემდეგი მონაცემები გვაძლევს: სამი წლის (2007, 2008 და 2009 წწ) განმავლობაში ზედიზედ დეფიციტური იყო 703 სკოლა. აქედან ქ. თბილისის 10 სკოლა (191-დან), აჭარის 58 სკოლა (235-დან), გურიის 39 (94-დან), იმერეთის 124 (382-დან), კახეთის 49 სკოლა (193-დან), მცხეთა-მთიანეთის 48 (86-დან), რაჭა-ლეჩხუმის 58 (69-დან), სამეგრელო-ზემო სვანეთის 93 (254-დან), სამცხე-ჯავახეთის 89 (207-დან), ქვემო ქართლის 80 (273-დან), შიდა ქართლის 35 (166-დან).

დეფიციტური სკოლები
ცხრილი №10

№	წლები / საშუალო მაჩვენებლები	2006	2007	2008	2009
1.	ქალაქი	49	48	164	137
2.	სოფელი	380	372	621	627
3.	მთა	326	334	467	459
	სულ	755	754	1252	1223

როგორც ცხრილშია მითითებული, ეს მონაცემები წარმოადგენს წლების მიხედვით არსებული დეფიციტური სკოლების საშუალო მაჩვენებელს; რამდენადაც შემოდგომის თვეებიდან გვიან გაზაფხულამდე მათი რიცხვი მატულობს, ხოლო შემდეგ, დათბობასთან ერთად – იკლებს.

სკოლების მზარდ დანახარჯებზე ასევე ახდენს გავლენას მოსახლეობის მზარდი მობილობა. ოჯახები გადადიან რა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, დროებით ან მუდმივად ტოვებენ საცხოვრებელ ადგილს (ეს ძირითადად შეეხება მთიან რეგიონსა და სოფლებში მცხოვრებლებს). შესაბამისად, ბავშვებიც ტოვებენ სკოლებს, სადაც რჩება მოსწავლეთა შემცირებული რაოდენობა და ასევე შემცირებული მასწავლებლისა და მოსწავლის შეფარდება. ახალ სკოლებში კი მათ ხვდებათ მოსწავლეებით გადაჭედილი საკლასო ოთახები და შესაბამისად, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მაღალი შეფარდება.

ნაწილობრივ მსგავსი სიტუაცია შეინიშნება ქალაქის სკოლებშიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ დიდი მნიშვნელობა არ აქვს ოჯახების მობილობას ქალაქის რაიონების მიხედვით. ნაცვლად ამისა, აქ გვხვდება მშობელთა და მოსწავლეთა დაინტერესება ქალაქის ცენტრალურ უბნებში არსებულ სკოლებში სწავლით, რასაც აუცილებლად უკვე აღნიშნული სიტუაცია მოჰყვება. აღნიშნულ სიტუაციაში გარკვევაში დაგვეხმარება ცხრილი №11, რომელშიც მოცემულია მოსწავლეთა რაოდენობა კერძო და სახელმწიფო სკოლებში, განაწილებული ვაუჩერის ტიპის მიხედვით.

მოსწავლეთა განაწილება ვაუჩერის ტიპის მიხედვით
ცხრილი№11

2006-2007

ვაუჩერის ტიპი	კერძო	სახელმწიფო	სულ
მთა	235	69626	69861
ქალაქი	34617	316403	351020
სოფელი	1449	213648	215097
სულ	36301	599677	635978

2007-2008

ვაუჩერის ტიპი	კერძო	სახელმწიფო	სულ
მთა	283	66595	66878
ქალაქი	36418	305891	342309
სოფელი	1748	204138	205886
სულ	38449	576624	615073

2008-2009

ვაუჩერის ტიპი	კერძო	სახელმწიფო	სულ
მთა	378	64986	65364
ქალაქი	42704	321824	364528
სოფელი	2214	211010	213224
სულ	45296	597820	643116

2008-2009

ვაუჩერის ტიპი	კერძო	სახელმწიფო	სულ
მთა	366	62559	62925
ქალაქი	44961	310741	355702
სოფელი	2396	203503	205899
სულ	47723	576803	624526

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. http:/mes.gov.ge

ცხრილიდან ჩანს, რომ 2006-2007 სასწავლო წლებთან შედარებით 2009-2010 სასწავლო წლისათვის მთის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა 6936 მოსწავლით, ანუ 10%-ით, ხოლო სოფლის სკოლებში 9198 მოსწავლით ანუ– 5,3%-ით შემცირდა. ეს შეიძლება კანონზომიერ მოვლენად ჩაგვეთვალა, რადგანაც ამავე პერიოდში მთლიანად ქვეყანაში ჰქონდა ადგილი მოსწავლეთა საერთო რაოდენობის შემცირებას 11 452 მოსწავლით ანუ 1,8%, რომ არა ქალაქის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა, რომელმაც 4682 მოსწავლე, ანუ 1,33% შეადგინა.

ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლის შემდეგ სკოლების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს შემდეგი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას:

- სკოლების ვაუჩერით დაფინანსება თავიდანვე არ გამორიცხავდა დეფიციტური სკოლების არსებობას,. როგორც კანონში-ზოგადი განათლების შესახებ, არის მითითებული, მცირეკონტიგენტიანი სკოლები (რომლებიც საქართველოში არც თუ ცოტაა) მიიღებენ დამატებით დაფინანსებას. მაგრამ რეალურად დამატებითი დაფინანსება მოითხოვა არა მხოლოდ მცირეკონტიგენტიანმა სკოლებმა, გვაქვს ასეთი მაგალითებიც, როცა ქალაქის 450 ბავშვიანი სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფონდის შექმნას ახერხებს, მეორე, 600 და მეტ მოსწავლიანი სკოლები სამინისტროს დამატებით თანხებს სთხოვენ.
- უნდა ვივარაუდოთ, რომ დეფიციტური სკოლების თითქმის ორჯერ გაზრდის მიზეზი საკუთარი ფულისადმი უყაირათო დამოკიდებულების გარდა (რასაც ზოგიერთი სკოლის მიმართ სხვა სახელს ვერ დავარქმევთ), გახდა მასწავლებელთა ხელფასების უფრო სწრაფი ზრდა, ვიდრე ვაუჩერის ღირებულებისა. როგორც აღნიშნული იყო ვაუჩერის ღი-

რებულება და შესაბამისად, მისთვის გამოყოფილი თანხები გასული ხუთი წლის მანძილზე 1,5 – ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა ხელფასების ზრდა 2-ჯერ და მეტად მოხდა.

თავი IV. მასწავლებელთა ხელფასები

მასწავლებელთა ხელფასი – შრომის ანაზღაურების ძირითადი ფორმა

ადამიანისეული რესურსის ადმინისტრირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლებაში, რამდენადაც სკოლის წარმატება და ეფექტიანი მუშაობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია იქ მყოფ ადამიანებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხარისხიანი განათლების პროგრამა სამ ძირითად ელემენტზეა დამოკიდებული:

1. სისტემის შიგნით ადამიანური რესურსის ხარისხზე,
2. ადამიანური ურთიერთობების ხარისხსა და
3. არსებული ადამიანისეული კაპიტალის ხარისხის განვითარებასა და გამოყენებაზე.

სკოლის მთავარი ფუნქციაა მაღალი ხარისხის აკადემიური საქმიანობის წარმოებაა. ამდენად, განათლებაში ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის მასწავლებლებზე, როგორც ამ საქმიანობის უშუალო შემსრულებლებზე და შესაბამისად, სკოლის დაფინანსების პრობლემები პირდაპირაა დაკავშირებული სკოლაში მასწავლებელთა დასაქმებასთან.

მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ძირითად ფორმას ხელფასი წარმოადგენს. ხელფასი არის შრომის სტიმული და სახელმწიფო სექტორში მისი სიდიდის განსაზღვრის საფუძველი უნდა იყოს საბაზო ხელფასი და მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი დანამატი, ხოლო კერძო სექტორში კი მასწავლებელთა ხელფასები შეიძლება განისაზღვროს მათზე მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო კანონების მოქმედებაზე.

ხელფასი არის მასწავლებელთა შრომის საზოგადოებრივი შეფასების მაჩვენებელი. იმისათვის რომ ეს შრომა უფრო წარმატებული და დაფასებული იქნეს, აუცილებელია მათი ანაზ-

ღაურების სიდიდე იყოს დახარჯული შრომის ადექვატური, ზრდადი და ბაზრის აგრეგატებისადმი მგრძნობიარე. იგი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა წარმატებების მიღწევას პედაგოგიური საქმიანობით და სტიმულს აძლევდეს მასწავლებელთა შემოქმედებით მუშაობას.

როგორ უნდა განისაზღვროს მასწავლებელთა ხელფასები? როგორ უნდა იყოს იგი დაკავშირებული მოსწავლეების აკადემიურ წარმატებებთან, მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შესრულებასთან?

საკამათო არ არის, რომ შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საუკეთესო პრინციპად ითვლება შრომის შედეგები. როგორ უნდა გამოიხატოს რაოდენობრივად მასწავლებლის შრომის ნაყოფიერება - დახარჯული საათების რაოდენობით, მომზადებული მოსწავლეების რაოდენობით თუ მათ მიერ დაწერილი ნაშრომების რაოდენობით? როგორ უნდა გაიზომოს მასწავლებელთა შრომის შედეგი და რამდენად საფუძვლიანია, მოსწავლეთა აკადემიური წარმატებები მივიჩნიოთ მასწავლებელთა შრომის შედეგის მაჩვენებლად? რა სტიმულები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მასწავლებლები დაინტერესებულნი იქნენ მოსწავლეთა წარმატებებით და, ამასთანავე, მათ მიერ მოსწავლეების წარმატებების სუბიექტური შეფასება არ გახდეს ხელფასების გაზრდის მოტივაციის საფუძველი? ან კიდევ, რამდენად შესაძლებელია მოსწავლეების წარმატებები მივიჩნიოთ მასწავლებელთა მიღწევად, როდესაც სწავლების ეფექტიანობაში მოსწავლეების ბუნებრივი ნიჭიც თამაშობს დიდ როლს?

ყველა ეს კითხვა მასწავლებელთა შრომის შეფასების სირთულეებთან არის დაკავშირებული. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ პრობლემის გადაწყვეტა დაეფუძნა მასწავლებლის გამოცდილებას, მუშაობის სტაჟსა და ხარისხს.

საგანმანათლებლო სისტემაში მასწავლებელთა ხელფასის სკალა განსაზღვრულ იქნა ცენტრალური ხელისუფლების მიერ, პრეზიდენტის განკარგულებით. მასწავლებელთა დასაქმების, დი-

რექტორის დანიშვნისა და სხვა ორგანიზაციული საკითხები წყდებოდა განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ადგილობრივი მოქალაქეების ან რეგიონის ხელისუფლების ცდები ყურადღება გაემახვილებიათ სწავლების ხარისხზე ან სასკოლო საგანმანათლებლო პროცესებზე იყო შეზღუდული და მათი აქტივობაც ამ მიმართულებით–სუსტი. სწავლების ხარისხზე და მასწავლებელთა მომზადებაზე პასუხისმგებელობას ცენტრალური ხელისუფლება იღებდა.

1997 წლიდან დაიწყო მასწავლებლების სერტიფიცირება, რომელიც შეფასების ობიექტური კრიტერიუმების დადგენასა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად. გათვალისწინებული იყო შედეგების მიხედვით მასწავლებელთა 4 კატეგორიაში დაჯგუფება. მაგრამ ტესტებით მასწავლებელთა შეფასებასა და მათი კვალიფიკაცის გამოვლენასთან დაკავშირებით ტესტირების პროცესში წარმოიშვა წინააღმდეგობები. კატეგორიზაციის პრაქტიკა მიჩნეულ იქნა ფორმალურად და აღიარებული იქნა მისი თავისუფალი გამოყენება, რის გამოც ტესტირების პრაქტიკა დროებით შეჩერდა. მასწავლებელთა ხელფასები კატეგორიების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად: კატეგორიის გარეშე (ვინც არ გაიარა ტესტირება)- 35 ლარი, I კატეგორია 45,5 ლარი; II კატეგორია - 55,5 ლარი; უმაღლესი კატეგორია - 70 ლარი.

ასევე არსებობდა განსაკუთრებული წესები მთიან რეგიონებში, სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდისა. 1500 მეტრზე ზემოთ მასწავლებელთა ხელფასის სტანდარტი მრავლდება 1,2-ზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ზემოთ - 1,3-ზე და 2500 მეტრზე ზემოთ კი - 1,4-ზე.(26)

ხელფასის ზრდის მიუხედავად, პედაგოგთა შრომის ინტენსიობის, საარსებო მინიმუმისა და ინფლაციის დონის გათვალისწინებით, ანაზღაურება მეტად მცირე იყო. მიუხედავად განათლების სისტემაში არსებული დაბალი ხელფასისა, ადგ-

ილი ჰქონდა სახელფასო დავალიანებას, რაც განსაკუთრებით რეგიონებში შეიმჩნეოდა. დავალიანების მიზეზს კი, როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერტების შეფერხება, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის პრობლემები წარმოადგენდა.

განათლების რეფორმა და ხელფასის განსაზღვრის ინდიკატორები

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში რეფორმის დაწყებისა და უშუალოდ „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ" მიღებისთანავე გამოცემულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება (2005 წლის 21 ოქტომბერი) საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ბრძანების მიხედვით განისაზღვრა საჯარო სკოლების პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები. აგრეთვე ხელფასზე დანამატის გაანგარიშების კრიტერიუმების შექმნისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლების შესრულების მიზნით,დამტკიცდა ინსტრუქცია და შესაბამისი დანართები საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ;

საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურებაში გათვალისწინებული იყო მასწავლებლების ხელფასების და ხელფასებზე დანამატების გაანგარიშების (მინიმალური ზღვარი) პრინციპები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. პედაგოგის განათლება და კვალიფიკაცია;

2. საჯარო სკოლაში პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);

3. სამუშაოს სპეციფიკა:

ა) სამუშაო დატვირთვა მოსწავლეების რაოდენობის მიხედ-

ვით,

ბ) კლასკომპლექტი (ორ ან ორზე მეტ გაერთიანებულ კლასთან ერთი მასწავლებლის მუშაობა) ;

გ) არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება;

დ) კლასის დამრიგებლობა;

ე) სამუშაო დატვირთვა სამუშაო საათების მიხედვით;

კვალიფიკაცია: შრომის ანაზღაურების სქემის მიხედვით განისაზღვრა პედაგოგთა განათლების და კვალიფიკაციის ხუთი საფეხური:

1. საშუალო განათლება;
2. პროფესიული განათლება;
3. ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
4. მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება და 5 წლიანი დაუსწრებელი პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად გაცემული დიპლომი;
5. დოქტორის აკადემიური ხარისხი (მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან).

თითოეულ საფეხურს მიენიჭა კოეფიციენტი, რომელიც საბაზო ხელფასზე გადამრავლებით განსაზღვრავს პედაგოგის ხელფასს.

სამუშაო სტაჟი. პედაგოგთა სამუშაო სტაჟი ითვალისწინებს პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებას: 5 წლამდე, 5-დან 10 წლამდე, და 10 წლის ზემოთ. თითოეულ საფეხურს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოეფიციენტი, რომელიც პედაგოგთა განათლებისა და სამუშო დატვირთვის კოეფიციენტებთან ერთობლიობაში განსაზღვრავს ხელფასის განაკვეთს.

სამუშაოს სპეციფიკა. პედაგოგთა ხელფასზე დანამატი

რეფორმის შემდგომ წლებში განისაზღვრებოდა მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით განსაზღვრული კოეფიციენტებით. თანამედროვე პირობებში მოსწავლეთა რაოდენობას ხელფასის განსაზღვრისას მნიშვნელობა არ აქვს.

დანამატები, რომლებიც განსაზღვრულია კლასკომპლექტით სწავლებისათვის, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის და კლასის დამრიგებლობისათვის ასევე განისაზღვრება კოეფიციენტებით.

კლასკომპლექტით სწავლება არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებათა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატი გამოიანგარიშება ცალკე მინიჭებული კოეფიციენტის საბაზო ხელფასზე გადამვრალებით. აღნიშნული დანამატები არ არის დამოკიდებული პედაგოგთა ცენზზე და სამუშაო გამოცდილებაზე.

ხელფასის გამოთვლა სამუშაო დატვირთვის მიხედვით. საქართველოში მასწავლებლის ხელფასი გამოითვლება მისი დატვირთვის საფუძველზე. არსებობს 3 ტიპის დატვირთვა: ნაწილობრივი, სრული და სრულზე მეტი.

სრული დატვირთვა ნიშნავს 36 საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 (მე-19 და მე-20 საათები არ ანაზღაურდება. დანამატი დამატებითი საათებისათვის იწყება ოცდამეერთე საათიდან) საგაკვეთილო საათი კვირაში.

საქართველოში არ არის განსხვავება სამუშაო საათებში დამწყებ და კარიერული ზრდის დასასრულს მყოფი მასწავლებლებისათვის, განსხვავებით ევროპის ზოგიერთ ქვეყნისათვის (საბერძნეთი, პორტუგალია და კვიპროსი), სადაც კარიერული ზრდის დასასრულს მყოფ მასწავლებლებს მნიშვნელოვნად ცოტა საათები აქვთ, ვიდრე დამწყებ მასწავლებლებს.

ნაწილობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებელი კვირაში მუშაობს 36–ზე ნაკლებ სამუშაო საათს, რომელთა შორის


საგაკვეთილო საათები 18–ზე ნაკლებია. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება ხელფასი, დანამატები; გარდა სადამრიგებლო დანამატისა და საერთო სამუშაო საათების ოდენობა. სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 21 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 20–ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისათვის (21,22,23 და ა.შ.) მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი 20 ლარის ოდენობით (მიუხედავად სტაჟისა და ცენზისა), რაც სრული განაკვეთის 1 საათის ღირებულებაზე 1-დან 34 %-ით მეტია.

ევროპის ქვეყნებში კომპენსაცია დამატებითი საათებისთვის მერყეობს რეგულარული საათობრივი განაკვეთის 50%-დან პორტუგალიაში, რეგულარული საათობრივი განაკვეთის ორმაგ ოდენობამდე ჩეხეთის რესპუბლიკასა და ლიტვაში. შვედეთში მასწავლებლები იღებენ ერთ-ნახევარს ან ორმაგს, ისლანდიაში მაჩვენებელი არის 1.8 და 2-ს შორის. ზოგიერთ ქვეყანაში – ბელგია, ნიდერლანდები, კვიპროსი და რუსეთი – დამატებითი საათები იმავე განაკვეთით ნაზღაურდება, როგორც საგანაკვეთო საათები.

მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს 36 საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (საგაკვეთილო საათების გარდა) აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების

გაუმჯობესებამდე.

როგორც აღნიშნული იყო 2005 წლისათვის მასწავლებელთა მინიმალური საბაზო ხელფასი 115 ლარს შეადგენდა. 2005 წლის შემდგომ პერიოდში 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით მასწავლებელთა ხელფასები 4-ჯერ გაიზარდა: 2007 წელს ძირითადი მინიმალური ხელფასი 165 ლარი გახდა, 2008 წელს 195 ლარი, ხოლო 2009 წელს ორჯერ მოხდა ცვლილება და შესაბამისად შეადგინა 220 და 245 ლარი. შესაბამისად იზრდებოდა დამატებითი ანაზღაურება კლასის დამრიგებლობისათვის, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ არ არის დამოკიდებული სტაჟის, განათლებისა და სხვა ცვლადების სიდიდეზე. მასწავლებელთა ხელფასებისა და სადამრიგებლო დანამატის ზრდის შესახებ რეფორმის შემდგომ პერიოდში წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი დიაგრამა.



წყარო: განათლების და მეცნიერების სამინისტრო http://mes.gov.ge

ამავე პერიოდში მაქსიმალური ხელფასი, ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობების (მასწავლებლის კვალიფიკაცია, სამუშაო სტაჟი, სამუშაოს სპეციფიკა, სრული სამუშაო დატვირთვა) გათვალისწინებით შეადგენდა 356 ლარს პლუს კლასის დამ-

რიგებლობის 62,50 ლარი–418,50 ლარს. მაგრამ საქართველოს 2178 საჯარო სკოლიდან, რომელშიც 69 444 მასწავლებელი მუშაობს მხოლოდ ერთეულებია ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც დოქტორის ხარისხი აქვთ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბაზო ხელფასი არის ის მინიმალური ხელფასი, რომელიც მასწავლებელს ეძლევა კვალიფიკაციის ყველაზე დაბალი დონის(ბაკალავრის დიპლომი), სამუშაო სტაჟის არ ქონისა და სრული სამუშაო დატვირთვის პირობებში, კარიერული ზრდის უმაღლეს დონედ შეიძლება ჩავთვალოთ მასწავლებელი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, 10 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, მაქსიმალური დატვირთვა და სხვა ისეთი მახასიათებლები, რამაც შეიძლება განაპირობოს ხელფასის მომატება (ბრძანებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების პირობების შესაბამისად). გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში 2009 წლის ბოლო მონაცემებით მასწავლებლის მინიმალური ხელფასი არის 245 ლარი (დაახლოებით 100 €), ხოლო მაქსიმალური – 418 ლარი (დაახლოებით 178€). მიუხედავად ბოლო ხუთ წელში ხელფასების მრავალჯერ ზრდისა, მისი დონე ძალიან დაბალია და გაცილებით ნაკლებია ევროპის ქვეყნებში მასწავლებელთა ხელფასებზე. აღნიშნულის თქმის საფუძველს შემდეგი მონაცემები გვაძლევს: ითვლება, რომ ყველაზე დაბალი ხელფასი დამწყებ მასწავლებლებს აქვთ ბულგარეთში – 230€ და პოლონეთში – 420€ თვეში 18 საათიანი კვირეული დატვირთვის პირობებში; მაშინ, როცა იტალიასა და საფრანგეთში იგი შეადგენს 1667€ და 1679€ -ს შესაბამისად, 18 და 16 საათიანი კვირეული დატვირთვის პირობებში, ხოლო გერმანიაში 2,835 € 17 საათიანი კვირეული დატვირთვის პირობებში და ავსტრიაში-4741 €-ს. (27)

მასწავლებელთა ხელფასების შედარება სხვა ეკონომიკურ ინდიკატორებთან

თუ მოვახდენთ ხელფასის ზრდის შედარებას საარსებო მინიმუმის ზრდასთან, შედეგი იქნება შემდეგი: 2005 წელს მინიმალური ხელფასი მისი განმსაზღვრელი საარსებო მინიმუმის ღირებულების (115 ლარი) ტოლი იყო, მომდევნო წლებში მან საარსებო მინიმუმის ღირებულებას ჯერ მცირედით, ხოლო შემდეგ წლებში მნიშვნელოვნად გადააჭარბა (2009 წლის ბოლოსათვის საარსებო მინიმუმის ღირებულება 129 ლარს შეადგენდა მინიმალური ხელფასი კი 245 ლარს).

მასწავლებელთა მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმის ღირებულებასთან შედარება ნომინალურად საკმაოდ კარგ სურათს გვიხატავს. უფრო უკეთესი იქნება ეს სურათი, თუ შევადარებთ საარსებო მინიმუმის ღირებულებას მასწავლებელთა ფაქტიურ ხელფასებს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არის სკოლები მაღალკვალიფიციური, 10 წელზე მეტი სტაჟის მქონე მასწავლებლებით დაკომპლექტებული, რომელთა ხელფასი 245 ლარიანი საბაზისო ხელფასის პირობებში 400 ლარს სცილდება. ერთი შეხედვით მასწავლებლებს საწუწუნო და საყვედურის სათქმელი არაფერი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ თუ საკითხს შევხედავთ მეორე მხრიდან, აქ შეიძლება სულ სხვა სურათი ვნახოთ. მეორე მხარეში ჩვენ ვგულისხმობთ მასწავლებელთა ხელფასების შედარებას 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ მშპ-ს მოცულობასთან და ასევე ეკონომიკის სხვა სექტორებში მომუშავეთა ხელფასებთან. რამდენადაც მასწავლებელთა საშუალო ხელფასის რეალური მაჩვენებლის გაანგარიშება საჭირო მონაცემების არ ქონის გამო შეუძლებელი გახდა (ეს მონაცემი არ აღმოჩნდა არც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე და არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ასევე ჯერ-ჯერობით არ მოგვიხდენია მისი გაანგარიშება პროექტის ფარგლებში), მოვახდინეთ

ზემოთ აღნიშნული მონაცემების განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო ხელფასთან შედარება.

ხელფასის წლიური საშუალო მაჩვენებელი განათლებაში

ცხრილი № 11

№		2004	2005	2006	2007	2008	2009
1.	მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) ლარი	2276.7	2689.1	3133.1	3866.9	4352.9	4092.8
2.	წლიური საშუალო ხელფასი განათლებაში	1191,6	1406,4	1638	2250	3117,6	3828

წყარო: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის http://www.geostat.ge/ მონაცემებისა და ავტორის გაანგარიშების საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიუხედავად წინა წლებთან შედარებით, ბოლო ხუთი წლის მანძილზე, ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდისა, ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ მნიშვნელოვნად მაღალია ხელფასის წლიურ მაჩვენებელზე (2009 წელს თითქმის 10,7%-ით), თუმცა ხელფასების ზრდის მაჩვენებელმა ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაუსწრო მშპ-ს ზრდის მაჩვენებელს (მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 1,8%– ხოლო ხელფასის 3,2%). გერმანიაში 2009 წლისთვის მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 39.442 ევროს. ხოლო საშალო ხელფასი განათლებაში 47706 ევროს; ბულგარეთში, სადაც ითვლება, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალი ხელფასებია, მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 5916 ევროს, ხოლო საშალო ხელფასი განათლებაში 4608 ევროს.(28)

ასევე მოვახდინეთ განათლებაში დასაქმებულთა ხელფასების საშუალო მაჩვენებლის შედარება სხვა დარგებში დასაქმებულთა ხელფასებთან. შედარებისათვის შერჩეულ იქნა არამწარმოებლური სფეროს დარგები, როგორც უფრო ახლომდგომი განათლების სისტემასთან. ამ შედარებებით შევეცადეთ გვეჩვენებია, თუ რამდენად გაუარესდა ან გაუმჯობესდა განათლების მუშაკთა

(მათ შორის უდიდესი ნაწილი მასწვლებლებია) შრომის ანაზღაურება როგორც სხვა პროფესიის მუშაკებთან, ასევე საბაზისო პერიოდან შედარებით.

დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურება (თვეში)

ცხრილი № 11

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სულ საქართველოში	125,9	156,6	204,2	277,9	368,1	534,9	570,1
1. განათლება	97.6	99.3	117.2	136.5	187.5	259.8	319,4
2. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	66.4	83.0	108.9	141.5	199.2	292.3	343
3. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	111.7	135.2	172.7	190.1	285.1	529.0	488
4. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	142.4	161.0	237.6	332.3	462.9	611.6	755,5
5. ვაჭრობა	64.3	84.2	145.0	246.4	355.5	510.6	623
6. სასტუმროები და რესტორნები	155.5	155.5	153.1	196.7	238.5	333.7	380
7. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	198.6	220.3	290.9	391.3	491.0	666.9	732

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/

თუ მოვახდენთ განათლების სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების შედარებას არამწარმოებლური სფეროს სხვა დარგებში დასაქმებულებთა ანაზღაურებასთან დავინახავთ, რომ განსხვავება არა განათლების სფეროს სასარგებლოდ მნიშვნელოვანია. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს განათლების სისტემაში დასაქმებულებზე 7%-ით მაღალი ხელფასი აქვთ; სასტუმროებისა და რესტორნების მუშაკებს 19%-ით. კომუ-

ნალური და სოციალური მომსახურების სფეროს მუშაკებს - 52%-ით, ვაჭრობაში დასაქმებულებს - 95%-ით, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულებს-129%-ით და უძრავი ქონებითა და იჯარით მომხმარებლისათვის მომსახურებაში დასაქმებულებს – 139%-ით.

ჩამოთვლილ დარგებში ხელფასების ზრდის ტემპების მიხედვით ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2003 წელთან შედარებით 2009 წლისათვის განათლებაში ხელფასები დაახლოებით 3,3-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა იგივე პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების სფეროში იგი 5-ჯერ, კომუნალური და სოციალური მომსახურების სფეროში 4,4-ჯერ, ვაჭრობაში – 9,7-ჯერ, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში-3,7-ჯერ და უძრავი ქონებითა და იჯარით მომხმარებლისათვის მომსახურებაში-5,3 ჯერ გაიზარდა. ერთადერთია სასტუმროებისა და რესტორნების სფერო, სადაც იგი მხოლოდ 2,4-ჯერ გაიზარდა, თუმცა მიუხედავად ამისა, საშუალო ხელფასი მასწავლებელთა ხელფასზე მაღალია.

შედარებისათვის მოვიძიეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის ანალოგიური მონაცემები. აღმოჩნდა, რომ გერმანიაში განათლების მუშაკთა საშუალო ხელფასი მხოლოდ ორი დარგის-ინფორმაცია და კომუნიკაციებსა და საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობაში დასაქმებულთა ხელფასს ჩამორჩება.(29)

არამატერიალური სფეროს მუშაკთა წლიური ხელფასი გერმანიაში. 2008 წელი

(ევრო) ცხრილი №12

მომსახურების სფერო	41,397
ვაჭრობა	41,951
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	35,071
ინფორმაცია და კომუნიკაცია	56,985
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა	58,473
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	45,338
განათლება	47,706
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაზღვევა	39,836

წყარო: //www.destatis.de/jetspeed/portal/cms/Sites/destatis/Internet/EN/Content/Statistics/VerdienstеArbeitskosten/Bruttoverdienste/Tabellen/Content100/Bruttojahresverdienst,templateId=renderPrint.psml

მშპ ერთ სულ მოსახლეზე გერმანიაში ამავე პერიოდში 39 442 ევრო იყო.

როგორი არგუმენტიც არ უნდა მოვიძიოთ განათლების მუშაკთა და განსაკუთრებით მასწავლებელთა ასეთი დაბალი ხელფასების დასაცავად (რომ მასწავლებლები არ შრომობენ სრული 12 თვის განმავლობაში, რომ მათი შრომა შედარებით უსაფრთხოა, სამუშაო გარემო და პირობები ხელსაყრელი) ის მაინც ვერაფრით გაამართლებს ამ სფეროში გატარებულ პოლიტიკას და ყოველთვის შეგვეძლება დასაბუთებული კონტრარგუმენტების მოტანა და დაპირისპირება მასწავლებელთა ხელფასების ზრდის აუცილებლობის დასაბუთებისათვის. უპირველეს ყოვლისა, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის ზემოთ ჩამოთვლილი დარგები, გარდა ჯანმრთელობის

დაცვისა, ისინი არ შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე განათლება, რამდენადაც განათლება არის ის სფერო, სადაც მასწავლებლის დახმარებითა და მისი უშუალო მონაწილეობით იზრდება და საზოგადოების წევრად ყალიბდება მომავალი თაობა. ამასთანავე, თავის მხრივ მასწავლებელი ეცნობა რა ახალ სასწავლო პროგრამებს თუ სიახლეებს საგნის სწავლების მეთოდიკაში, მუდმივად ახდენს ცოდნის დონის, გამოცდილებისა და უნარებისა გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ამ შემთხვევაში იგი ხომ არ გამოდის იმ გამოკვლევების საპირისპიროდ, რასაც ბოლო რამდენიმე ათწლეულია განათლების ეკონომისტები ამტკიცებენ და რომ სახსრების დაბანდება ანუ ინვესტიცია განათლებაში, ხდება რაციონალურ საფუძველზე-მომავალში მეტი შემოსავლის მიღების მიზნით. რომ განათლების მიღება ადამიანებს საშუალებას აძლევს მიიღოს სარგებელი, ამასთანავე მისი მიღება დაკავშირებულია განსაზღვრულ დანახარჯებთან. სარგებლიანობა კი გამოიხატება ხელფასის გადიდებაში, სამომხმარებლო ხარჯების ეფექტურობაში, სამუშაოსა და დასვენებისაგან მიღებულ მაღალ კმაყოფილებაში, შეძენილი ცოდნის ახალ თაობაზე გადაცემაში და ა.შ.

განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ მეცნიერთა გამოკვლევებში ყურადღება ინვესტიციებზე მახვილდება. რეალურად შემოსავლის მიღების მოლოდინი წარმოადგენს განათლების რეალური სარგებლიანობის განსაზღვრის საფუძველს. განათლება ზრდის ადამიანის შრომის მწარმოებლურობას და უფრო მაღალი ხელფასის მიღების შანსებს აძლევს მათ. იგი ზრდის მის წვლილს საზოგადოებრივ პროდუქტში. ინდივიდს, რომელსაც სერიოზული ფუნდამენტური განათლება აქვს მიღებული, უფრო პერსპექტიულია ახალი სამსახურის მიღებაში და მეტად არის დაცული უმუშევრობისაგან. შესანიშნავი დასკვნებია, მაგრამ მასწავლებელთა არსებულ ხელფასებთან მიმართებაში ისინი ყველაზე ნაკლებად ასახავენ კარგ პერსპექტივას მომავალი მასწავლებლებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელფასების პრობლემას ენიჭება თანამედროვე პირიბებში, როცა უფრო და უფრო მეტი მოთხოვნები (ყველა სხვა დარგში დასაქმებულთაგან განსხვავებით) დგება მასწავლებელთა წინაშე. დღეს, როდესაც ადამიანებისათვის ხელმისაწვდომია დიდი მოცულობის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი უდიდეს მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მარტო ამ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასება შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით; დასახული მიზნისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. სკოლაში უნდა ჩამოუყალიბდეს მოზარდს ახალი ცოდნისა და ჩვევების შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება. ყოველივე აღნიშნულის განხორციელებაში უდიდესი წვლილი მასწავლებელს შეაქვს.

განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მასწავლებლისგან მოითხოვს პროფესიონალიზმის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც განათლების სისტემის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. სისტემაში მოქმედ პოლიტიკოსებსა თუ განათლების სპეციალიტებს კარგად ესმით, რომ ვერცერთი ცვლილება ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ ამ ცვლილებებს მასწავლებლები არ გაითავისებენ და განახორციელებენ საკუთარ პრაქტიკაში.

აღნიშნულთან პირდაპირ კავშირშია მოთხოვნა იმის შესახებ , აუცილებელია მოხდეს მასწავლებელთა სერტიფიცირება. შესაბამისად ამისა და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება.

მოქმედმა მასწავლებელმა სერტიფიკატის მოსაპოვებლად უნდა ჩააბაროს გამოცდა. ყველამ, ვისაც სურვილი აქვს ასწავლოს სკოლაში, მიუხედავად მისი სამეცნიერო მიღწევებისა, უნდა გაიაროს სერტიფიცირების პროცესი.

2014 წლამდე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება მიეცა ყველა მოქმედ მასწავლებელს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პედაგოგიური განათლება. პირს, რომელიც ამჟამად არ მუშაობს სკოლაში, მაგრამ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური საქმიანობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება, ასევე აქვს უფლება ჩააბაროს გამოცდა.

სასერტიფიკაციო გამოცდით შეფასდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პროფესიული უნარი, საგნობრივი ცოდნა და საგნის სწავლების მეთოდიკა. გამოცდა ორი ნაწილისგან შედგება: 1. პროფესიული უნარის შესაფასებელი ტესტი; 2. საგნობრივი ტესტი.

სასერტიფიკაციო გამოცდა მასწავლებელს შესაძლებლობას მისცემს, დაადასტუროს თავისი პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მასწავლებელი მიიღებს კვალიფიკაციის შესაბამის სერტიფიკატს.

რამდენადაც განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები მასწავლებლისგან მოითხოვს კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას, სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მასწავლებელი კვლავ მონაწილეობს კარიერული ზრდის პროცესში, რომელიც ამავდროულად, სერტიფიკატის განახლების პროცესსაც წარმოადგენს. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის პედაგოგი ვალდებულია, დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტები. მასწავლებლის პროფესიული კრედიტების დაგროვების შესაძლებლობა ექნება შემდეგი ალტერნატიული ფორმების გამოყენებით:

1. აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრ-

ამების გავლა;

2. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

3. საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა მასწავლებლებისთვის ცოდნის გაზიარება).

სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარაბის შემდეგ, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ინვესტირებას, რომელსაც მასწავლებლები ახდენენ თავიანთი ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებაში ჯეროვნად დაფასდება, რაც მათი ხელფასების შესაბამის ზრდაში აისახება. (30)

თავი V. სკოლის დირექტორი და მისი თანამედროვე როლი

სკოლის დირექტორი – ლიდერი განათლებაში

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე პასუხისმგებელია დაწესებულების დირექტორი". ასევე კანონითაა განსაზღვრული მისი პასუხისმგებლობები და მოვალეობები – ადამიანური რესურსების, სასწავლო პროცესის თუ ფინანსების მართვის, ანგარიშების მომზადების, თუ სამართლებრივი საქმიანობის წარმართვის მიმართულებით. (31)

სკოლის დირექტორის უპირველესი ფუნქციაა – განახორციელოს სკოლის მართვა. ამისათვის მას უნდა შეეძლოს სკოლის ხედვისა და მისიის ჩამოყალიბება; ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტური მართვა; აუცილებლად სჭირდება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მოსმენისა და გადაწყვეტილებების მიღების, ცვლილებების განხორციელების, კონფლიქტების განეიტრალებისა და მუშაობის პროცესში გამოვლენილი სხვადასხვა სიტუაციებში გარკვევისა და გამოსავლის მონახვის კარგი უნარი; კარგი ხელმძღვანელი ქმნის საჭირო წესრიგს და მტკიცე რწმენას სკოლის ორგანიზაციის ასპექტებისადმი. მაგრამ არა საჭირო ოდენობის უწესრიგობის გამორიცხვით, როცა ხდება ახალი მიზნების და პროცესების დამკვიდრება, როცა სკოლა მიმართავს ახალ გამოწვევებს და ცდილობს შექმნას უფრო პროდუქტიული მომავალი.

აშშ-ს საშუალო სკოლების დირექტორთა ეროვნული ასოციაციის კვლევის მიხედვით ჩამოყალიბდა ის უნარები, რაც აუცილებელია წარმატებული სკოლის დირექტორისათვის. ამ უნარებში შედის:

1. სამუშაოს დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

2. სხვებთან ერთად მუშაობის და სხვების ხელმძღვანელობის უნარი;

3. პრობლემების ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების უნარი;

4. ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

ყოველი მათგანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. თითოეული მათგანი მოითხოვს დირექტორისგან როგორც მენეჯერული, ასევე ლიდერული უნარების გავარჯიშებას.(32)

თანამედროვე სკოლის დირექტორი უნდა იყოს კარგი მენეჯერი და ასევე წარმატებული ლიდერი, რათა შეძლოს კოლეგების დაინტერესება ახალი იდეებითა და წამოწყებებით, ამავდროულად კარგად დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, დანერგოს ახალი პროგრამები, განახორციელოს სხვადასხვა პროექტები და ა.შ.

კარგი მენეჯმენტი, ფორმალური გეგმების შექმნით, მტკიცე ორგანიზაციული სტრუქტურის დაგეგმვით და დაგეგმილთან შედეგის შედარებით, წესრიგსა და თანამიმდევრულობას ამყარებს. ლიდერობა კი პირიქით, ცვლილებებთან გამკლავებაა. ლიდერები მომავალზე ხედვის ჩამოყალიბებით გარკვეულ მიმართულებას ამკვიდრებენ, შემდეგ ისინი თავიანთ შეხედულებებს გადასცემენ ხალხს და მათ დაბრკოლებების გადალახვის სტიმულს აძლევენ.(33)

კარგი ლიდერობა მთელს ორგანიზაციაში იგრძნობა, — ამბობს ბენისი, — იგი სამუშაოს რიტმსა და ენერგიას ანიჭებს და მუშაკებს ძალაუფლებით აღჭურავს. ორგანიზაციაში კარგი ლიდერების გვერდით ადამიანები გრძნობენ, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში, რომ გუნდის ან ოჯახის ნაწილი არიან, პროფესიონალიზმს და კომპეტენციას აფასებენ და რომ, მართალია, მათი სამუშაო სიძნელეებითაა სავსე, მაგრამ ამავდროულად სასიამოვნოც არის. (34).

საუკეთესო შემთხვევაა ჩვენი სკოლებისათვის, როცა მას

ჰყავს დირექტორი, რომელშიც შერწყმულია მენეჯერისა და ლიდერის ეს თვისებები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც თანამედროვე სკოლის დირექტორის წინაშე დგას არის ის, რომ იგი უნდა იყოს ადამიანური და ორგანიზაციული განვითარების კატალიზატორი. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა დირექტორისაგან მოითხოვს ცოდნას, თავდადებას და სხვების კეთილდღეობით დაინტერესებას.

სკოლის დირექტორის ვალდებულებაა უზრუნველყოს ის გარემო, რომელიც დაეხმარება ინდივიდებს თავიანთი პოტენციალის რეალიზებაში. დირექტორს შეუძლია სკოლაში შექმნას ისეთი კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს რისკზე წასვლას, ინდივიდიალურ დახმარებას და სხვადასხვა გამოწვევებს.

ფუნქციები, რომლებიც უნდა შეასრულოს დირექტორმა არის ერთმანეთის მსგავსი მიუხედავად სკოლის ადგილმდებარეობისა (არის ის ქალაქის თუ სოფლის სკოლა) და მოსწავლეთა რაოდენობისა. ნებისმიერ შემთხვევაში მისი საქმიანობა ხუთ ფუნქციურ ასპექტს მოიცავს. ოთხი მათგანი სკოლის შიგნით არის წარმოდგენილი; მეხუთე კი გარე სამყაროსთან კავშირს ეხება. "შიდა" ფუნქციებში შედის კურიკულუმის განვითარება, კადრებით უზრუნველყოფა და სწავლის გაუმჯობესება, მოსწავლეთა მომსახურებები და მეოთხე—ფინანსების მოზიდვასა და განკარგვასთან დაკავშირებული ფუნქცია, რომლის სწორად წარმართვაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სხვა ფუნქციების წარმატებით შესრულება. ერთი "გარე" ფუნქცია კი არის საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ლიდერობის და მენეჯმენტის განზომილება ამ ხუთი ფუნქციის გასწვრივ არის წარმოდგენილი. ლიდერობა არის გზა, რომელსაც დირექტორები იყენებენ ისეთი სკოლის კლიმატის შესაქმნელად, რომლის მახასიათებლები იქნება მოსწავლეთა საქმიანობის პროდუქტიულობა, თანამშრომელთა საქმიანობის პროდუქტიულობა და შემოქმედებითი აზროვნება. კარგი მენეჯ-

მენტი კი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც უნარების სისტემური გამოყენება მოწესრიგებული და ეფექტიანი სკოლის გარემოს შესაქმნელად.

თანამედროვე პერიოდში ყოველი სკოლა უნდა იბრძოდეს მაღალი ხარისხისათვის. თუკი შეიმჩნევა გაუმჯობესება სკოლის ხარისხში, ეს იმიტომ, რომ სკოლას აქვს ხედვა იმისა, თუ რას წარმოადგენს ხარისხი და აქვს იმ მიმართულების განსაზღვრის უნარი, რომლითაც შესაძლებელი გახდება ხარისხიანი პროგრამის შექმნა. სკოლებში ამ მიმართულების განსაზღვრა შესაძლოა განვითარდეს რწმენის (ხედვის) ფორმულირებით, მიზნების დასახვით (მისია) და კონკრეტული ამოცანების შემუშავებით უნდა იქნას მიღწეული (შედეგი). სამივე დონეს – რწმენას, მიზნებს და ამოცანებს – აქვს კონკრეტული მიზანი დაგეგმვის პროცესში და თითოეული მათგანი გარკვეულ როლს თამაშობს მიმართულების განსაზღვრასა და ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებაში.

რწმენის შესახებ განაცხადი შეიძლება გავიაზროთ, როგორც სკოლის საფუძველი და ფილოსოფია. იგი უნდა წარმოადგენდეს სკოლის თანამშრომელთა და თემის წარმომადგენელთა ერთობლივი ფიქრის შედეგს. მაგალითად, განაცხადი "ყოველ მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და მიაღწიოს სრულყოფილებას" არის რწმენის განაცხადი.

მიზნის განაცხადი არის დაგეგმილი მიმართულების (მისიის) განაცხადი რწმენის (ხედვის) განაცხადთან მიმართებაში. მაგალითად, სკოლის მიზანი შესაძლოა იყოს "ყოველ მოსწავლეს, ყოველ დღე ექნება წარმატებული სწავლის გამოცდილებები." ეს არის განზრახვის კონკრეტული განაცხადი. მიზანი ის არის რისკენაც სკოლა მიისწრაფვის, მაგრამ შესაძლოა, სრულყოფილად მას ვერასოდეს მიაღწიოს.

ისევე როგორც მიზნები უნდა იყოს ფილოსოფიის და რწმენის წარმონაქმნი, ამოცანები მიზნების გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ამოცანები უფრო კონკრეტულია, ვიდრე მიზნები. იგი უნდა იყოს აუცილებლად მიღწევადი, განსაზღვრული

დროის მონაკვეთში. პროგრამის ამოცანის მაგალითი შესაძლოა იყოს "მათემატიკასა და კითხვაში წელს თანამშრომელთა მიერ შემუშავდება სასწავლო ამოცანები".

ხარისხის მენეჯმენტი წარმოდგენას გვაძლევს შესრულების მიზნებსა და პროცესის მიზნებზე. ეს გულისხმობს, რომ ზოგი მიზანი და ამოცანა ისე იქნას წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაზომვა. მაგალითი შესაძლოა იყოს "ერთეული ტესტის ქულა, რომლის გრაფიკად წარმოდგენის შემთხვევაში, მივიღებთ მთელი კლასის გაუმჯობესების სურათს."

თანამედროვე სკოლის დირექტორებს ევალებათ საკუთარი სკოლა შედეგიანი სწავლის თვალსაჩინო მაგალითად აქციონ. მათ ევალებათ, ცხადად ჩამოაყალიბონ თავიანთი ღირებულებები, შეხედულებები (რწმენა), პოზიციები და აქტიურად ითანამშრომლონ სხვებთან სკოლის გარდაქმნასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. დირექტორისაგან მოელიან ისეთი პირობების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის პიროვნულ გაძლიერებას, და მართვის გაზიარებულ ძალაუფლებას და გადაწყვეტილების მიღებას, როგორც სკოლის შიგნით, ასევე მის გარეთ. ამავდროულად, მათ მოუწოდებენ, შექმნან ლიდერთა და მსწავლელთა ერთობლიობა, რომელიც ეფექტურად ჩამოაყალიბებს სკოლის გარემოს, რათა გაიზარდოს მოსწავლეთა პროდუქტიულობა.

25 წლის წინ ედმონდის, ბრუკოვერის, ლეკოტის და სხვების მიერ ჩატარდა კვლევა, რომელმაც გამოავლინა ეფექტური სკოლის შვიდი ძირითადი მახასიათებელი. ეფექტურ სკოლად დასახელდა ის სკოლა, სადაც მიიღწევა მოსწავლეთა მაღალი და თანასწორი განათლება. ყველა მოსწავლე იღებს ძირითად ცოდნას, და უნარებს, რათა წარმატებას მიაღწიონ მომდევნო საფეხურზეც. ეს შვიდი მახასიათებელი არის:

1. სკოლის ნათელი მისია. აუცილებელია, რომ მისია შეიცავდეს ყველა მოსწავლის განათლების კონცეფციას.

2. წარმატების მაღალი მოლოდინი. სასწავლო კლიმატი უნდა ასახავდეს თუ რისი სჯერა რეალურად სკოლის პერსონალს და უნდა უჩვენებდეს, რომ მოსწავლეები ძირითად

საგნებში მაქსიმუმს აღწევენ.

3. ინსტრუქციული ლიდერობა. დირექტორი მოქმედებს როგორც სასწავლო ლიდერი და უზიარებს სკოლის მისიას თანამშრომლებს.

4. მოსწავლეთა წარმატებულობის ხშირი მონიტორინგი. აკადემიური წარმატება იზომება ხშირად. შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლის გასაუმჯობესებლად.

5. სწავლის შესაძლებლობა და დავალებაზე გამოყოფილი დრო. სასწავლო დრო იზრდება მნიშვნელოვნად არასასწავლო აქტივობების შემცირებით.

6. დაცული და მოწესრიგებული გარემო. ჩვეულებრივ, მიზანმიმართული ატმოსფერო თავისუფალი უნდა იყოს ფიზიკური დაზიანებების საფრთხისგან.

7. სახლი/სკოლა ურთიერთობა. თანამშრომლობის დამყარება იმ მშობლებთან, რომლებიც მონაწილეობენ მათი შვილის განათლებაში. (35)

ეს მახასიათებლები იმით არის უნიკალური, რომ ისინი წარმოადგენენ სკოლის პირველ კვლევაზე დაფუძნებულ მახასიათებლებს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა უკეთესი განათლებისათვის.

სორენსონი და გოლდსმიტი სკოლის წარმატებულ ფუნქციონირების უკავშირებს რა რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, სკოლის მისიას განიხილავს ბიუჯეტირებასთან ინტეგრირებულად. „ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ სკოლის ბიუჯეტირების პროცესი და მისიის (ხედვის) საკითხებთან დაკავშირებული პროცესები უნდა იქნეს ინტეგრირებული და ურთიერთშეთანხმებული, რათა სკოლები მომზადებულნი იყვნენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებისთვის.” (36) (სკოლის ბიუჯეტირებისა და მისიის ინტეგრირებისა და ინტეგრირებული ბიუჯეტის საკითხებზე შემდეგ პარაგრაფში იქნება საუბარი.)

სკოლის დირექტორების, როგორც ლიდერების საქმიანობის სრულყოფის აუცილებელ პირობას ამ საქმიანობის ერთიან

სისტემაში მოყვანა წარმოადგენს. ამისათვის ევროპისა და ამერიკის უმეტეს ქვეყნებში შემუშავებულია ძირითადი პროფესიული სტანდარტები, რომლის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი კანდიდატი. განსაკუთრებით დიდძალი კვლევები და შესაბამისი სამუშაოები არის ჩატარებული ამ მიმართებით აშშ-ში. თავდაპირველად პროფესიულ ორგანიზაციებს თითოეულს ცალ-ცალკე ჰქონდათ საკუთარი სტანდარტები სკოლის ლიდერებისთვის. კვლევაზე დაფუძნებული სტანდარტების ნაკლებობამ გამოიწვია შტატების და პროფესიული ორგანიზაციების თანამშრომლობა ასეთი სტანდარტების განვითარებაში. განათლების ადმინისტრირების ეროვნული პოლიტიკის საბჭომ და 10 ორგანიზაციის კონსორციუმმა იკისრა ამ მისიის შესრულება სკოლაში ლიდერობის გასაუმჯობესებლად. მანვე დაიწყო ინსტრუქციის შემუშავება განათლებაში ლიდერობის მაღალი საფეხურის პროგრამისთვის. ამ ნაბიჯებმა საუძველი ჩაუყარა განათლებაში ლიდერობის საბჭოს ფორმირებას, რომელმაც შეიმუშავა ინსტრუქცია (წესები), რომელსაც გამოიყენებენ უნივერსიტეტის პროფესორები და დაინტერესებული მხარეები სკოლის ლიდერთა ტრენინგში.

სკოტ ტომასმა განათლების ადმინისტრირებაში ეროვნული პოლიტიკის საბჭოს ყოფილმა მდივანმა (აშშ) გამოყო მნიშვნელოვანი უნარები განათლების ლიდერებისთვის. ეს უნარებია: **ტექნიკური უნარებიდან ადამიანური ურთიერთობების უნარებისკენ გადასვლა.**

ტომასი ავითარებს შეხედულებას, რომ სკოლის საერთო მისიის (ხედვის) ჩამოყალიბება უფრო მეტად შეიცავს ადამიანური ურთიერთობების უნარებს ვიდრე ტექნიკურს. საერთო მისიის (ხედვის) მისაღებად, დირექტორებმა უნდა შეიმუშავონ სწავლის კულტურა, თანამშრომლებთან მუშაობით სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, განსაზღვროს და გადაჭრას პრობლემები ეთიკურობის და სქესის განსხვავებულობის გათვალისწინებით. ვინაიდან ჩვენი საზოგადოება უფრო პლურალისტური გახდა, ჩვენ გვყავს უფრო მეტი ერთმენითისგან განსხვავე-

ბული ჯგუფები, რომლებთანაც უნდა ვიმუშავოთ, რომ მივიღოთ ჩვენი სკოლისთვის საერთო მისია (ხედვა). ბლუმბერგი და გრინფილდი აღნიშნავდნენ, რომ დირექტორებს, რომლებიც ეფექტურები იყვნენ სკოლის მისიის (ხედვის) განვითარებაში, სამი უნარი ჰქონდათ განვითარებული: (1) თავიანთი სკოლის მისიას (ხედვას) ნათლად აყალიბებდნენ და ღიად ახდენდნენ მის შესრულებაზე სხვებთან აზრების გაცვლას; (2) აიძულებდნენ მასწავლებლებს და სხვა თანამშრომლებს, რომ მოეხდინათ მისიის ჩართვა ყოველდღიურ საქმიანობაში; (3) მოუწოდებდნენ მასწავლებლებს და სხვებს პირადი მსხვერპლის გაღებისკენ ამ მისიის რეალიზებისთვის. სამივე ეს უნარი არის ადამიანური ურთიერთობების უნარები. (37)

დირექტორიდან კონსენსუსის მომხრე და მოტივატორისაკენ

მეორე ფართო გადასვლა, რომელსაც გამოყოფს ტომასი არის ცვლილება დირექტორიდან კონსენსუსის მომხრე და მოტივატორისაკენ. ტომსონმა აღიარა, რომ რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გაუმჯობესა გადაწყვეტილების ხარისხი, ისევე როგორც გადაწყვეტილების წარმატებული შესრულების მოტივაცია კიდევ ერთხელ გააძლიერეს ეს შეხედულება თავიანთ კვლევაში ბლუმბერგმა და გრინფილდმა. ისინი ასკვნიან, რომ სკოლებს, რომლებიც მნიშვნელოვან პროგრესს აღწევენ სკოლის მისიის შესრულებაში, ჰყავთ დირექტორები, რომლებიც (1) არიან ეფექტურები სკოლის მისიასთან დაკავშირებით სხვებთან აზრების გაცვლის საკითხში; (2) გაიღებენ დიდ მსვერპლს ამ მისიის შესასრულებლად; (3) მუშაობენ მასწავლებლებთან, რომლებიც თავისუფლად ღებულობენ და იზიარებენ მისიას.

რესურსების განაწილებიდან პასუხისმგებლობისაკენ

ბოლოს, ტომასი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესის და შედეგებისთვის რესურსების განაწილებიდან პასუხისმგებლობისაკენ გადასვლას. ეს გადასვლა მოითხოვს, რომ სკოლის ბიუჯეტირება, მისია და დაგეგმვა იყოს ინტეგრირე-

ბული პროცესი. ტომასი ამტკიცებს, რომ დირექტორებს არ შეუძლიათ რესურსების განაწილება, რომლებიც არ არის დაკავშირებული საზომ ამოცანებთან. ის ამტკიცებს, რომ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაზე მზარდი ყურადღება უნდა იყოს პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული. (38)

4.2. დირექტორის, როგორც ლიდერის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ის რაც მოეთხოვება დირექტორს ან დირექტორობის კანდიდატს შევეცადეთ გადმოგვეცა შემდეგ პრინციპების სახით:

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატებას სკოლის მისიის განვითარებით, შესრულებით და კონტროლით.

მისია, ბიუჯეტირება და აკადემიური წარმატება ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან დაგეგმვის პროცესში. ისინი არ არიან ერთმანეთისგან იზოლირებული ცვლადები, როცა ვაღიარებთ ბიუჯეტირების და ხედვის წყვილს და გვესმის მათი ერთობლივი ეფექტი აკადემიურ წარმატებაზე, მაშინ ბიუჯეტირების პროცესი მოიცავს ფისკალური პასუხიმსგებლობიდან ფისკალური-მისიის შესრულების შესაძლებლობამდე, რომელიც თავის მხრივ მიმართავს დაგეგმვის პროცესს ყველა მოსწავლის აკადემიური წარმატებისაკენ. სკოლის ლიდერი უზრუნველყოფს, სკოლის რესურსების განაწილებას სკოლის ხედვის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი არ წარმოადგენს ლიდერის საკუთრებას. ის ეკუთვნის საზოგადოებას, რომელმაც გადასახადის გადახდის გზით გაიღო მსხვერპლი, ბიუჯეტის შემოსავლების უზრუნველსაყოფად.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას სკოლის კულტურის და სასწავლო პროგრამის განვითარებით, სწავლებით და მხარდაჭერით.

ეს პრინციპი არის გასაღები ინტეგრირებული ბიუჯეტირე-

ბა-ხედვა-დაგეგმვის პროცესის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ეს სტანდარტი ფეხდაფეხ მიჰყვება პირველ პრინციპს, რომელიც ააშკარავებს სკოლის ხედვის არსებობის აუცილებლობას. როგორც ლიდერმა, დირექტორმა უნდა მოახდინოთ სკოლის კულტურის პროპაგანდირება, სწავლება და მხარდაჭერა მოსწავლეთა სწავლების და თანამშრომელთა პროფესიონალური ზრდის შესაბამისად.

ეს პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ XXI საუკუნის სკოლის დირექტორებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა და ერკვეოდნენ მოსწავლეთა ზრდისა და განვითარების მიმართულებებში; გამოყენებით სასწავლო თეორიებში, გამოყენებით სამოტივაციო თეორიებში, კურიკულუმის შედგენაში, შესრულებას, შეფასებასა და სრულყოფაში; ეფექტური სწავლების პრინციპებში; ცოდნის გაზომვისა და შეფასების სტრატეგიებში; მრავალფეროვნებასა და მის მნიშვნელოვნობაში საგანმანათლებლო პროგრამებისთვის; მოზრდილთა სწავლის და პროფესიული განვითარების მოდელებში; ტექნოლოგიების მნიშვნელობაში მოსწავლეთა სწავლის და პროფესიული განვითარების სტიმულირებაში და სკოლის კულტურებში. მათ ასევე უნდა სწამდეთ, აცნობიერებდნენ და იყვენ ერთგულნი იმისა, რომ სწავლა არის სკოლის ფუნდამენტური მიზანი; რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა; რომ არსებობს მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვა საშუალებები, უწყვეტი სწავლა საკუთარი თავისა და სხვებისთვის;

სკოლებს ჰყავთ რთული მოსწავლეთა საზოგადოება, და ბევრი რამ ხდება სკოლაში ისეთი, რომელიც თითქოს ნაკლებად არის დაკავშირებული კურიკულუმთან. ეს „რამეები", კურიკულუმის ჩათვლით, ძალიან დიდ გავლენას ახდენს სკოლის სასწავლო გარემოზე. პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნა მოითხოვს მოსწავლეთა საჭიროებების კარგ ცოდნას. მოსწავლეთა საჭიროებები სხვადასხვაა და ფორმალიზებული საკლასო და პროგრამული აქტივობები მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მათ.

სკოლის დირექტორს აქვს კონკრეტული ვალდებულება,

უხელმძღვანელოს თანამშრომლებს სკოლის პოლიტიკის შემუშავებაში, მოსწავლეთა ქმედებების გასაკონტროლებლად. დირექტორი მუშაობს პროცედურებზე, რომლის საშუალებითაც სკოლის თანამშრომლებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ქცევის ფილოსოფია, დისციპლინური პროცედურები და ტექნიკა კორექტული ქმედებისთვის.

სკოლა უნდა იყოს უსაფრთხო ადგილი. ამისათვის აუცილებელია ნულოვანი ტოლერანტულობის პოლიტიკა კანონის დარღვევის წინააღმდეგ. არანაირი იარაღი – ეს უნდა იყოს სკოლის პოლიტიკა, ყველა პერსონალს და მოსწავლეს უნდა განემარტოს, როგორ უნდა მოიქცნენ ამ დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. დირექტორის ვალდებულებაა კანონის დამრღვევი მოარიდოს დანარჩენ მოსწავლეებს რაც შეიძლება სწრაფად. კრიმინალური ქმედების შემთხვევაში მოახდინოს სხვა სამსახურების ჩართვა. ნებისმიერი დირექტორის ტელეფონების სიაში უნდა იყოს ნომრები პოლიციის არასრულწლოვანთა განყოფილების, ბავშვების დაცვის მომსახურების ოფისის, არასრულწლოვანთა სასამართლო წარმომადგენლების და ა.შ.

დირექტორის რწმენა ყველა მოსწავლის შესაძლებლობაში, რომ მათ მიუხედავად ეროვნებისა, სოციალური პირობებისა და სქესისა შეუძლიათ სწავლა, არის არსებითად მნიშვნელოვანი. ეს რწმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან თანამშრომლები აცნობიერებენ, რომ რაც მათ სწამთ ის დირექტორისთვისაც მნიშვნელოვანია. მან ხელი უნდა შეუწყოს ისეთი სკოლის კულტურის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება მაღალი მოლოდინების ყველას მიმართ.

ლიდერობა მოიცავს როგორც კონსერვატიულობას, ასევე ინოვაციას. იგივე მართლდება კურიკულუმის ადმინისტრირების სფეროშიც. სასწავლო ლიდერმა ბალანსი უნდა შეინარჩუნოს მათ შორის. ლიდერს უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა კურიკულუმის თეორიასა და ფილოსოფიაში. მათ უნდა ესმოდეთ, როგორ არის წარმოდგენილი მიმდინარე კურიკულუმში სხვადასხვა თეორიული ჩარჩოები, უნდა იცნობდეს სკოლის მომხმარებელს და მათ

სასწავლო საჭიროებებს. დირექტორს ევალება, დააკვირდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, განახორციელოს მონიტორინგი და შეინარჩუნოს პროგრესის ტემპი, უზრუნველყოს მასწავლებელთა პროდუქტიულობა მოსწავლეთა მიღწევებში. კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრის პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიონალ თანამშრომლებს დირექტორის ხელმძღვანელობით. ყოველი პროგრამა უნდა წარმოადგენდეს რამდენიმე პედაგოგის (ჯგუფის) ერთობლივ ძალისხმევის შედეგს.

მოსწავლეთა მაღალი მიღწევები არის ნებისმიერი პედაგოგისა და ადმინისტრაციის მუშაკის სურვილი. მიუხედავად მოსწავლეთა მრავალფეროვნებისა, ისინი პასუხიმსგებელნი არიან მაქსიმალურად გაზარდონ მოსწავლეთა მიღწევები. ეს ლიდერისგან მოითხოვს მის ხელთ არსებული იარაღის გონივრულად გამოყენებას. სკოლის დირექტორს რთული და მზარდად მომთხოვნი ვალდებულება აკისრია სპეციალური განათლების მომსახურებების ადმინისტრირების სახით. სკოლებში ყოველთვის არის განსაკუთრებული ბავშვები, განსაკუთრებული საჭიროებებით. სკოლის ხარისხიც ყველა მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებით განისაზღვრება.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფით.

სკოლის დირექტორს, როგორც ლიდერს მოეთხოვება განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პედაგოგიური პერსონალის, როგორც სკოლის გაუმჯობესების განუყოფელი ნაწილის პროფესიულ განვითარებას; იმ სარგებლობებს, რაც მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას მოაქვს მოსწავლეთა წარმატების მიღწევაში და მათ საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებაში. თუნდაც მაღალი ხელფასის გადახდის სანაცვლოდ იგი უნდა შეეცადოს სკოლა დააკომპლექტოს კარგი განათლებისა და უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლებით. ამასთანავე მუდმივად უნდა იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ტრენინგების გავლითა და სხვა საჭირო ღონისძიებე-

ბზე დასწრებით. სკოლის ბიუჯეტში პერსონალის ხელფასების შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი პროფესიული განვითარების ხარჯები უნდა იყოს.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობების და რესურსების მართვით უსაფრთხო, ეფექტიანი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას.

ლიდერებს მოეთხოვებათ რესურსების გამოყენება უსაფრთხო, ეფექტური და ეფექტიანი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. უსაფრთხო სასწავლო გარემოს დაფინანსება მოითხოვს, რომ მოხდეს სწორი ბიუჯეტირება საჭირო მასალების და მომსახურებების უსაფრთხოებისთვის. ეფექტიანი სასწავლო გარემოს საშუალებით მიიღწევა სასურველი შედეგი დანაკარგის გარეშე. აუცილებელია, რომ ბიუჯეტირების პროცესი ინტეგრირებული იყოს მიზნებსა და ამოცანებთან, ოპტიმალური შედეგის მისაღწევად.

სკოლის ლიდერს უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნდა ერკვეოდეს ორგანიზაციების თეორიებსა და მოდელებში, ასევე ორგანიზაციის განვითარების პრინციპებში, საოპერაციო პროცედურებში; იმ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სკოლის დაცვასა და უსაფრთხოებასთან, ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან, სკოლის ფინანსურ ოპერაციებთან, სკოლის აღჭურვილობასა და ფართის გამოყენებასთან; ასევე ის კარგად უნდა ერკვეოდეს იმ საკანონდებლო საკითხებში, რომელიც ეხება სკოლის ფუნქციონირებას. მზად უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის; რისკის გაწევისათვის სკოლის გასაუმჯობესებლად; ხალხის ნდობის მოპოვებისა და გამართლების; ვალდებულების აღების; მაღალი ხარისხის სტანდარტების, მოლოდინების და წარმატების ქონის; მენეჯმენტის პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართვის; და უსაფრთხო გარემოს უზრნველყოფის განხორციელებისათვის..

ახალი თანამშრომლების მოძიება და დასაქმება არის სკოლის ადმინისტრატორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს პროცესი იწყება თანამშრომელთა საჭიროებების განსაზღვრით – კანდიდატების მოზიდვის, შერჩევის, განვითარების პროცესების ჩათვლით – და სრულდება თანამდებობაზე აყვანით.

საკუთარი სურვილით თუ იძულებით, თანამშრომელთა სამსახურიდან წასვლის ფაქტები ყოველწლიურად ხდება სკოლაში. საჭიროა, დირექტორმა ყველა ასეთ თანამშრომელთან ჩაატაროს გასაუბრება. საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ თანამშრომელთა გათავისუფლება არის რთული, მაგრამ ზოგჯერ აუცილებლობით გამოწვეული. თანამშრომელთა სამსახურდან დათხოვნისას აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას დასაქმებულთა უფლებების დაცვა.

დირექტორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა არის სკოლაში პერსონალის ორგანიზება და განსაზღვრა. პერსონალის ნორმალური განაწილება გულისხმობს ყველა დასაქმებულის და მოხალისეთა ჩართვას სასწავლო პროგრამებსა და სკოლის მუშაობაში. სკოლის პროფესიონალ დასაქმებულებს ხშირად საუკეთესო იდეები აქვთ სკოლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მათ ასევე აქვთ მოთხოვნილება როგორც პიროვნული, ასევე პროფესიონალური ზრდის – სკოლის სხვა პროფესიონალებთან ურთიერთობით. სკოლის, როგორც სასწავლო გაერთიანების განვითარება და სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია სკოლის პერსონალის ერთმანეთთან ინტერაქციის საშუალებებსა და შესაძლებლობებზე. ერთ-ერთი გზა სკოლის პროფესიონალებისთვის ერთმანეთთან საურთიერთობოდ არის გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, რაც ეხება სკოლის კურიკულუმს და სწავლას. დირექტორს შესაძლოა, არაერთი გეგმა ჰქონდეს თუ როგორ გამოიყენოს უკეთ სკოლაში არსებული პერსონალი.

სკოლის დაგეგმვა დირექტორის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება. დაგეგმვა არის ადამიანების, მასალების,

კურიკულუმების სწავლის მიზნით განსაზღვრულ დროსა და ადგილას თავმოყრის გეგმა. ის მოქნილი უნდა იყოს, და ჯგუფის ზომის და სასწავლო დროის ცვლილების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

ფინანსური ანგარიშგება, ბიუჯეტირება, და ფართის მართვის ზედამხედველობა ასევე დირექტორის ფუნქციებში შედის.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას სკოლის მართვის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა, რომ სკოლის დირექტორი იყოს ინფორმირებული და მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობით.

სკოლის ლიდერი ახდენს არამარტო ფინანსური რესურსების ორგანიზებას, არამედ ასევე ახდენენ ყველა დაინტერესებული მხარის მზაობის ორგანიზებას თავიანთი სკოლის მიზნების და ამოცანების მისაღწევად.

სკოლის ლიდერს უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნდა ერკვეოდეს იმ თანამედროვე საკითხებსა და ტენდენციებში, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის თემზე; სასკოლო თემის პირობებსა და დინამიკაში; თემის რესურსებში; თემის კავშირებში, საბაზრო სტრატეგიებსა და პროცესებში; სკოლის, ოჯახის, ბიზნესის, თემის, მთავრობის, და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის საუკეთესო მოდელებში. მათ ასევე უნდა სწამდეთ, აფასებდნენ და იყვნენ ერთგულნი სკოლის, როგორც დიდი თემის განუყოფელი ნაწილის ფუნქციონირების; ოჯახებთან თანამშრომლობის და კომუნიკაციის; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოჯახების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, მტკიცებულების რომ მრავალფეროვნება ამდიდრებს სკოლას; ოჯახების, როგორც პარტნიორების მათი შვილების განათლებაში; მტკიცებულების, რომ ოჯახები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებლნი შვილების განათლებით; უნდა ერკ-

ვეოდნენ ოჯახების და თემის რესურსებში, მათი მოსწავლეთა განათლების პროცესში გამოსაყენებლად; და ინფორმირებული საზოგადოების მნიშვნელობაში.

როდესაც სკოლები ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნებს ყველა მოსწავლის აკადემიური წარმატებულობის შესახებ, სკოლებს მოუხდებათ სხვა სისტემებთან ბრძოლა სახელმწიფო რესურებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები, რომლებიც წარმატებებს აღწევენ სკოლებში არამარტო ხდებიან საზოგადოებისთვის წარმატებული ადამიანები, არამედ ხელს უწყობენ სხვა ინსტიტუტების, როგორიცაა ციხეები და სოციალური დაცვის დაწესებულებების საჭიროების შემცირებას, რაც თავის მხრივ ზრდის თანხებს საჯარო განათლების მომსახურებების დასაფინანსებლად.

წარმატებული სკოლა ყოველთვის საჭიროებს თემის მხრიდან დახმარებას და ეს დახმარება იმ შემთხვევაში იარსებებს თუ თემის წარმომადგენლები იქნებიან ინფორმირებულები და ჩართულები საგანმანათლებლო პროცესებში. კომუნიკაცია მშობლებსა, მასწავლებლებს, ადმინისტრატორებს და მოსწავლეებს, ასევე ბიზნესის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სააგენტოებს, ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის არის არსებითი სასწავლო თემის შესაქმნელად. კარგი კომუნიკაციის ჩამოყალიბება არის სკოლის დირექტორის უმთავრესი ამოცანა. სკოლებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული ეფექტური მექანიზმი ინფორმაციის გაცვლისთვის.

სკოლა არის უფრო დიდი საზოგადოების და კულტურის ნაწილი, თუმცა სკოლა უფრო პატარა ქალაქების, სოფლების, დაბების და რაც მნიშვნელოვანია, სამეზობლო სივრცის ნაწილიცაა. სწორედ ამ სამეზობლო დონეზე ხდება ყველაზე დიდი ინტერაქცია სკოლას და საზოგადოებას შორის. ამიტომაც, სკოლის დირექტორს უდიდესი როლი ეკისრება ამ პროცესებში.

მნიშვნელოვანია, სკოლა პასუხობდეს თემის ინტერესებს და საჭიროებებს. ლიდერი ჩახედული უნდა იყოს მიმდინარე პროცესებში, თემისთვის დამახასიათებელ თავისებურებებში და

მუშაობდეს განსაკუთრებული საჭიროების მოსწავლეთა სპეციალური პროგრამებით უზრუნველყოფაზე.

თემის რესურსების მობილიზება მნიშვნელოვნად დაეხმარება სკოლას მოსწავლეთა მიღწევების ზრდის მხარდასაჭერად, პრობლემების გადასაჭრელად და საერთოდ, სკოლის მიზნების მისაღწევად.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას პატიოსანი, სამართლიანი და ეთიკური საქციელით.

პატიოსნება, სამართლიანობა და ეთიკურობა დირექტორის საქმიანობის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს.

პატიოსნება არის ამ სამეულიდან პირველი ტერმინი და ლიდერების უმთავრესი მახასიათებელი. ლიდერები, რომლებიც აფასებენ პატიოსნებას არიან დაინტერესებულნი არა მხოლოდ შედეგით, არამედ ასევე ურთიერთობებით. ყოველ წელიწადს მასწავლებლები არიან დიდი წნეხისა და ცდუნების ქვეშ, რომ მიაღწიონ აკადემიური წარმატების საჭირო დონეს. ამ განსაზღვრული დონის მიუღწევლობის მიზეზები შეიძლება გაიზარდოს. შესაბამისად შეიძლება გაიზარდოს მასწავლებელთა მიერ ამ მონაცემებით მანიპულირების ცდუნება.

პატიოსნება მხოლოდ აკადემიური მიზნების სფეროში არ უნდა იყოს. იგი ჩვენ ასევე უნდა განვიხილოთ სკოლის ყველა თანამშრომელთან ურთიერთობაში. არსებითია, რომ ლიდერმა მოიპოვოს ყველა დაინტერესებული პირის ნდობა, რათა იყვნენ წარმატებულნი. იმისთვის რომ არსებობდეს პატიოსანი გულისხმიერი ურთიერთობები, ლიდერი გულწრფელად უნდა დაინტერესდეს თანამშრომლებით და მათი პირადი მიზნებით. როდესაც დაიტერესება და ერთიანობა არსებობს, რწმენა იმატებს და აძლიერებს ლიდერს, რომ წარმართოს სკოლა ისე, რომ მიაღწიოს დასახულ მიზანს.

სამართლიანობა, სამეულის მეორე ტერმინი, არ ნიშნავს იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა მიიღებს ყველაფერს ერთი და იგივე რაოდენობით. სამართლიანობას მაშინ აქვს ადგილი, როცა

ყველა იღებს იმას რაც საჭიროა მათი მიზნების წარმატებით მისაღწევად. ზოგს მცირე მოთმინება სჭირდება მიზნის მისაღწევად, ზოგს გაცილებით მეტი. ზოგიერთს სულ სხვა რესურსი სჭირდება აკადემიური წარმატების მისაღწევად. მაგალითად, მოსწავლეებს რომელთაც ათვისების პრობლემები აქვს, შესაძლოა საჭიროებდეს ძალიან დიდ რესურსებს აკადემიური მიზნების მისაღწევად, ვიდრე ისინი, რომელთაც ასეთი პრობლემები არ აქვთ.

როცა ვიღებთ იმ ფაქტს, რომ ხედვა არის ბიუჯეტის მამოძრავებელი, რომ გაზიარებული, ერთობლივი მისიის არსია ყველა მოსწავლის მიერ წარმატების მიღწევა, შემდეგ ვიწყებთ იმის გაგებას, რომ სამართლიანობის მიხედვით, აკადემიური მიზნების მისაღწევად, რესურსები უნდა გადანაწილდეს საჭიროებიდან გამომდინარე. სამართლიანობა ფინანსურ ნამცხვარს ტოლ ნაწილად ვერ გაანაწილებს.

სამწუხაროდ, სამართლიანობის მიღწევა არ არის ხშირად შესაძლებელი. ლიდერს გუნდთან ურთიერთობისას ყოველთვის წინ უნდა ჰქონდეს წამოწეული ბიუჯეტი-ხედვის ურთიერთკავშირი და შესაძლებლობის შემთხვევაში სამართლიანად განახროციელოს ის.

ეთიკური ქცევა არის სკოლის ლიდერის პიროვნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. სკოლის ლიდერი ეთიკურად უნდა იქცეოდეს დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემებთან გამკლავებისას, სკოლის ბიუჯეტის მართვისას, მშობლებთან კონსულტაციისას, თანამშრომელთა და პერსონალის ზედამხედველობისას და ათასობით სხვა სიტუაციებში.

ეთიკური ქცევა დირექტორისაგან მოითხოვს, რომ ყველას მოექცეს თანაბრად. იგი ყველა ადამიანს უნდა აფასებდეს და პატივს ცემდეს მათ საგანმანათლებლო მიზნებს.

ლიდერი პატივს უნდა სცემდეს სხვების უფლებებს კონფიდენციალურობის უზრნველყოფით და პატიოსანი კომუნიკაციის დამყარებით.

მას უნდა ახასიათებდეს მიუკერძოებლობა, მოსწავლეთა

მრავალფეროვნების აღიარება და ეთიკური ქცევა არა მხოლოდ საკუთარ კოლექტივთან, არამედ სხვებთან ურთიერთობისას.

დირექტორი იღებს და აცნობს კოლექტივს ეთიკურ და საკანონმდებლო პრინციპებზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს.

სკოლის დირექტორი არის ლიდერი განათლებაში, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, საკანონმდებლო, სამხედრო-პატრიოტული და კულტურული მოვლენების სწავლებით და შესაბამისი რეაგირებით.

სკოლის ლიდერს უნდა ჰქონდეს ცოდნა და უნდა ერკვეოდეს სახელმწიფოს მხრიდან სკოლებთან დაკავშირებით არსებულ პოლიტიკაში; საჯარო განათლების როლზე დემოკრატიული საზოგადოების განვითარება-განახლებაში; განათლებასთან და სკოლასთან დაკავშირებულ კანონებში; პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სისტემებში და იმ პროცესებში, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლებზე; ცვლილების და კონფლიქტის მოგვარების მოდელებსა და სტრატეგიებში – პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტში; გლობალურ საკითხებსა და იმ ძალებში, რომლებიც გავლენას ახდენს სწავლებასა და სწავლაზე; პოლიტიკის განვითარების დინამიკებში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის პირობებში; მრავალფეროვნების და სამართლიანობის მნიშვნელოვნებაში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

დირექტორი აანალიზებს სიღარიბის გამომწვევ მიზეზებს და მათ გავლენას ოჯახებზე, თემზე, ბავშვებზე, და სწავლაზე. კარგად აქვს გაცნობიერებული ის ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს სკოლის ფუნქციონირებაზე.

ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკა არის მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი. ამიტომაც, გლობალური მოვლენები გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს იმ შემოსავლის ოდენობაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო სკოლებისთვის; აღნიშნული წარმოადგენს რა სკოლების დაფინანსების წყაროს, თავის მხრივ

გავლენას ახდენს სკოლის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესზე.

ამ პრინციპების ჩამოყალიბებით კიდევ ერთხელ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებისა და უშუალოდ სკოლის თანამედროვე დირექტორების ძირითადი სამოქმედო გეგმა უნდა იყოს უხელმძღვანელონ სკოლებს, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის წარმატებას, რამდენადაც, მოსწავლეთა თუნდაც მცირეოდენი პროცენტის წარუმატებლობა ეს იქნება ათასობით დაკარგული პოტენციური კარგი სპეციალისტი. კარგი ხელოვანი თუ საზოგადო მოღვაწე.

დასკვნის სახით კი შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დირექტორი უნდა იყოს სასწავლო საზოგადოების მშენებელი, რომელიც ხელს უწყობს სკოლის წარმატებას. დირექტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფასილიტატორი სასწავლო პროცესსა და თანამშრომელთა განვითარებაში, რომელიც იმგვარად ანაწილებს დროს და რესურსებს, რომ მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება, იმუშაონ ერთად ინსტრუქციული და კურიკულუმთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, რათა მიღწეულ იქნას საბოლოო მიზანი – ყველა მოსწავლის წარმატება.

სკოლის დირექტორის როლი ბიუჯეტირების პროცესში. ბიუჯეტის საზეები

ბიუჯეტის არსი

ბიუჯეტი საფინანსო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ტერმინი „ბიუჯეტი" წარმოშობილია ძველი ფრანგული სიტყვიდან და ტყავის ქისას ნიშნავს. შემდეგ ინგლისში ხსენებული ტერმინი „ბუდგეტ"-ად გადაკეთდა, რომელიც ნიშნავს ჩანთას, ტყავის ტომარას. მე-17 საუკუნეში, ინგლისის ლორდთა პალატაში, როდესაც ხაზინის კანცლერი მოხსენებით გამოდიოდა წინ ფულით გატენილი ტომარა ედო.

იგი ტრიბუნის ნაცვლად ამ ტომარას ეყრდნობოდა და ასე წარმოთქვამდა სიტყვას ქვეყანაში ფინანსების მდგომარეობის შესახებ, რომელსაც „ბიუჯეტს“ უწოდებდნენ. სწორედ აქედან გავრცელდა ეს სიტყვა მთელ მსოფლიოში.

ბიუჯეტი ერთის მხრივ მართლაც ჰგავს ფულის ყულაბას (ფონდს), რადგან იქ გროვდება თანხები. მეორე მხრივ იგი არ არის ფონდი, რადგანაც როგორც კი ფული შევა მასში, მაშინვე ხდება მისი გამოყენება, გათვალისწინებული ხარჯების მიხედვით.

სკოლისათვის ბიუჯეტი არის შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსური გეგმა, რომელიც დგება განსაზღვრული პერიოდისათვის, კერძოდ იგი არის:

- გეგმა იმისა, თუ საიდან შეიძლება მიიღოს სკოლამ ფული და რა მოცულობის შემოსავალს შეაგროვებს იგი.
- გეგმა იმისა, თუ როგორ და რისთვის ხარჯავს სკოლა ფულს.
- გეგმა იმისა, თუ რა რაოდენობის თანხის დამატებით მიღება იქნება საჭირო სკოლისათვის იმ შემთხვევაში, თუ მას საკმარისი თანხები არ ექნება თავისი ფუნქციების განსახორციელებლად.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ სკოლა წააგავს ოჯახს და სკოლის მიერ ბიუჯეტის დაგეგმვა კი ოჯახის ანალოგიურ მოქმედებას, სადაც ეკონომიკურად აქტიური ადამიანები გამოიმუშავებენ ფულად სახსრებს და მას ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ხარჯავენ სხვადასხვა საჭიროებისათვის. ყველა ოჯახი გეგმავს თავის შემოსავლებს და ხარჯებს. ოჯახის წევრები მსჯელობენ იმაზე, თუ რა თანხას მიიღებენ ისინი წლის განმავლობაში და შემდეგ რამდენს დახარჯავენ საკვებზე, ტრანსპორტზე, ტანსაცმელზე, ბინის ქირაზე, სხვადასხვა კომუნალურ მომსახურებაზე, დასვენებაზე. აგრეთვე, ექნებათ თუ არა იმის საშუალება, რომ გააკეთონ დანაზოგი. თუ მათ არ აქვთ საკმარისი თანხები მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ იძულებული იქნებიან შეამცირონ ხარჯები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ელიან დამატებით შემოსავლებს, შეიძლება აიღონ

სესხი.

ოჯახის მსგავსად, სკოლის ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობის ფულის მიღებაა მოსალოდნელი ყოველ მომდევნო წელს და როგორ უნდა გაანაწილოს იგი იმ მიზნებისათვის, რაც შემდგომში უზრუნველყოფს მის წარმატებულ ფუნქციონირებას.

ბიუჯეტს რო შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის საგანმანათლებლო საჭიროებები გამოხატული ფინანსურ გეგმაში, რომელიც წარედგინება საზოგადოებას საგანმანათლებლო პროგრამის სახით, და მას საზოგადოება ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას უცხადებს ერთწლიან პერიოდში. ამ საჭიროებების ბიუჯეტში გადაყვანა შემდეგ საფეხურებს მოიცავს: 1. საჭიროებების დადგენა 2. მიზნების დადგენა 3. ამოცანების ორგანიზება 4. ისეთი პროგრამების შექმნა, რომელიც პასუხობს ამ ამოცანებს და 5. ისეთი ბიუჯეტის შექმნა, რომ დააფინანსოს ეს პროგრამები. (39)

ცოტა თუ უფიქრდება ბიუჯეტირების სწორად წარმართვის მნიშვნელობას საჯარო სკოლებში, სამთავრობო ორგანოებს, ბიზნეს-საწარმოებსა თუ სხვა ნებისმიერ საქმიანობაში ბიუჯეტირების პროცესთან შედარებით, სადაც დიდი რაოდენობის თანხების მიღება და ხარჯვა მიმდინარეობს. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია სკოლებისათვის, რადგანაც აქ, გარდა უბრალო მექანიკური და მათემატიკური ანგარიშგებისა, მასში უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ასახვა.

ჰაკი და ასოციაციის მიხედვით, ბიუჯეტირების სარგებელია ის, რომ:

1. ის არის მომავლის სამოქმედო გეგმა,
2. ის ახდენს წინა საქმიანობების შეფასებას დაგეგმილ საქმიანობებთან მიმართებაში.
3. ის საჭიროებს სამუშაო გეგმის ფორმულირებას
4. ის საჭირეობს დანახარჯებს და ახდენს შემოსავლების შეფასებას
5. ის ახდენს წესის მიხედვით დაგეგმვას და თანამშრომლობას მთელს ორგანიზაციაში

6. ის ქმნის მენეჯმენტის კონტროლის სისტემას

7. ის ფუნქციონირებს, როგორც საჯარო საინფორმაციო სისტემა.(40)

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ სასკოლო ბიუჯეტი არაერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. კონკრეტულად:

1. უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო პროგრამისა და საგანმანათლებლო გეგმის შესრულების მატერიალურ საფუძველს მომდევნო ფისკალური პერიოდისთვის.

2. აფიქსირებს ფონდების წყაროებს, წინასწარ განსაზღვრავს მოსალოდნელ ხარჯებს, ახდენს ბიუჯეტით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისთვის პასუხისმგებელ პირთა განაწილებას.

3. აცნობს საზოგადოებას სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

4. ახდენს სასწავლო წლის პროგრამის შეფასებას, ასევე სასკოლო მომსახურების შედარებას წინა წლებთან.

5. ის ქმნის პირობებს, რომ მოხდეს ფრთხილი დაგეგმვა, კონტროლის სისტემების შექმნა, და ფინანსების გონივრული და ეფექტური განაწილება.

ბიუჯეტირების პროცესი

სკოლის ბიუჯეტირება და სკოლის ხედვა ეს არის ის ორი ძირითადი საკითხი, რომელსაც სკოლის ლიდერები ყოველდღიურად უნდა ამუშავებდნენ. სკოლის ბიუჯეტირებას და ხედვას შორის კავშირი ისეა ურთიერთდაკავშირებული როგორც სიყვარული ქორწინებასთან. ორივე შემთხვევაში, შეუძლებელია ერთ-ერთი მათგანის ქონა მეორის გარეშე(41).

სკოლის ბიუჯეტირება უფრო მეტია ვიდრე ცხრილები, ანგარიშები და უამრავი შევსებული ანგარიშსწორების ფორმები. აღვილია გაუმჯობესო ბიუჯეტირების ანგარიშგება და უარყო მისი ნაწილი – ხედვა. ხედვის ინტეგრირება სკოლის ბიუჯეტირების პროცესში, აქცევს სკოლის ბიუჯეტს მარტივი ციფრების გროვიდან მიზანდასახულ საქმიანობად, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა მოსწავლის აკადემიური წარმატებას. ამდენად,

სკოლის ხელმძღვანელმა კარგად უნდა გაიაზროს თუ როგორ შეიძლება იქნას შედგენილი სკოლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის შედგენა არ უნდა იყოს მხოლოდ ანგარიშსწორებისთვის, როგორც ეს ამჟამად სკოლების განსაზღვრულ ნაწილში ხდება; ძირითადი შემოწმებისა და ანგარიშწორების პასუხისმგებლობა უნდა დავუტოვოთ აუდიტორებსა და შემოწმების სხვა სამსახურებს. ისინი მოახდენენ ტექნიკურ ექსპერტიზას და შეამოწმებენ ფისკალური ანგარიშგების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა მოახდინოს სკოლის დირექტორმა, მაგრამ არა დამოუკიდებლად და იზოლირებულად.

საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანახმად, სკოლის მართვა, მისი სტრატეგიული განვითარების მიმართულებათა განსაზღვრა და ბიუჯეტის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს თანამშრომლობით. სკოლის დირექტორი ამზადებს ბიუჯეტს, ხოლო სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მას. ბიუჯეტის შედგენა სკოლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და ამ პროცესში ის მხარეები უნდა ჩაერთონ, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული სკოლის მომსახურების ხარისხის ამაღლებითა და ამ მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების მიზანშეწონილობით, ანუ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესს.

დე იანგის მიერ სკოლის ბიუჯეტი წარმოდგენილია ტოლგვერდა სამკუთხედით, სადაც ძირითადი არის:

- საგანმანათლებლო პროგრამა,
- დანახარჯები, რომელიც გაწეულ იქნება ამ პროგრამების განსახორციელებლად, და
- შემოსავლების გეგმა.

ბიუჯეტირების პროცესის დაწყებისას, თეორიაში პირველად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრა, ამიტომაც იგი დე იანგთან სამკუთხედის ფუძეს წარმოადგენს; შემდეგ ხდება დანახარჯებში მისი გამოხატვა, შემდეგ განისაზღვრება საჭირო შემოსავლის წყაროები.

საგანმანათლებლო პროგრამა პირდაპირ უკავშირდება სკოლის მიზნებსა და ამოცანებს. სამწუხაროდ, საქართველოში, სკოლების ნახევარზე მეტის დეფიციტურობის პირობებში, როცა საკუთარი უყაირათობის თუ ობიექტური მიზეზების გამო, სკოლის დირექტორი დამატებით დაფინანსებას ითხოვს აუცილებელი დანახარჯების (ხელფასი, კომუნალური გადასახადი) დასაფარავად, შეიძლება კი საუბარი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრასა და მისი დაფინანსებისათვის ფინანსების მოძიებაზე? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი სკოლები მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ თავიანთ მისიას და მასწავლებელთა საქმიანობა მთლიანად ენთუზიაზმსა და მათ კეთილსინდისიერებაზეა დაფუძნებული?

იმ სკოლებშიც კი, სადაც აღნიშნული პრობლემის წინაშე არ დგანან, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნები და ამოცანები არ არის ყოველთვის ნათელი და კარგად ჩამოყალიბებული, რაც ართულებს პროგრამების და მომსახურების განსაზღვრას. ხელმძღვანელობა უამრავი პრობლემის წინაშე დგება. მომავალ წელს რომელი მომსახურება უნდა გაიზარდოს? სკოლამ რას უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება, მომსახურების უზრუნველყოფას თუ მასწავლებელთა უკეთესი აღჭურვილობით მომარაგებას? ყურადღება უნდა გამახვილდეს ძვირადღირებულ პროგრამებზე თუ გაიზარდოს სოციალური მეცნიერებების სწავლება? სკოლის ხელმძღვანელმა, მიუხედავად ამ პრობლემების სირთულისა, ინტენსიურად უნდა იმუშაოს სკოლის პედაგიურ საბჭოსთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, რათა განსაზღვროს საგანმანათლებლო ამოცანები და პროგრამები მომდევნო სასწავლო წლისთვის. ხელმძღვანელები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თუკი სკოლაში მოსალოდნელია შემოსავლების 5%-იანი მატება, სკოლის ბიუჯეტის ყველა პუნქტში უნდა მოხდეს ავტომატური ზრდა, ყველაზე ცოტა სამ შეცდომას უშვებენ: 1. ისინი მიიჩნევენ, რომ გასული წლის ბიუჯეტი იყო სრულყოფილი და რადგან გაიზარდა თანხა, ბიუჯეტის ყველა პუნქტში თანაბრად გაიზრდება იგი. 2. ისინი უარს ამბობენ, მოახდინონ გასული წლის ბიუჯეტის შეფასება და არსებული უზუსტობების აღმოფხვრა.

3. უარყოფენ დაინტერესებულ პირთა – მასწავლებელთა, სასკოლო პერსონალის, სკოლის საბჭოს წევრების, მოსწავლეთა, ზოგადად საზოგადოების – უფლებებს და პასუხისმგებლობას საჯარო სკოლის პროგრამების შეფასებაში.

სორენსონისა და გოლდსმითის მიხედვით არსებობს 10 მნიშვნელოვანი ნაბიჯი წარმატებული და ეფექტური ბიუჯეტირებისთვის. თითოეულ მათგანზე საუბარია ქვემოთ, მოკლე აღწერით თუ რატომ არის ის მნიშვნელოვანი, იმისთვის, რომ სკოლის ლიდერმა წარმატებულად მოახდინოს ბიუჯეტის შემუშავება, მისი შესრულება და შემდეგ შეფასება.

1. განაწილების განმარტება. სანამ განისაზღვრება თუ რა საგანმანათლებლო ხარჯები უნდა იქნეს გაწეული, მნიშვნელოვანია ცნობილი იყოს ფინანსების სპეციფიკური განაწილება, რომელიც შეესაბამება ყოველ საბიუჯეტო კატეგორიას. უფრო მეტიც, ზოგიერთი საბიუჯეტო განაწილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ სხვადასხვა სპეციფიკური მომსახურებების და დანახარჯებისთვის.

2. ფიქსირებული დანახარჯების განსაზღვრა. უნდა მოხდეს იმ ხარჯების დადგენა, რომელიც არ იცვლება წლიდან წლამდე. სკოლის ბიუჯეტის შედგენამდე უნდა გამოიყოს ფიქსირებული დანახარჯებისთვის საჭირო ფინანსები.

3. ყველა მხარის ჩართვა. სკოლაში, სახლში, თუ ნებისმიერ ორგანიზაციაში ბიუჯეტის შედგენისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა უნდა იყოს ჩართული შეძლებისდაგვარად. რაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართვით სკოლის ლიდერს შეუძლია ეფექტურად უზრუნველყოს მაქსიმალური შედეგიანობა. ჩართულობა ყველა მონაწილეს მოიცავს, მაგალითად, თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს, და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ ინდივიდებს.

4. მოსალოდნელი ხარჯების განსაზღვრა. ეფექტური ლიდერი შეისწავლის გასული წლის ბიუჯეტს, იმისთვის, რომ უკეთესად განსაზღვროს და იწინასწარმეტყველოს მომავალი ხარჯები. იმის ცოდნით, თუ რომელი დანახარჯია აუცილებელი და სასწრაფო, სკოლის ადმინისტრატორს შეუძლია თავიდან

ააცილოს მასწავლებლებს და სკოლის პერსონალს იმპულსური (დაუფიქრებელი) შესყიდვები.

5. შეკვეცა (სეკვესტრი). ახალ შექმნილი სკოლის ბიუჯეტების უმეტესობა არის გადაჭარბებულად დაგეგმილი. სკოლის ლიდერის პასუხისმგებლობაა შეისწავლოს ყველა მოსალოდნელი ხარჯები და განსაზღვროს სად შეიძლება შეკვეცის გაკეთება. უნდა გვახსოვდეს, რომ შეკვეცამ შესაძლოა გამოიწვიოს უკმაყოფილება მასწავლებლებს შორის. სკოლის ბიუჯეტები, რომლებიც მუდმივად დაუბალანსებელია, იწვევს დიდ ფინანსურ ზარალს და შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური კუთხით. შეკვეცის მარტივი და ეფექტური გზა მოიცავს სრულყოფილ აღწერას. აღწერით კარგად განისაზღვრება, რომელ არასაჭირო შესყიდვებზე შესაძლოა უარის თქმა შემდეგის გათვალისწინებით: რატომ უნდა გავაგრძელოთ ცარცის, საშლელების, ქაღალდის სამაგრების ყიდვა, თუკი ეს საგნები მრავლად არის საკლასო ოთახებსა და ოფისის საცავ ოთახში?

6. მუდმივი ვალების თავიდან აცილება. ეფექტური ბიუჯეტის ხელძღვანელმა ზუსტად იცის რომელი მოთხოვნილებები არ არის დაბალანსებული და სად ხდება ვალების დაგროვება. ბევრი სკოლის ლიდერი არ ახდენს ვალების აღწერას ფინანსური წლის განმავლობაში და ელოდება წლის ბოლოს აუცილებელი საბიუჯეტო განხილვის ჩატარებას. ზოგიერთი შტატი და სკოლის ოლქი არ აძლევს სკოლას უფლებას, რომ დააგროვონ ვალები თვის თუ წლის ბაზაზე. ასეთი პოლიტიკა არათუ ღირებულია, არამედ გონივრულია. მიუხედავად ამისა, ვალების შემცირება შეიძლება მიღწეულ იქნას არასაჭირო შესყიდვების თავიდან აცილებით.

7. გეგმის შედგენა. ნებისმიერი ბიუჯეტი – სკოლის, ოჯახის, თუ რაიმე ბიზნესის – უნდა იყოს დაფუძნებული გეგმაზე. სკოლის პერსპექტივებიდან საგანმანათლებლო საქმიანობის გეგმა უნდა განვითარდეს სასწავლო მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით სკოლის პროგრამებსა და საქმიანობასთან მიმართებაში. დამატებით, მოქმედების მეორე გეგმა (სკოლის ბიუჯეტის გეგმა) რათა განისაზღვროს ბიუჯეტის შედგენის

პრიორიტეტები და ამისთვის საჭირო თანხა და შესაბამისად გასაწევი ხარჯები. ანუ ასეთი გეგმა იქმნება, იმისთვის, რომ განისაზღვროს რა პროგრამები და საქმიანობები შეესაბამება სკოლის ბიუჯეტში თანხების განაწილებას.

8. მიზნების დასახვა. ბევრი მიიჩნევს, რომ „მიზნების დასახვა“ უნდა იყოს უპირველესი ბიუჯეტის შედგენის დროს. არანაირი არგუმენტი არ არსებობს აქ. მნიშვნელოვანია, რომ ეფექტური სკოლის ლიდერი ყველა მოსამზადებელ ღონისძიებას ახორციელებს, რომ განსაზღვროს რა ფინანსებია ხელმისაწვდომი, სანამ განსაზღვრავს თუ როგორ დახარჯოს ის. მიუხედავად ამისა, მიზნების დასახვა (მართვის თუ სასწავლო საქმიანობის შესახებ) არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელსაც ყველა თვით-დისციპლინებული ადმინისტრატორი იყენებს და ერთადერთი ნაბიჯი, რომელსაც სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად არ ან ვერ აკეთებენ. ყველა მხარის ჩართვით შეიძლება მოხდეს მიზნების დადგენა და დასახვა. ყველა დირექტორს უნდა ახსოვდეს, რომ მიზნების დასახვა ფულზე უფრო მნიშვნელოვანია, ის საჭიროებს დროს, ძალისხმევას, განსაზღვრას და მნიშვნელოვან დაფიქრებას და მომზადებას. ამისათვის აუცილებელია:

1. პრიორიტეტების დადგენა – სწავლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების დადგენა.
2. იმის დადგენა, თუ რომელი შეიძლება გადაიდოს ბიუჯეტის ბოლოსკენ, ან მომდევნო სასწავლო წლამდე.
3. შეფასება იმისა, რაც არის დღეს მნიშვნელოვანი, მაგრამ არ იქნება მნიშვნელოვანი ხვალ.
4. დადგენა იმისა, თუ რომელი პრიორიტეტებია მნიშვნელოვანი
5. განხილვა სხვადასხვა ბიუჯეტების (დეპარტამენტების, საფეხურების და ა.შ. მიხედვით) ადგილობრივ კომიტეტებთან, რომელიც ნაწილობრივ განსაზღვრავს თუკი განაწილებული თანხა ყოველ ბიუჯეტში დაკავშირებულია სკოლის დადგენილ მიზნებთან.

ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ მიზნები შეიძლება შეიცვალოს. ამიტომაც, როგორც სკოლის ლიდერმა და

ბიუჯეტის მენეჯერმა, მნიშვნელოვანია, რომ სკოლის გადაწყვეტილების გუნდთან ერთად რეგულარულად შეაფასოს ყოველი მიზანი და წლის განმავლობაში მოახდინოს ნებისმიერი საჭირო ცვლილება.

9. ბიუჯეტის შეფასება. გეგმის ჩამოყალიბების შემდეგ, უნდა მოხდეს მისი განხორციელება. საჭიროა ყველაზე ცოტა, თვეში ერთხელ გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფთან შეხვედრები, რომ შეფასდეს ბიუჯეტის განხორციელების პროცესი, რათა უკეთესად განისაზღვროს რამდენად შესაბამისობაშია დასახული მიზნები და ფინანსები. ბიუჯეტირების დაგეგმვა და მიზნების შეფასება თანმიმდევრულად უნდა მიმდინარეობდეს. ყოველთვის უნდა მოიძებნოს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- საჭიროა ცვილებების მოხდენა ალტერნატიული საჭიროების თუ ცვლილების ხედვის საფუძველზე?
- დასახულ მიზნები არის თუ არა პროგრესული?
- ემთხვევა განხორციელებული შესყიდვები დასახულ მიზნებს?
- არის ბიუჯეტირების პროცესი წარმატებული არსებულ გეგმასა და მიზნებთან მიმართებაში?
- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში?

10. ბიუჯეტისადმი დამორჩილება ან მისი დაცვა, რომელშიც იგულისხმება ბიუჯეტის მიხედვით მოქმედება. როგორც სკოლის ლიდერმა, მან უნდა მისცეს მაგალითი სკოლის თანამშრომლებს ბიუჯეტისადმი მორჩილებისა.

როგორც სკოლის ლიდერმა, დირექტორმა უნდა ჩადოს საჭირო დრო და ენერგია სკოლაში არსებული თანხების სწორად განაწილებასა და გამოყენებაში. გონივრული ბიუჯეტის შედგენა ლიდერს და მოსწავლეებსაც აძლევს წარმატებულობის შეგრძნებას, განსაკუთრებით თუკი უმჯობესდება საგანმანათლებლო პროგრამები და მოსწავლეთა მიღწევები.

სკოლის სამოქმედო და ბიუჯეტის გეგმის ანალიზი

სკოლის სამოქმედო გეგმა მართავს არა მხოლოდ სასწავლო

პროგრამას, არამედ ასევე ბიუჯეტის განვითარების პროცესს. რაც ნიშნავს, რომ ფინანსები განაწილებულ უნდა იქნეს სასწავლო პროგრამებზე იმ პრიორიტეტების მიხედვით, რომელიც მოცემულია სკოლის სამოქმედო გეგმაში. არსებობს სხვადასხვა ასპექტები თუ ინდიკატორები, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია სამოქმედო გეგმასთან. მაგალითად, ასეთი ინდიკატორები შეიძლება იყოს: მოსწავლეთა მიღწევები, სპეციალური განათლება, უსაფრთხოება (ძალადობის თავიდან აცილება), მშობელთა ჩართულობა, პროფესიული განათლება, თვითმკვლელობის თავიდან აცილება, კონფლიქტის გადაჭრა, დისლექსიასთან დაკავშირებული პროგრამები, სკოლიდან გარიცხულთა რაოდენობის შემცირება, ტექნოლოგიები, დისციპლინის მართვა, დაჩქარებული სწავლა და საკარიერო განათლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ინდიკატორები შეიძლება არ იყოს სავალდებულო ყველა სკოლისათვის აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ის სკოლის დაგეგმვის საკითხებს სრულად წარმოადგენს, რომელსაც ნებისმიერი სკოლა შესაძლოა წააწყდეს.

ბიუჯეტის გეგმის მიზანი არის წინასწარ განჭვრიტოს, დაგეგმოს და მოახდინოს პროგნოზირება პოტენციური შემოსავლის წყაროების, პროგრამის განვითარების, ნებისმიერი ფინანსური დეფიციტის, ბიუჯეტური (სეკვესტრი) შემცირების თუ პოტენციური სფეროების დამატებების. ბიუჯეტის გეგმის განვითარება სამოქმედო გეგმის მსგავსად უნდა მოხდეს სკოლის გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფთან თანამშრომლობით. ეს გუნდი სკოლის ლიდერის ხელმძღვანელობით ჩართულია საგანმანათლებლო დაგეგმვის, კურიკულუმის განვითარების, სასწავლო საკითხების, თანამშრომელთა, პროფესიული განვითარების, სკოლის ორგანიზაციის და რა თქმა უნდა, ბიუჯეტირების საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღებაში.

ბიუჯეტის შემოსავლების წყაროები

სკოლის დაფინანსების წყარო იქნება ის შემოსავალი, რომელსაც სკოლა მიიღებს სახელმწიფოსგან მოსწავლეზე გათვლილი ვაუჩერით, გრანტებით, ეკონომიკური საქმიანობით, შემოწირულობებიდან ან სხვადასხვა მოზიდული თანხების სახით.

• სკოლის სტაბილურ შემოსავლებს მიეკუთვნება ის სახელმწიფო სახსრები, რომელიც ვაუჩერის ღირებულების მიხედვით ბიუჯეტიდან ჩაირიცხება სკოლის ანგარიშზე ბანკში და სკოლის სხვა შემოსავლებთან ერთად სკოლის ფუნქციონირებისათვის დაიხარჯება.

• ასევე, ახალი კანონმდებლობით, სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პასუხისმგებელია, თავად განკარგოს ყველა ის შემოსავალი, რომელსაც თავისი ფართის და ტერიტორიის გაქირავებით ან სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიიღებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკურია ის საქმიანობა, რომელიც მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად ხორციელდება. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებისათვის, მიღებული შემოსავლიდან სკოლა იბეგრება მოგებისა და ქონების გადასახადით.

სკოლის ფონდში ასევე შედის მშობლების, ამ სკოლადამთავრებული წარმატებული ადამიანების ნებაყოფლობითი შემოწირულობები. რომელიც წარმოადგენს მშობლების, ბიზნესმენების, ორგანიზაციების ან სკოლის კეთილდღეობით დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანი სკოლის ანგარიშზე. შემოწირულობებს ქველმოქმედების სახე აქვს. შესაძლებელია, რომ რომელიმე ფირმამ ან ორგანიზაციამ საკუთარი საქმიანობის რეკლამირების მიზნით დააფინანსოს სკოლის ესა თუ ის პროგრამა.

მოზიდული თანხები — გრანტები, დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული სახსრებია, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება სპეციალური პროგრამების დასაფინანსებლად და განსახორციელებელად.

გრანტები ხშირად შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენენ სკოლებისთვის, მაგრამ ჩვეულებრივ მოიპოვება კონკურსის საფუძველზე. საგრანტო ფინანსები ძირითადად დაკავშირებულია განაცხადის წარდგინების პროცესთან, რომელიც საჭიროებს დიდ დროს და ძალისხმევას, რომ არაფერი ვთქვათ კვლევებსა და მონაცემთა შეგროვებაზე, რაც საჭიროა განაცხა-

დისთვის, რომ სერიოზულად იქნეს განხილული. გრანტების უმეტესობა თავისი ბუნებით იყოფა კატეგორიების მიხედვით, კატეგორიების მიხედვით გრანტებში იგულისხმება ისეთი დაფინანსება, რომელიც შეზღუდულია გარკვეული კატეგორიების, ან საქმიანობების მიხედვით.(კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოწყობა, რეაქტივების შეძენა, კლასის კომპიუტერებითა და ინტერნეტით აღჭურვა). ეს ფინანსები შესაძლოა გამოყენებულ იქნას გარკვეული საქმიანობის ფარგლებში, რომელშიც გაიცა გრანტი, რომელზეც მონიტორინგი უნდა განხორციელდეს გარე სააგენტოების საშუალებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას გრანტის თანხების შესაბამისად გამოყენება. ქვევით მოცემულია გრანტის დაფინანსებასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

- გრანტი არის დროში შეზღუდული (დროისადმი მგრძნობიარე) – დაფინანსებული თანხა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს დროის გარკვეულ პერიოდში.
- გრანტები ძირითადად გაიცემა სახელმწიფო ფონდების მიერ და ხშირად დაკავშირებულია გარკვეულ საგანმანათლებლო საქმიანობებსა და ინიციატივებთან.
- გრანტებზე ინფორმაცია შესაძლოა მოძიებულ იქნას სამთავრობო, კომერციული, არამომგებიანი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების საიტებზე.
- გრანტების გამოყენება ხშირად შეზღუდულია - არის გრანტები, რომლებიც სთავაზობენ თანხას, ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგებისათვის. შესაბამისად ამ გრანტის თანხის გამოყენება არ შეიძლება ავეჯის შესაძენად, მგზავრობისთვის. ასეთი მოთხოვნები (შეზღუდვები) გათვალისწინებულ უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა გრანტის დაკარგვის რისკის წინაშე დადგება.

ერთ-ერთი მაგალითია გრანტი მასწავლებელთა ხარისხის ასამაღლებელად–მათი პროფესიული განვითარებისთვის. ეს გრანტი იძლევა შესაძლებლობას ამჟამად დაფინანსდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, მათემატიკისა და უცხო ენის

(ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული) მასწავლებლებისათვის, ასევე პროფესიულ უნარ-ჩვევებში. (პროფესორ-მასწავლებელთა) გასავითარებლად. სკოლები თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომელთა ტრენინგის უზრუნველსაყოფად.

ხელმძღვანელები, რომლებიც მუშაობენ განათლების საბჭოებთან, ვალდებულნი არიან ჩართონ საზოგადოება საგანმანათლებლო პოლიტიკის და ამოცანების შემუშავებაში. მათ უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლების ჩართვით ამ პოლიტიკის შემუშავებაში. საბოლოო გადაწყვეტილება სამომავლო პროგრამის ცვლილებებსა და სიახლეებთან დაკავშირებით უნდა გააკეთოს განათლების საბჭომ, რომელიც იმოქმედებს ხელმძღვანელის და სკოლის თანამშრომლების რჩევების და რეკომენდაციების მიხედვით.

ბიუჯეტი ორი მხარის ერთიანობაა: შემოსავლებისა და ხარჯების. მას შემდეგ რაც დავახასიათეთ შემოსავლები, უნდა განისაზღვროს ხარჯები.

ბიუჯეტის ხარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი ხელფასებს უჭირავს. (საქართველოს სკოლებში იგი ვაუჩერიდან მიღებული შემოსავლის 70–80% და უმეტეს დეფიციტურ სკოლებში 100%-ს შეადგენს). შემდეგ მოდის კომუნალური ხარჯები, სამეურნეო,საკანცელარიო და მიმდინარე ხარჯები, ხარჯები პერსონალის განვითარებისათვის, წახალისებისათვის, გაუთვალისწინებელი ხარჯები, სპეც.დანიშნულების ხარჯები...

